დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ვლადიმერ დავითაშვილის სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ საღრაშენის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მამუკა ხამხაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

მანანა ჩიკვაიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ცირა ბრეგვაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ირმა ბოლქვაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ნონა ბეროშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი

სალომე არაბიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი

თემურ კურცხალია - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი

სოფიო ხვადაგიანი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თამარ მურუსიძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი

მიხეილ გაფრინდაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ნათია ბრეგაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ვლადიმერ დავითაშვილის სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ საღრაშენის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სსიპ
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**230867176**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თეთრიწყარო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იურიდიული მისამართი	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი სოფელი საღრაშენი
ფაქტობრივი მისამართი	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი სოფელი საღრაშენი
საფოსტო ინდექსი	2314
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	სკოლას ვებ-გვერდი არ აქვს
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	sagrasheniskola@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	ტელეფონის ნომერი დაწესებულებას არ აქვს

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	ბრძანება #990512 14.08.2023წ.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	3-4 ოქტომბერი, 2023წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	**დაწყებითი** საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი სოფელი საღრაშენი
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	**საბაზო** საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი სოფელი საღრაშენი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 120	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	*აღწერა* *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა **მეტწილ შესაბამისად შეაფასა** შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
- ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი		
სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	*ხარვეზი*
სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	*ხარვეზი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

---

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი 3.1.2.3.	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;	რეკომენდირებულია სკოლამ უზრუნველყოს მასწავლებლების პირად საქმეებში კანონმდებლობით განსაზღვრული **ცნობების წარმოდგენა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ** მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადებში 05.10.2023წ-დან 22.12.2023წ-მდე.
ინდიკატორი 3.2.1.1.	სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა დ პროფესიული განვითარების საჭიროებაა დადგენის მექანიზმები;	**რეკომენდირებულია სკოლამ შეიმუშავოს პერსონალის შეფასების და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები, ასევე უზრუნველყოს ხარისხის მართვის ჯგუფის საქმიანობის** დამადასტურებელი მასალების/შენახვის მექანიზმების შემუშავება და სისტემატიზაცია შესაბამისობის გგემით გაწერილ ვადებში 01.11.2023წ. 22.12.2023წ.
ინდიკატორი 3.2.1.2.	პერსონალის განვითარება ხორციელდებ გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზ შემუშავებული გეგმის შესაბამისად;	რეკომენდირებულია სკოლამ უზრუნველყოს გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე პერსონალის განვითარებაზე მიმართული გეგმის შემუშავება შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადებში 01.11.2023წ. - 22.12.2023წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 3.2.1.3.	სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას.	რეკომენდირებულია სკოლამ უზრუნველყოფს დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებისა და სკოლაში დასაქმებული პირების კარიერული ზრდის მექანიზმების შემუშავება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 01.11.2023წ. - 22.12.2023წ.
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოები დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	1. რეკომენდირებულია სკოლამ უზრუნველყოს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული და შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთნ შეთანხმებული **საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადებში 09.10.023წ-09.10.2024წ..** 2. ასევე რეკომენდირებულია სკოლას მოიპოვოს **შენობის მდგრადობის დამადასტურებელი დასკვნა შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადებში 09.10.2023წ-09.10.2024წ.** სკოლამ წარმოადგინა მიწერილობა #1325935 09.10.2023წ. ლ. სამხარუალის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასებისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების დადგენის შესახებ. 3. ასევე რეკომენდირებულია სკოლამ მოიპოვოს **დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადებში 09.10.2023წ-09.10.2024წ.**
ინდიკატორი 3.4.1.3.	სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიური და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;	რეკომენდირებულია სკოლამ **შეიმუშავეოს რეფერირების წესი** (**გამოყოს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი** "ბავშვთა დაცვ მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016წ. 12.09.#437 დადგენილებ მოთხოვნების შესაბამისად შსაბამიოსბის გეგმით განსაზღვრულ ვადებ 01.11.2023წ-22.12.2023წ..
ინდიკატორი 3.6.3.1.	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზ შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;	რეკომენდირებულია სკოლამ შექმნას და **აამოქმედოს ვებ-გვერდი** შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 07.10.2023წ-22.12.2023წ.
ინდიკატორი 3.6.3.4.	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;	რეკომენდირებულია სკოლამ აამოქმედოს ვებ-გვერდი და **განათავსოს ინფორმაცია ქართულ ენაზე** შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 07.10.2023წ-22.12.2023წ..
ინდიკატორი 3.6.3.5.	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა.	რეკომენდირებულია სკოლამ აამოქმედოს ვებ-გვერდი და შესაბამისად განათავსოს ინფორმაცია სკოლის შესახებ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 07.10.2023წ-22.12.2023წ..
სტანდარტი 4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
კომპონენტი 2.2.	კურიკულუმის განხორციელება.	**რეკომენდირებულია სკოლამ მოაწყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია სტემ-ის საგნების ეფექტიანი სწავლების უზრუნველსაყოფად და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის** 2010 წლის 1 ოქტომბრის #99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადებში 17.11.2023წ-06.11.2024წ.. **სკოლამ წარმოადგინა წერილი** #1568925 17.11.2023წ. სსიპ საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის სააგენტოსადმი, რომლითაც ითხოვს დახმარებას ლაბორატორიისათვის საჭირო რესურსებით აღჭურვასთან დაკავშირებით. **რეკომენდირებულია სკოლამ მოაწყოს** სააქტო დარბაზი და დახურული სპორტული დარბაზი შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადებში 17.11.2023წ.-06.11.2024წ. სააქტო დარბაზის ფუნქციით, ასევე სპორტული აქტივობების განსახორციელებლად გარკვეულ შემთხვევებში სკოლამ შესაძლოა გამოიყენოს შენობის ცენტრალური ფოიე.
სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტი 2.2.	**კურიკულუმის განხორციელება.**	**რეკომენდირებულია სკოლამ მოაწყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია სტემ-ის საგნების ეფექტიანი სწავლების უზრუნველსაყოფად და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის** 2010 წლის 1 ოქტომბრის #99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადებში 17.11.2023წ-06.11.2024წ.. **სკოლამ წარმოადგინა წერილი** #1568925 **17.11.2023წ.** სსიპ საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის სააგენტოსადმი, რომლითაც ითხოვს დახმარებას ლაბორატორიისათვის საჭირო რესურსებით აღჭურვასთან დაკავშირებით. **რეკომენდირებულია სკოლამ მოაწყოს** სააქტო დარბაზი და დახურულ სპორტული დარბაზი შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადებ 17.11.2023წ.-06.11.2024წ. სააქტო დარბაზის ფუნქციით, ასევე სპორტულ აქტივობების განსახორციელებლად გარკვეულ შემთხვევებში სკოლ შესაძლოა გამოიყენოს შენობის ცენტრალური ფოიე.

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი 1.2.1.3.	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.	**მიზანშეწონილია** სკოლა უფრო მეტი ყურადღებით მოეკიდოს სასკოლო დოკუმენტაციის წარმოებას და დაიცვას სათანადო ქრონოლოგია. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის სამუშაო ჯგუფის სხდომის ჩატარების თარიღად მითითებულია 2023 წლის 15 და 16 სექტემბერი, მაშინ როცა სამეურვეო საბჭოს სხდომის თარიღად (რომელზეც სამეურვეო საბჭომ დაამტკიცა სკოლის სამოქმედო გეგმ. მითითებულია 2023 წლის 12 სექტემბერი.
სტანდარტი 3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი 1.1.1.6.	სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.	მიზანშეწონილია სკოლამ შეასწოროს საჯარო რეესტრში სკოლის სახელწოდება და იწოდებოდეს "სსიპ - ვლადიმერ დავითაშვილის სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ საღრაშენის საჯარო სკოლად", როგორც ეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 16 სექტემბრის N124/ნ ბრძანებაშია აღნიშნული.
ინდიკატორი 3.1.2.3.	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;	1. მიზანშეწონილია სკოლამ საკონკურსო დოკუმენტაცია აწარმოოს სრულყოფილი სახით. კერძოდ, წერილობითი დოკუმენტის სახით გაწეროს კონკურსის ჩატარების წესი და პირობები, ასევე საკონკურსო კომისიამ მასწავლებლის შრჩევის დროს შეადგინოს 3 ოქმი (კანდიდატების გადარჩევის, კანდიდატებთან გასაუბრების და საბოლოო გადაწყვეტილების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		შესახებ) ნაცვლად ერთი ოქმისა, რათა უფრო მკაფიო გახდეს სკოლის მიერ გაკეთებული არჩევანის ობიექტურობა. 2. მიზანშეწონილია სკოლამ უახლოეს პერიოდში ხელახლა გამოაცხადოს ახალი ღია კონკურსი მათემატიკის ვაკანტური საათების შესასვსებად.
ინდიკატორი 3.2.1.5.	წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.	მიზანშეწონილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი იყოს უფრო კონკრეტული და უფრო მეტად მოერგოს სკოლის კონტექსტს.
ინდიკატორი 3.4.1.6.	სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებულ ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;	მიზანშეწონილია სკოლამ წერილობით განსაზღვროს იმ პირთ უფლება-მოვალეობები, რომლებიც მონაწილეობენ პერსონალურ მონაცემების დამუშავებაში (მაგ. საქმისმწარმოებელი, კლასთ დამრიგებელი და სხვა).
ინდიკატორი 3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლ საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადით და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	1. მიზანშეწონილია სკოლამ ბიბლიოთეკით მომსახურება შეუთავსო ისეთ თანამშრომელს, რომელიც უზრუნველყოფს წიგნადი ფონდის აღრიცხვასა და საბიბლიოთეკო ცხოვრების ეფექტურად წარმართვას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 3.6.2.1.	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;	მიზანშეწონილია ნუმერაციით გაიმიჯნოს საკადრო და საერთო ბრძანებები. საკადრო ბრძანებების დანომვრა მოხდეს ინდექსი "1"-ით და საერთო ბრძანებების დანომვრა ინდექსი "2"--ით. მიზანშეწონილია ბრძანების საფუძველში მითითებული იყოს მშობლის განცხადება, რათა უფრო მარტივად მოხდეს განცხადების იდენტიფიცირება.
ინდიკატორი 3.7.1.2.	სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.	მიუხედავად ფინანსების სიმწირისა, მიზანშეწონილია ბიუჯეტის და შესყიდვების დაგეგმვის დროს სკოლამ აწარმოოს ელექტრონული დოკუმენტბრუნვა დაინტერესებული მხარეების ინტერესების გასათვალისწინელბად. მაგ. კათედრის გამგის ან საქმისმწარმოებლი სამსახურებრივი ბარათები დირექტორის სახელზე, რითაც დადასტურდება შესასყიდი საქონლის ან მომსახურების საჭიროება. მიზანშეწონილია სკოლამ აწარმოოს ბაზრის კვლევა შესყიდვების გეგმის შედგენის ეტაპზე და არა მხოლოდ კონკრეტული შესყიდვის განხორციელების დროს.
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	*რჩევა*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი .2.1.2.4.	განმსაზღვრელი და განმავითარებველი შეფასება მიემართება გრძლვადიან მიზნებს და მეთოდურ ორიენტიორებს.	სკოლას მიეცა რჩევა კათედრებზე შექმნან და გაამრავალფეროვნონ შეფასების რუბრიკები, რომლებშიც გააქტიურებული იქნება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნები.
ინდიკატორი 2..2.1.1.	სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;	სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშავოს და დანერგოს კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლებიც მოსწავლეებს აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას მისცემს; მკაფიოდ წარმოაჩინონ ის რესურსები, დავალებები და აქტივობები, რომლებიც სწორედ მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობის გაზრდას შეუწყობს ხელს.
ინდიკატორი .2..2.1.2.	ახალი ცოდნის კონსტრირება ხორციელდებ წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.	სკოლამ უნდა შეიმუშაოს და დანერგოს კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლებიც ცოდნის კონსტრუირების შესაძლებლობა იძლევა წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.
ინდიკატორი .2..2.1.4.	სასწავლო პროცესი ორიენტირებულ ცოდნის სამკატეგორიაზე (დეკლარაციულ პროცედურული და პირობისეული)	სკოლას მიეცეს რჩევა შეიმუშავოს და დანერგოს კომპლექსური ტიპი დავალებები, რომელთა განხორციელების პროცესშიც აქცენტი გაკეთდება ცოდნის სამ კატეგორიაზე.
ინდიკატორი .2..2.2.1.	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით	სკოლას მიეცა რჩევა საგნობრივ კურიკულუმებში უფრო მკვეთრად გამოაჩინონ სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, ის საშუალებები, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელია მოსწავლეებისათვის მათი გააზრება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი N.2..2.2.5	სკოლაში ფუნქციონირებს შეფასებ სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი	სკოლას მიეცა რჩევა კათედრებმა შეიმუშაონ ეფექტიანი სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტები, რომელთა მიხედვითაც ვერიფიკაციის მექანიზმი იმუშავებს.
სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	*რჩევა*

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია შესაბამისობის გეგმის წარმოდგენის საფუძველზე და კომპონენტები/ინდიკატორები შეაფასა შემდეგნაირად:

1.2.2.1. ინდიკატორი - შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო და შეფასდა სრულ შესაბამისად - უზრუნველყო შესაბამისობა.

3.1.1.1 . ინდიკატორი - შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო და შეფასდა სრულ შესაბამისად - უზრუნველყო შესაბამისობა.

3.1.2.3. ინდიკატორი - შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო და შეფასდა მეტწილ შესაბამისად.

3.2.1.1. ინდიკატორი - შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო და შეფასდა მეტწილ შესაბამისად.

3.2.1.2. ინდიკატორი - შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო და შეფასდა მეტწილ შესაბამისად.

3.2.1.3. ინდიკატორი - შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო და შეფასდა მეტწილ შესაბამისად.

3.4.1.1. ინდიკატორი - შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო და შეფასდა მეტწილ შესაბამისად.

3.4.1.3. ინდიკატორი - შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო და შეფასდა მეტწილ შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.6.2.2. ინდიკატორი - შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო და შეფასდა სრულ შესაბამისად - უზრუნველყო შესაბამისობა.

3.6.3.1. ინდიკატორი - შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო და შეფასდა მეტწილ შესაბამისად.

3.6.3.4. ინდიკატორი - შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო და შეფასდა მეტწილ შესაბამისად.

3.6.3.5. ინდიკატორი - შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო და შეფასდა მეტწილ შესაბამისად.

2.1.1.1. ინდიკატორი (დაწყებითი და საბაზო საფეხური) - შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო და შეფასდა სრულ შესაბამისად - უზრუნველყო შესაბამისობა.

2.2. კომპონენტი - 2.2.1.1. ინდიკატორი (დაწყებითი და საბაზო საფეხური) - შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო და შეფასდა მეტწილ შესაბამისად.

2.4.1.1. ინდიკატორი (დაწყებითი და საბაზო საფეხური) - შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო და შეფასდა სრულ შესაბამისად - უზრუნველყო შესაბამისობა.

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს მისია,** რომელიც თავის თავში მოიაზრებს თავისუფალი, შემოქმედებითი, ანალიტიკურად მოაზროვნე და ემპათიური უნარჩვევების მქონე პიროვნების აღზრდას – განათლებული და სიახლის შეცნობის მსურველ მოქალაქეებად ჩამოყალიბებ ის მიზნით. **სკოლას ასევე შემუშავებული აქვს ხედვა,** რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ მისი თითოეული მოსწავლე აღჭურვოს საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებითა და სოციალურად სწორი ორიენტაციით.
სკოლას განსაზღვრული აქვს ღირებულებები, როგორიცაა გამჭვირვალეობა, მიუკერძოებლობა, თანამშრომლობა, ობირექტურობა, განვითარება და ინოვაციურობა. მისია და ხედვა შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან.
მისია, ხედვა და ღირებულებები მოცემულია 2023-2024 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც შემუშავებულია მოქმედი საკანონმდებლო ნორმების დაცვით. სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 12 სექტემბრის N 2 სხდომის ოქმი, ასევე პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის 12 სექტემბრის N 2 სხდომის ოქმი. **ინდიკატორი 1.1.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. მისიაში და ხედვაში მოცემული სასკოლო მიმართულებები ორიენტირებულია პიროვნების განვითარებაზე, კერძოდ მისიაში ხაზგასმულია პიროვნებისა და მოქალაქის ჩამოყალიბება სასკოლო სივრცეში, ხედვაში კი - საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებით აღჭურვა. მისია და ხედვა ხელს უწყობს სკოლის ჩამოყალიბებას უსაფრთხო სოციო-კულტურულ სივრცედ. კერძოდ, აქცენტი გაკეთებულია მოზარდებში ემპათიური უნარ-ჩვევების განვითარებაზე, საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშვებაზე სასკოლო სივრცეში.
ინდიკატორი 1.1.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. **სკოლაში 2023 წლის 25.04. სკოლის დირექტორის #18 ბრძანებით ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი 9 პირის შემადგენლობით,** რომელშიც შედიოდნენ პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს წარმომადგენლები, მშობელი და სოფლის თემის წარმომადგენელი. ჯგუფის მიზანი იყო სკოლის სტრატეგიულ გეგმაზე, ასევე მისიასა და ხედვაზე მუშაობა და შესაბამისი პროექტების შემუშავება. სკოლამ წარმოადგინა **სამუშაო ჯგუფის ოქმი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სხდომა გაიმართა 2023 წლის 15 სექტემბერს, რომელზეც განიხილეს მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტი და იმსჯელეს მისიასა და ხედვასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

სკოლამ ასევე წარმოადგინა **სკოლის დირექტორის ბრძანება #44 12.09.2023წ**. სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შემუშავების შესახებ. სკოლამ ჩამოაყალიბა მექანიზმი, რომლის საშუალებითაც მოხდება სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის მართვა და დარეგულირება. **ინდიკატორი 1.1.1.3. დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სკოლის საზოგადოების მიერ და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის. სკოლის განმარტებით, მისიისა და ხედვის გაცნობა ხდება სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებთან შეხვედრაზე, ასევე მოსწავლეებთან დამრიგებლების მიერ ჩატარებულ კლასის საათებზე. სკოლამ ნიმუშის სახით წარმოადგინა **III-IV კლასის მშობელთა კრების ოქმი 15.09.2022წ.** რომელშიც ასახულია საკითხი მშობლებისათვის სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობის შესახებ. სასკოლო გეგმის ნაწილია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, რომლებიც ასახულია 2023-2024 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმაში.
ინდიკატორი 1.1.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ არის ხელმისაწვდომი. კერძოდ, სკოლის ცენტრალურ ფოიეში საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია სკოლის მისია და ხედვა, აღწერილია ის მიზნები, რაც სკოლას აქვს დასახული მოსწავლეებთან მიმართებაში. სკოლა გეგმავს გამოიყენოს ნებისმიერი საკომუნიკაციო საშუალება, მათ შორის სკოლის ვებ-გვერდი ამოქმედების შემდეგ აღნიშნული დოკუმენტების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად. **ინდიკატორი 1.1.1.5. დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლას შეეცვალა სახელწოდება 2016 წელს,** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2026 წლის 16 სექტემბრის N124/ნ ბრძანებით მიენიჭა სახელწოდება - "სსიპ ვლადიმერ დავითაშვილის სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ საღრაშენის საჯარო სკოლა". ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ სახელს, რომელიც საქმიანობას ახორციელებს ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულების ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და სრულად მოიცავს ზოგადი განათლების ერთ საფეხურს მაინც, იწოდება სკოლად. სკოლამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (05.05.2023წ.) სადაც სკოლა დაფიქსირებულია როგორც "თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ საღრაშენის საჯარო სკოლა". სკოლას საჯარო რეესტრში არა აქვს ასახული სახელობითობა, რომელიც მას მიენიჭა 2016 წლიდან.
რჩევა: მიზანშეწონილია სკოლამ შეასწოროს საჯარო რეესტრში სკოლის სახელწოდება და იწოდებოდეს "სსიპ - ვლადიმერ დავითაშვილის სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ საღრაშენის საჯარო სკოლად".
ინდიკატორი 1.1.1.6. დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2022-2023 ს/წ და 2023-2024 ს/წ სასკოლო-სასწავლო გეგმა
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024 ს/წ.
- სკოლის სახელის ცვლილების ბრძანება - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 16 სექტემბრის ბრძანება N124/ნ
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (05.05.2023წ.)
- სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 12 სექტემბრის N 2 სხდომის ოქმი,
- პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის 12 სექტემბრის N 2 სხდომის ოქმი.
- III-IV კლასის მშობელთა კრების ოქმი 15.09.2022წ.
- 2023 წლის 25.04. სკოლის დირექტორის #18 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შქმნის შესახებ
- სკოლის ფილოსოფიაზე და სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე ჯგუფის სხდომის ოქმი - 2023 წლის 15 სექტემბერი
- დირექტორის ბრძანება #44 12.09.2023წ. სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შემუშავების შესახებ.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო განვითარების გეგმით განისაზღვრება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები და ინტერესები. სკოლა მისიასა და ხედვაზე დაყრდნობით შეიმუშავებს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმას. სკოლამ წარმოადგინა **სკოლის დირექტორის ბრძანება #44 12.09.2023წ. "სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ".** სკოლის განმარტებით, მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, თუ რა პროცესებს გადის სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში, ასევე სტრატეგიული გეგმის გაზიარების პროცედურები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი, მონიტორინგისა და ცვლილებების განხორციელების პროცესები. თუმცა სკოლის დირექტორის ბრძანებას არ ახლავს დანართი აღნიშნული მეთოდოლოგიის შესახებ. **ინდიკატორი 1.2.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა.** გეგმის შემუშავებაზე მუშაობა სკოლამ დაიწყო 2023 წლის აპრილში, როდესაც სკოლის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება. სტრატეგიული გეგმის პროექტი განიხილა პედსაბჭომ 2023 წლის 12 სექტემბრის #2 სხდომაზე და დაამტკიცა სამეურვეო საბჭომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2023 წლის 12 სექტემბრის #2 სხდომაზე. **გეგმა გათვლილია 2023-2030 წლებზე, მასში ასახულია სვოტ-ანალიზი,** რომელიც სკოლამ შეადგინა ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე. კერძოდ, სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მიზნით სკოლის სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა კითხვარი მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლებისათვის. კითხვარით აპლიკანტებს უნდა განესაზღვრათ 3 მიმართულება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს სკოლის ძირითად მიზანს, უნდა გამოეხატათ დამოკიდებულება სკოლის მისიასთან მიმართებაში, გამოეთქვათ პოზიცია სკოლის სამომავლო ხედვასთან დაკავშირებით და სხვა. კითხვარის დამუშვების საფუძველზე შედგა სკოლის SWOT ანალიზი, რომელშიც აისახა სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე გამოკვეთილი შესაძლებლობები და საფრთხეები. **სკოლამ სტრატეგიული გეგმით განსაზღვრა შემდეგი სტრატეგიული მიზნები:** სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსის განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება, ორგანიზაციული განვითარება. გეგმით ასევე განისაზღვრა მიზნების შესაბამისი ამოცანები. **ინდიკატორი 1.2.1.2. დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლას შემუშავებული აქვს 2023-2024 ს/წ სამოქმედო გეგმა,** რომელიც არის ერთწლიანი. გეგმაში ასახული და დაკონკრეტებულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად საჭირო ის აქტივობები, რომელიც უნდა განხორციელდეს ერთი წლის განმავლობაში. სამოქმედო გეგმა დამტკივებულია სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 12 სექტემბრის სხდომაზე. **სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს 2023 – 2030 წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმიდან, სკოლის მისიიდან და სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან.** კერძოდ, სკოლა სტრატეგიულ მიზნად ისახავს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებას, სამოქმედო გეგმა კი განსაზღვრავს ამ მიზნის მისაღწევად საჭირო ამოცანებს და შესაბამის აქტივობებს. შესაბამისად სამოქმედო გეგმაში ასევე გაწერილია ყველა სტრატეგიული მიზნის შესაბამისი ამოცანები და აქტივობები. სამოქმედო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობდა სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომელმაც განიხილა სამოქმედო გეგმის პროექტი პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოზე წარსადგენად. თუმცა სხდომის ოქმებში (დათარიღებასა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნუმერაციაში) დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, სამუშაო ჯგუფის სხდომის ჩატარების თარიღად მითითებულია 2023 წლის 15 და 16 სექტემბერი, მაშინ როცა სამეურვეო საბჭოს ჩატარების თარიღად მითითებულია 2023 წლის 12 სექტემბერი (რომელზეც სამეურვეო საბჭომ დაამტკიცა სკოლის სამოქმედო გეგმა). **მიზანშეწონილია** სკოლა უფრო მეტი ყურადღებით მოეკიდოს სასკოლო დოკუმენტაციის წარმოებას და დაიცვას სათანადო ქრონოლოგია.

ინდიკატორი 1.2.1.3. დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის 2023-2024 ს/წ სამოქმედო გეგმაში ასახულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესაბამისი რესურსები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები. თუმცა გეგმაში მითითებული გარკვეული აქტივობები შაბლონური ხასიათისაა და საჭიროებს მეტ კონკრეტიკას. მაგალითად, ადამიანური რესურსების განვითარების მიზნით დაგეგმილია აქტივობა - პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის დანერგვა, პერსონალის მართვისას მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპების დანერგვა, ადამიანური რესურსის მუდმივი განვითარება და სხვა. **ინდიკატორი 1.2.1.4. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანება #44 12.09.2023წ. "სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ".
- სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა 2023-2030
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024 ს/წ
- კითხვარი მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლებისათვის და კითხვარის ანალიზი
- სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი #1 და #2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი #3 2023 წლის 12.09.
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი #2 2023 წლის 12.09.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის სტრატეგიული დაგეგმარება მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. მისი მიზანია დაადგინოს დაგეგმილი აქტივობებიდან რა შესრულდა და რა არა. მონიტორინგის მეთოდოლოგიით განისაზღვრება, თუ როგორ ხდება მონიტორინგი, ვინ არის პასუხისმგებელი, რა ინტენსივობით განხორციელდა მონიტორინგი და შესაბამისი პროცედურები. მონიტორინგის შემდგომი ნაბიჯად სკოლას გათვალისწინებული აქვს შეფასება, რომელშიც იგულისხმება შინაარსობრივი ანალიზი. ინფორმაციის ანალიზი სკოლას ეხმარება გაანალიზოს დაშვებილი შეცდომები და მომდევნო წლისთვის დაგეგმვის პროცესში იქნას **გათვალისწინებული. სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანება #44 12.09.2023წ. "სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ". თუმცა არ წარმოუდგენია აღნიშნული ბრძანების დანართი,** სადაც მოცემულია მეთოდოლოგიის შინაარსი, ამიტომ ვერ დგინდება, რომ სკოლის სტრატეგიული დაგეგმარება მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. შესაბამისად **ინდიკატორი 1.2.2.1. შეფასებული იყო, როგორც შეუსაბამო.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და "სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ" სკოლის დირექტორის ბრძანება #44 12.09.2023წ. დანართი #1. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მე-11 მუხლი ეხება შესრულების მონიტორინგს და განსაზღვრავს მონიტორინგის მექანიზმებს და სტრუქტურულ ერთეულებს. შესაბამისად ინდიკატორი 1.2.2.1. სრულად დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა გეგმავს სტრატეგიული განვითარების შვიდწლინი გეგმის და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას. სკოლის დირექციის განცხადებით, მონიტორინგი და შეფასების პროცესი სკოლის ცხოვრების აუცილებელი ნაწილია, ის უზრუნველყოფს ხარისხიან ზედამხედველობასა და მხარდაჭერას, მოსწავლის სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას ემსახურება მონაცემების შეგროვება, რევიზია, ანალიზი და შეფასება. და რომ მონიტორინგი მთავარ როლს ასრულებს მთლიანი პროცესის დაგეგმვაში. **ინდიკატორი ვერ ფასდება პირველადი ავტორიზაციის ეტაპზე.**

3. სკოლა გეგმავს შედეგების სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შედეგების გასაჯაროებას. სკოლის დირექტორის განცხადებით, სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ყველა აქტივობისთვის ცნობილი და გაზიარებული იქნება დაინტერესებული მხარეებისთვის. წლის სამოქმედო გეგმის ანგარიშის წარდგენა სასკოლო საზოგადოებისთვის აუცილებლად მიაჩნია სკოლის დირექტორს, რადგან ამ დროს ხდება დეკლარირებული მიზნების მიღწევების შეფასება, პასუხისმგებლობის გაზიარება და იდენტიფიცირება. გასაუბრებით ჩანს, რომ სკოლა მზადყოფნას გამოხატავს გაასაჯაროოს გეგმების შსრულების შედეგები. **ინდიკატორი ვერ ფასდება პირველადი ავტორიზაციის ეტაპზე.**

4. სკოლის განმარტებით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების შეფასება სკოლას დაეხმარება ახალი საჭიროებების გამოვლენაში და მისი გადაჭრის გზების მოსაგვარებლად დაიგეგმება აქტივობები, რომელიც სკოლას დაეხმარება განვითარებასა და წინსვლაში. სკოლა აცნობიერებს, რომ ეფექტიანი მონიტორინგი და შეფასება იძლევა იმის საშუალებას, რომ სკოლას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გააჩნდეს სანდო მტკიცებულებები, რაც რეალურად ვლინდება იმაში,რომ სწორი მონიტორინგის და შეფასების საფუძველზე ხორციელდება მნიშვნელოვნი ცვლილებები. **ინდიკატორი ვერ ფასდება პირველადი ავტორიზაციის ეტაპზე.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანება #44 12.09.2023წ. "სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ".
- სკოლის დირექტორთან გასაუბრება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები და რგოლები: დირექცია, ადმინისტრაცია, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები. სკოლის სტრუქტურა განპირობებულია მისი მცირეკონტიგენტიანობის ფაქტორით (სკოლაში სწავლობს სულ 28 მოსწავლე დაწყებით და საბაზო საფეხურზე ერთად). **სკოლის სტრუქტურული ერთეულები მოცემულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ - სხდომის ოქმი #3 12.09.2023წ.**

სკოლის დირექცია შედგება დირექტორისა და ბუღალტრისაგან. **ადმინისტრაციაში შედის** საქმისმწარმოებელი (სკოლას არ ჰყავს საინფორმაციო მენეჯერი, მტუკ-ი, ბიბლიოთეკარი). **პედაგოგიური საბჭო შედგება 14 მასწავლებლისაგან.** სკოლამ წარმოადგინა საშტატო განრიგი #3121-23-05-6645, შეთანხმებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. ასევე მტკიცებულებად წარმოადგინა **პედაგოგიური საბჭოს დებულება,** დამტკიცებული სკოლის დირექტორის ბრძანებით #62 2023წ.

სკოლაში ჩამოყალიბებულია დისციპლინური კომიტეტი, რომელიც არჩეულია სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი #2 09.09.2022წ. რომელზეც დისციპლინურ კომიტეტში აირჩიეს 2 მშობელი, ასევე სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი #4 05.10.2022წ. რომელზეც აირჩიეს დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობა. კომიტეტში შედის 2 მასწავლებელი და 2 მშობელი. მასწავლებლები არჩეული არიან პედსაბჭოს მიერ - პედსაბჭოს სხდომის ოქმი #1 09.09.2022წ. სკოლას არა აქვს საშუალო საფეხური, შესაბამისად დისციპლინურ კომიტეტში არ შედის საშუალო საფეხურის მოსწავლე. თუმცა სკოლაში არ ყოფილა დისციპლინური კომიტეტის შეკრების საჭიროება კონკრეტულ გადაცდომასთან დაკავშირებით.

სკოლაში ფუქნციონირებს სამეურვეო საბჭო, რომელიც არჩეულია 2022 წლის 20 ივნისს. სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს არჩევნების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი EMIS 04102023 1602 01 00007119. სამეურვეო საბჭო შედგება 3 მასწავლებლისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3 მშობლისაგან (დაწყებითი და საბაზო საფეხურის), სკოლის მიერ წარმოდგენილი სამეურვეო საბჭოს ოქმებიდან ჩანს, რომ სხდომებში მონაწილეობდა 7 წევრი - 4 მასწავლებელი და 3 მშობელი (დაწყებითი და საბაზო საფეხურიდან). სკოლამ წარმოადგინა სხდომის ოქმი #1 24.06. 2022წ. სხდომაზე განიხილეს საბჭოს თავმჯდომარისა და მდივნის არჩევის საკითხი. მდივნად აირჩიეს მასწავლებელი, რომლის უფლებამოსილება გაურკვეველია საბჭოში. **ზოგადი განათლების შესხაებ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად** "სამეურვეო საბჭოს წევრთა რაოდენობის განსაზღვრისას მცირეკონტიგენტიანი სკოლებისათვის გამონაკლისის დაშვება შეიძლება სამინისტროს თანხმობით. მშობლებისაგან არჩეული წევრები თანაბრად უნდა წარმოადგენდნენ სკოლაში არსებულ თითოეულ საფეხურს". საღრაშენის სკოლის შემთხვევაში, საბჭოს ორ წევრთან - ორ პრაქტიკოს მასწავლებელთან შეწყდა შრომითი ხელშეკრულება 2023 წლის 15 სექტემბრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. თუმცა ისინი ისევ ფიქსირდებიან სკოლის ისქულის ბაზაში და სკოლას ვიზიტის პერიოდში არ წარმოუდგენია სამეურვეო საბჭოს ოქმი, რომლითაც დადასურებული იქნებოდა მათთვის უფლებამოსილების შეწყვეტა.

სკოლაში ფუქნციონირებს პედაგოგიური საბჭო, რომელიც შედგება 14 მასწავლებლისაგან. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა პედაგოგიური საბჭოს სხდომების ოქმები.

სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები, რომლებიც განსაზღვრულია 2023-2024 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმით. სკოლაში მოქმედებს 4 საგნობრივი კათედრა: 1. სახელმწიფო და უცხოური ენების კათედრა, 2. მათემატიკის, საბუნებისმეტყველო საგნების და ტექნოლოგიების კათედრა, 3. დაწყებითების კათედრა, 4. ესთეტიკური საგნების და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა.

სკოლის განაცხადში აღნიშნულია და სკოლის დირექტორმა გასაუბრებით აღნიშნა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, თუმცა სკოლას მტკიცებულების სახით არ წარმოუდგენია რაიმე სახის დოკუმენტი აღნიშნულის დასადასტურებლად.

მასალების შესწავლით დგინდება, რომ სამეურვეო საბჭოს შემადგენლობა არ შეესაბამება "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებს. სამეურვეო საბჭოს წევრი 2 მასწავლებლისათვის არ არის შეწყვეტილი უფლებამოსილება, მაშინ როცა მათთან სკოლას შეწყვეტილი აქვს შრომითი ხელშეკრულება. **სკოლაში არ დასტურდება მრჩეველთა საბჭოს ფუნქციონირება** "ზოგადსაგანმანათებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის #06/ნ ბრძანების მოთხოვნის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი შეფასებული იყო, როგორც შეუსაბამო. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და სათანადო დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება რომ სკოლამ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოიყვანა სამეურვეო საბჭოს შემადგენლობა. კერძოდ, სკოლის დირექტორის ბრძანება #46 15.09.2023წ. და ბრძანება #47 15.09.2023წ. პრაქტიკოს მასწავლებლებთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. ასევე ამონაწერი ისქულის ბაზიდან სამეურვეო საბჭოს შემადგენლობის შესახებ, რომლითაც დასტურდება სამეურვეო საბჭოს წევრი მასწავლებლებისათვის სტატუსის შეწყვეტა.

გარდა ამისა, სკოლამ უზრუნველყო მრჩეველთა საბჭოს ფუნქციონირება კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნულის დასადასტურებლად სკოლამ წარმოადგინა მრჩეველთა საბჭოს ოქმი #1 17.11.2023წ. ასევე მრჩეველთა საბჭოს სამოქმედო გეგმა. თუმცა წარმოდგენილ დოკუმენტებში არ ჩანს რა სამართლებრივი აქტით და სასკოლო საზოგადოების რომელი წევრების შემადგენლობით დაკომპლექტდა მრჩეველთა საბჭო (წარმოდგენილი სხდომის ოქმში კი არ ჩანს რა სტატუსის მატარებლები არიან მრჩეველთა საბჭოს წევრები). აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით ინდიკატორი 3.1.1.1. სრულად დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის სპეციფიკის გათვალისწინებით (სკოლა მცირეკონტიგენტიანია და შესაბამისად ჰყავს კადრების შეზღუდული რაოდენობა) სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის პასუხისმგებლობის გადანაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობას. სტრუქტურული ერთეულები მოიცავს ყველა იმ სფეროს, რომელიც სკოლის ძირითადი საქმიანობის შესრულებასა და მიზნებს უკავშირდება. სკოლის განცხადებით, სკოლა უზრუნველყოფს პერსონალისთვის ფუნქცია-მოვალეობების გაცნობას. სამუშაო აღწერილობა განიხილება რეგულარულად იმ ადამიანთან ერთად, ვისაც ეს პოზიცია უკავია. დასაქმებული პირების სამუშაო აღწერილობები მოცემულია შრომით ხელშეკრულებებში და სკოლის შინაგანაწესში. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ყველა დასაქმებული პირის შრომითი ხელშეკრულებები, სადაც გაწერილია მუშაკების სამსახურებრივი ვალდებულებები. **ინდიკატორი 3.1.1.2. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სკოლის შინაგანაწესი
- საშტატო განრიგი #3121-23-05-6645,
- პედაგოგიური საბჭოს დებულება
- სამეურვეო საბჭოს მიერ - სხდომის ოქმი #3 12.09.2023წ.
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი #4 05.10.2022წ. დისციპლინური კომიტეტის არჩევის შესახებ
- სამერურვეო საბჭოს არჩევნების შემაჯამებელი ოქმი EMIS 04102023 1602 01 00007119
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი - სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი #3 12.09.2023წ.
- დისციპლინარული კომიტეტის სხდომის ოქმი
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები
- კათედრის სხდომის ოქმები
- სადამრიგებლო პროგრამები
- შრომითი ხელშეკრულებები

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

სკოლის განცხადებით, პერსონალის მართვა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით და სკოლის მიერ დადგენილი პირობებით. სკოლას მიაჩნია, რომ მისი, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო ორგანიზაციის ძირითადი მიზანი მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესებაა, რაც უკავშირდება ადამიანური რესურსების მართვის ეფექტიან სისტემას. სკოლის პერსონალის მართვის პროცედურები განსაზღვრულია სკოლის მიერ შემუშავებულ პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში - **ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში.** ეს დოკუმენტი არის გაზიარებული და ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირებისთვის. **ინდიკატორი 3.1.2.1. დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

სკოლაში მოქმედებს საჭიროების შესაბამისი პერსონალის მართვის პრევენციული და ინტერვენციული პოლიტიკა. პერსონალის პრევენციული და ინტერვენციული მართვისთვის სკოლა ახდენს ადამიანური რესურსის საჭიროების დროულ ანალიზს. პერსონალის შერჩევამდე სკოლა ახდენს შესასრულებელი სამუშაოს აღწერას და მის ანალიზს. პერსონალის ინტერვენციული მართვისათვის სკოლას შემუშავებული აქვს მექანიზმი, საჭიროებისამებრ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში თუ როგორ უზრუნველყოს მისი ფუნქციების გადანაწილება სხვაზე ისე, რომ არ დაზარალდეს სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესი. სკოლაში პერსონალის მართვის პოლიტიკა და სისტემა ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების პროფესიული განვითარების ხელშეწყობასა და სწავლა-სწავლების გაუმჯობესებაზე. დასახული მიზნების მისაღწევად სკოლა მეტ მნიშვნელობას ანიჭებს ისეთი პრინციპების რეალიზებას, როგორიცაა შეფასება განვითარებისთვის და არა კონტროლისთვის, მაღალი და პოზიტიური მოლოდინები სასკოლო საზოგადოებისგან, თვითრეგულაციის და თვითმართვის განვითარებაზე ორიენტირება და პრევენციაზე დაფუძნებული დაგეგმვა და მართვა.
ინდიკატორი 3.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;

სკოლაში კადრების მოზიდვას, დასაქმებასა და გამჭირვალობას უზრუნველყოფს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები. სკოლა ცდილობს საკადრო პოლიტიკის ამოსავალი იყოს პროფესიული კადრების მოზიდვა, დასაქმება და განვითარების ხელშეწყობა, თუმცა გასათვალისწინებელია სკოლის კონტექსტი და ის ობიექტური რეალობა, რომელშიც უწევს სკოლას ფუქციონირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კადრების შერჩევისას სკოლა აცხადებს ვაკანსიას შესაბამის ინტერნეტ-სივრცეში მასწავლებელთა ვაკანსიების ოფიციალურ ვებგვერდზე teachersjobs.ge. სადაც გაწერილი აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს აპლიკანტი. კადრის აყვანა მიმდინარეობს ორ ეტაპად: პირველ ეტაპზე ხდება შემოსულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით აპლიკანტების საბუთების გადარჩევა და მეორე ეტაპზე ინიშნება გასაუბრება აპლიკანტებთან. გასაუბრებისათვის შექმნილია შესაბამისი კომისია შემდეგი შემადგენლობით: სკოლის ადმინისტრაციის ერთი წარმომადგენელი, სკოლისა და მოწვეული მასწავლებელი, სამინისტროსა და მასწავლებლის სახლის წარმომადგენელი, რესურსცენტრიდან მოწვეული თანამშრომელი, რომელთა უფლებამოსილების ფარგლებში აქვთ თითო ხმის უფლება. სკოლა ცდილობს ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით უპირატესობა მიანიჭოს პროფესიონალ კადრებს, რომლებიც აკმაყოფილებენ კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და ამასთან ერთად აღჭურვილნი არიან საჭირო უნარ-ჩვევებით და მოტივაციით, აქვთ სკოლის განვითარების ხედვა. თუმცა ჩატარებული კონკურსებით ჩანს, რომ სკოლას ობიექტური მიზეზების გამო უჭირს აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილება, რადგან ძლზე ნაკლებია ვაკანსიებზე გამოხმაურება და დაინტერესება.

2023 წლის სექტემბერში ცალკეულ საგნებში მასწავლებლებს შორის საათების გადანაწილება მოხდა შიდა კონკურსის საფუძველზე (დაწყებითი კლასების 2 უსტატუსო მასწავლებელს შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება) და მათი საათები გადანაწილდა საგნობრივად ქართულისა და მათემატიკის მასწავლებლებზე. სკოლას არ წარმოუდგენია დირექტორის ბრძანება შიდა კონკურსის გამოცხადების შესახებ ან სხვა რაიმე დოკუმენტი, რაც დაადასტურებდა საათების შიდა გადანაწილებას.

2023 წლის სექტემბერში სკოლამ გამოაცხადა რამდენიმე ვაკანსია და ჩაატარა ღია კონკურსები. ღია კონკურსი ჩატარდა **ბიოლოგიის საათებზე,** კონკურსი შედგა და სკოლამ შეარჩია სერტიფიცირებული პედაგოგი, რომელსაც ჩაბარებული აქვს საგნის გამოცდა და გავლილი აქვს 60 კრედიტიანი პროგრამა. ასევე მ/წლის სექტემბერში სკოლამ ჩაატარა ღია კონკურსი **ქიმიის მასწავლებლის** ვაკანტური საათების დასაკავებლად და შეირჩა მოწვეული მასწავლებელი. მე-3 კონკურსი ჩატარდა მათემატიკისა და ფიზიკის ვაკანტური საათების დასაკავებლად. მათემატიკის კონკურსი ჩაშლილად გამოცხადდა, რადგან კონკურსში მონაწილე ერთადერთმა კანდიდატმა უარი განაცხადა დასაქმებაზე. მათემატიკის აღნიშული საათები დროებით შეითავსა ფიზიკის მოქმედმა მასწავლებელმა ახალი ვაკანსიის გამოცხადებამდე. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა **სკოლის დირექტორის ბრძანება #45 13.09.2023წ. „ბიოლოგიის** ვაკანტური საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსის ჩაატარების მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ“.
ასევე სკოლის დირექტორის ბრძანება #63 04.10.2023წ. „ფიზიკისა და მათემატიკის საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ“. ასევე სკოლამ წარმოადგინა **ბიოლოგიის საკონკურსო კომისიის ოქმი #1 13.09.2023წ.** დღის წესრიგით სხდომამ განიხილა - კონკურსში მონაწილე კანდიდატებთან გასაუბრება. გასაუბრება ჩატარდა დისტანციურად თიმსის პლატფორმის მეშვეობით. გასაუბრებაში მონაწილეობდა ერთი კანდიდატი, რომელიც კომისიამ დადებითად შეაფასა. აღნიშნულ კონკურსთან დაკავშირებით კომისიამ შეადგინა ერთი ოქმი, სადაც გაერთიანებულია რამდენიმე საკითხი (კანდიდატების შერჩევა, გასაუბრება და შეფასება). აღნიშნული სკოლის დირექტორმა ახსნა იმით, რომ კონკურსში მხოლოდ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ერთი კანდიდატი მონაწილეობდა და სხვა საკითხების დეტალურად განხილვის საჭიროება არ იყო. სკოლას არ წარმოუდგენია კონკურსის ჩატარების წესის მარეგულირებელი დოკუმენტი.

სკოლას წარმოდგენილი აქვს მასწავლებელთა მონაცემები, ასევე ამონაწერი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან მასწავლებელთა შესახებ. სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა **კადრების აღრიცხვის ფურცლები.** ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა **თანამშრომელთა პირადი საქმეები,** დანიშვნის ბრძანებები, შრომით ხელშეკრულებები. **პირად საქმეში იდო შემდეგი დოკუმენტაცია:** პირადობის მოწმობის ასლი, დიპლომის ასლი, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, მასწავლებლის სერტიფიკატი, სერთიფიკატები გავლილი ტრენინგების შესახებ, CV, კადრების აღრიცხვის ფურცელი. მაგრამ **არ არის ცნობები ნასამართლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ.**

ხარვეზი: მასწავლებლების პირად საქმეებში არ არის ცნობები ნასამართლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ. შესაბამისად ინდიკატორი შეფასებული იყო, როგორც შეუსაბამო. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც განსაზღვრა პერიოდი 05.10.2023წ. - 22.12.2023წ. რომლის დროსაც მასწავლებლები წარმოადგენენ ცნობებს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ. **ინდიკატორი 3.1.2.3. მეტწილ შესაბამისობაშია.**

რეკომენდირებულია სკოლამ უზრუნველყოს მასწავლებლების პირად საქმეებში კანონმდებლობით განსაზღვრული **ცნობების წარმოდგენა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ** მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადებში 05.10.2023წ-დან 22.12.2023წ-მდე.

რჩევა: მიზანშეწონილია სკოლამ საკონკურსო დოკუმენტაცია აწარმოოს სრულყოფილი სახით. კერძოდ, წერილობითი დოკუმენტის სახით გაწეროს კონკურსის ჩატარების წესი და პირობები, ასევე საკონკურსო კომისიამ მასწავლებლის შრჩევის დროს შეადგინოს 3 ოქმი (კანდიდატების გადარჩევის, კანდიდატებთან გასაუბრების და საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ) ნაცვლად ერთი ოქმისა, რათა უფრო მკაფიო გახდეს სკოლის მიერ გაკეთებული არჩევანის ობიქტურობა.

რჩევა: მიზანშეწონილია სკოლამ უახლოეს პერიოდში ხელახლა გამოაცხადოს ახალი ღია კონკურსი მათემატიკის ვაკანტური საათების შესასვსებად.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში დაათვალიერა თანამშრომელთა პირადი საქმეები და ისქულის ბაზა, ასევე შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. სკოლაში დასაქმებულია 16 უფროსი, 2 უსტატუსო მასწავლებელი, რომელთა შესახებ მონაცემები ასახულია eschool-ის ბაზაში. საათებით დატვირთულია სკოლის ბუღალტერი, რომელიც უფროსი მასწავლებელია. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში სკოლას ჰყავს ემისში დარეგისტრირებული ქართული ენის მასწავლებელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლა მასწავლებლების შერჩევისთვის ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის, „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. ამასთან, სკოლის ექიმის/ექთნის შერჩევის დროს ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებულიტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის შესაბამისად.

უფროს მასწავლებლებთან სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები, ხელეკრულებაში ჩანს მასწავლებელთა ვალდებულებები პროფესიული განვითარების სქემის მოთხოვნების შესაბამისად. **სკოლაში დასაქმებულია ერთი მოწვეული** ფიზიკის მასწავლებელი, რომელიც მიღებულია 2023 წლის სექტემბერში ღია კონკურსის წესით. ხელშეკრულება #7 19.09.2023წ.

სკოლას მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს ხელშეკრულებები: ბუღალტერთან #2 15.09.2023წ. საქმისმწარმოებელთან #1 15.09.2023წ. გამოსაცდელი ვადით - 6 თვით. სპეციალურ მასწავლებელთან #1 19.10.2022წ. სკოლას აქვს შრომით ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი.

ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა ექთნის პირადი საქმე. ექთანი აყვანილია საკონკურსო წესით 2022წ. ნოემბრიდან, მასთან გაფორმებულია ხელშეკრულება #6 01.01.2023წ. ექთნის კვალიფიკაცია (განათლება - საბებიო ფაკულტეტი, გავლილი აქვს პირველადი ჯანდაცვის 6 თვიანი კურსი, სამუშაო გამოცდილება - პარალელურად მუშაობს სოფლის ოჯახის ექთნად) და პირადი საქმე შეესაბამება საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებას (№41/ნ/01-23/ნ2022 წლის 21 მარტი). **ინდიკატორი 3.1.2.4. დაკმაყოფილებულია.**

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის დირექტორის განცხადებით, მართვის პოლიტიკა და კულტურა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპს. სკოლის ყველა რგოლის წარმომადგენლებს შორის არსებობს თანამშრომლობითი კულტურა. სკოლაში ხდება იდეებისა და წარმატებული პრაქტიკის გაზიარება გაკვეთილების ბოლოს, რომელიც შემოიფარგლება ზეპირი საუბრებით. სკოლაში შექმნილია პოზიტიური თანამშრომლობითი გარემო. სკოლის მართვა არის მონაწილეობითი, რაც დასტურდება მასწავლებლების ჩართულობით დაგეგმვისა და გადაწყვეტილების პროცესში (სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება, სკოლის მისიისა და ხედვის შემუშავება და სხვა).

გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობა დასტურდება სკოლაში მოქმედი მმართველობითი კოლეგიური ორგანოს - პედსაბჭოს მასალებით. მტკიცებულების სახით სკოლას წარმოდგენილი აქვს პედაგოგიური საბჭოს ოქმი #1 07.09.2023წ. კერძოდ, ოქმიდან ჩანს მასწავლებლების ჩართულობა ისეთი სასკოლო საკითხების განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში, როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმის განხილვა, დისციპლინური კომიტეტის წევრობის კანდიდატების არჩევა და სხვა. პედსაბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმების უმრავლესობით. ოქმში მოცემულია საბჭოს სხდომაში მონაწილე პირთა ნუსხა და კენჭისყრის შედეგები ცალკეულ საკითხებზე, როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება, ასევე დისციპლინურ კომიტეტში მასწავლებელთა წარმომადგენლის არჩევის საკითხი.

გარდა ამისა, მონაწილეობა და გუნდურობა დასტურდება სკოლაში მოქმედი **სამეურვეო საბჭოს** წარმოდგენილი ოქმით **#2 08.09.2023წ.** სადაც განხილულია სკოლის შინაგანაწესის დამტკიცება. **ს**ხდომის ოქმი **#3 12.09.2023წ.** რომელზეც განიხილეს სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების დამტკიცება. ასევე **სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი #5 09.12.2022წ.** სხდომის დღის წესრიგი ითვალისწინებს სკოლის დირექტორის წლიურ ანგარიშს, სკოლის 2022 წლის ბიუჯეტის 11 თვის ანგარიშს, სკოლის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცებას.

სკოლაში ფუნქციონირებს კოლეგიური ორგანოები - საგნობრივი კათედრების სახით. საილუსტრაციო მტკიცებულების სახით სკოლას წარმოდგენილი აქვს მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი #1 12.09.2023წ.** სადაც დღის წესრიგში მოცემულია ისეთი საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც კოლეგიურ მიდგომას საჭიროებს: კათედრის თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა, კათედრის სამოქმედო გეგმის დამტკიცება, სასწავლო პროცესის დაწყებისათვის მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება, X კლასის გრიფირებული სახელმძღვანელოების შერჩევა, მასწავლებელთა საათების საორიენტაციო განაწილება. ასევე წარმოდგენილია **უცხოური და სახელმწიფო ენების კათედრის სხდომის ოქმი #1 08.09.2023**წ.
ინდიკატორი 3.1.2.5. დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

სკოლის წარმატებები, მასწავლებელთა წინსვლა, მიღწევები, საგანმანათლებლო პროექტი და ასევე მოსწავლეთა წარმატებები ქვეყნდება სკოლის ფეისბუქ გვერდზე (საღრაშენის საჯარო სკოლა) და ასევე საგანმანათლებლო ვებ-საიტზე ეტალონის გვერდზე (ETALONI.GE), რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულების პარტნიორია და აშუქებს სკოლაში განხორციელებულ პროცესებს. სკოლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს წარმატების აღიარებას სასწავლო პროცესის ეფექტიანობის, სასკოლო საზოგადოების განვითარებისათვის. წარმატებული გამოცდილების გაზიარების მექანიზმები ასახულია სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში.

ინდიკატორი 3.1.2.6. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შრომითი ხელშეკრულებები - ექთანთან, ცეცხლფარეშთან, საქმისმწარმოებელთან, დამლაგებელთან, დარაჯთან, ბუღლტერთან.
- შრომითი ხელშეკრულებები - უფროს მასწავლებლებთან
- დირექტორის ბრძანება #45 13.09.2023წ. ბიოლოგიის საათების შესავსებად საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ
- სკოლის დირექტორის ბრძანება #63 04.10.2023წ. „ფიზიკისა და მათემატიკის საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ“.
- საკონკურსო კომისიის ოქმი #1 13.09.2023წ.
- პედაგოგის პირადი საქმე
- უცხოური და სახელმწიფო ენების კათედრის სხდომის ოქმი #1 08.09.2023წ.
- მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი #1 12.09.2023წ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ **მეტწილად შეესაბამება**
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
სკოლის დირექტორის განცხადებით, სკოლა ყოველთვის მზადაა ხელი შეუწყოს სასკოლო საზოგადოების პროფესიულ წინსვლას (ტრენინგები, კონფერენციები, კონკურსები). ამის დასადასტურებლად ასახელებს **სკოლაში ხარისხის მართვის ჯგუფის საქმიანობას,** რომელიც ეხმარება კოლეგებს საჭიროებების დადგენაში, წინსვლასა და განვითარებაში. სკოლა ადგენს პერსონალის პროფესიული განვითარების საჭირო მექანიზმებს, რაც ითვალისწინებს ყოველდღიურად მიმდინარე პროცესებს, შეფასებას და კონსტრუქციულ უკუკავშირებს პედაგოგთა განვითარებისთვის. სკოლას წარმოდგენილი აქვს **დირექტორის ბრძანება N51 02.12.2020წ. "სკოლაში ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ".** ბრძანებით ხარისხის მართვის ჯგუფს ევალება მასწავლებელთა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შიდა შეფასება, მასწავლებლებთან ერთად ყოველი სემესტრის/სასწავლო წლის ბოლოს პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობების განხილვა და მათთვის განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა, მასწავლების საქმიანობაზე დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა და სხვა. ასევე წარმოდგენილია **დირექტორის ბრძანება #59 20.09.2023წ. "სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის დებულების დამტკიცების შესახებ"**, რომელიც არეგულირებს სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკას. თუმცა დოკუმენტი უფრო შაბლონური ხასიათისაა და ნაკლებად ითვალისწინებს კონკრეტული სკოლის კონტექსტს. **სკოლას არ წარმოუდგენია ხარისხის მართვის ჯგუფის საქმიანობის დამადასტურებელი მასალები, რაც დაადასტურებდა ავტორიზაციის განაცხადში აღწერილ პროცესებს, ხარისხის უზრუნველყოფის დებულებით გათვალისწინებულ აქტივობების პრაქტიკაში რაიმე ფორმით განხორციელებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმებს.** აღნიშნული არ დადასტურდა არც მასწავლებლებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი მასალების შესწავლით. **შესაბამისად ინდიკატორი შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო.**

არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც დაგეგმა პერსონალის შეფასების და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმების შემუშავება, ასევე ხარისხის მართვის ჯგუფის საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტების შედგენა/შენახვის მექანიზმის შემუშავება. სკოლას მიეცა რეკომენდაცია აღნიშნული განახორციელოს შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადებში 01.11.2023წ. - 22.12.2023წ.
ინდიკატორი 3.2.1.1. მეტწილ შესაბამისობაშია.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;

სკოლა განაცხადში აღნიშნავს, რომ სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას. გამოკვეთს ძლიერ და გასაუმჯობესებელ მიმართულებას და ამის შემდეგ ანალიზის საფუძველზე იგეგმება და ხორციელდება პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესი. პროფესიული განვითარების საფუძვლად სკოლა ასახელებს: სტრატეგიული განვითარების გეგმის საჭიროებებს, გარემოში არსებულ ცვლილებებს, ორგანიზაციულ შედეგებს, თანამშრომელთა ინდივიდუალურ პროფესიულ საჭიროებებს, ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგის, რომელიც ემსახურება სკოლის მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნების შესრულებას. სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დირექტორის განცხადებით, პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროების საფუძველზე. სკოლის განცხადებით, მასწავლებლები ჩართული არიან განვითარებისათვის საჭირო აქტივობებში (ტრენინგები, ვებინარები, კონკურსები). აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოჰყავს ის ფაქტი, რომ 2022 წელს ორმა მასწავლებელმა მიიღო უფროსი მასწავლებლის სტატუსი.

დოკუმენტაციის შესწავლითა და ადგილზე დირექტორთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით არ იკვეთება, რომ სკოლაში ხდება პერსონალის განვითარება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე და შესაბამისად არ ჩანს ამ მიმართულებით შემუშავებული რაიმე გეგმა. სკოლას წარმოდგენილი აქვს კათედრის ოქმები, მაგ. **მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი № 1 12.09.2023 წ.** სადაც განხილულია საკითხი "ურთიერთდასწრება ,,კრიტიკული მეგობარი" (უკუკავშირი და ანალიზი). ასევე **უცხოური და ქართული ენების კათედრის სხდომის ოქმი № 1 08.09.2023 წ.** სადაც განხიულილია საკითხი - ურთიერთდასწრების განრიგის შედგენა და საგნობრივი პროექტები. თუმცა მასალებში არ ჩანს რაიმე სახის კონკრეტიკა. განაცხადში აღწერილი მონაცემები და ოქმებში ასახული საკითხები უფრო შაბლონური ხასიათისაა და ნაკლებად ასახავს სკოლის რეალობას და არ აღწერს კონკრეტულ ღონისძიებებს/აქტივობებს. სკოლის მასწავლებლებს ესაჭიროებათ პროფესიული განვითარება სხვადასხვა მიმართულებით. **შესაბამისად ინდიკატორი შეფასებული იყო, როგორც შეუსაბამო.**

არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც აიღო ვალდებულება უზრუნველყოს გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე პერსონალის განვითარებაზე მიმართული გეგმის შედგენა. სკოლას მიეცა რეკომენდაცია აღნიშნული განახორციელოს შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადებში 01.11.2023წ. - 22.12.2023წ.
ინდიკატორი 3.2.1.2. მეტწილ შესაბამისობაშია.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

სკოლა განაცხადში აღნიშნავს, რომ ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით. სკოლას აქვა სისტემა, რომლის ფარგლებში მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა გააკეთონ მუდმივად თვითშეფასება, გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების განსავითარებლად გეგმავენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თავიანთ პროფესიულ განვითარებას, რომლის პროცესშიც სკოლა მხარდამჭერ როლს ასრულებს. ამისთვის სკოლა ახალისებს თანამშრომლობას გამოცდილების გაზიარებით - **კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტით,** განმავითარებელი უკუკავშირის მიცემით. სკოლის 15 მოქმედი მასწავლებლიდან ყველა უფროსია, სასკოლო გარემოს ფარგლებში ამ ეტაპზე ვერც ერთმა ვერ მიაღწია წამყვანობას. **წარმოდგენილი მასალების შესწავლითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით ვერ გამოიკვეთა, სკოლა როგორ უზრუნველყოფს დასაქმებულთა პროფესიულ განვითარების ხელშეწყობას, როგორ უწყობს ხელს სკოლაში დასაქმებული პირების კარიერულ ზრდას, როგორ აქვს გააზრებული ეს პროცესი და მისი მნიშვნელობა. შესაბამისად ინდიკატორი შეფასებული იყო, როგორც შეუსაბამო.**

არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც აიღო ვალდებულება უზრუნველყოფს დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებისა და სკოლაში დასაქმებული პირების კარიერული ზრდის მექანიზმების შემუშავება. სკოლას მიეცა რეკომენდაცია აღნიშნული განახორციელოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 01.11.2023წ. - 22.12.2023წ.

ინდიკატორი 3.2.1.3. მეტწილ შესაბამოსბაშია.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

სკოლა განაცხადში აღწერს, რომ თავიდანვე ზრუნავს ახალი კადრის ადაპტაციის პროცესზე, ეს ეტაპებია: მოლოდინები, შეხვედრა „ოჯახის წევრობა“. იმისათვის რომ მოხდეს მათი სწრაფი ადაპტაცია, სკოლა ეხმარება ახალ კადრებს გაეცნონ წესებსა და ტრადიციებს, რათა სწრაფად მოხდეს მათი სოციალიზაცია. **ინდიკატორი 3.2.1.4. ვერ ფასდება პირველადი ავტორზიაციის გამო.**

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

განაცხადში აღნიშნულია, რომ სკოლის პერსონალის საჭიროებები და ინტერესები გამოკვეთილია ზეპირსიტყვიერად (დოკუმენტური სახით არ ფიქსირდება), სკოლა მუდმივად ცდილობს წაახალისოს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინიციატივა და ხელი შეუწყოს მათ განხორციელებას. სკოლა ახალისებს პერსონალის ინიციატივებს განვითარებასთან დაკავშირებით პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად. სკოლას ადამიანური რესურსების (პერსონალის) მართვის დოკუმენტში გაწერილი აქვს პერსონალის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მართვის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისების მექანიზმები და ფორმები. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ადამიანურ რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რაც იძლევა ინიციატივების წახალისების შესაძლებლობას.

რჩევა: მიზანშეწონილია ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი იყოს უფრო კონკრეტული და მეტად მოერგოს სკოლის კონტექსტს.

ინდიკატორი 3.2.1.5. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი.
- მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი № 1 12.09.2023 წ
- უცხოური და ქართული ენების კათედრის სხდომის ოქმი № 1 08.09.2023 წ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ **მეტწილად შეესაბამება**
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;**

სკოლის განაცხადში აღნიშნულია, რომ საგანმანათლებლო საქმიანობა არის პროცესებზე და არა თვლად ინდიკატორებზე დაფუძნებული, საგანმანათლებლო პროცესების მსვლელობისას იქმნება გარკვეული დოკუმენტები და მტკიცებულებები, თუმცა მათი წარმოება არ არის მთავარი მამოძრავებელი ელემენტი. სასკოლო საზოგადოებისთვის საწყისი არის ხარისხის უზრუნველყოფა, რომელიც პროცესების კვლევას და შემდგომ განვითარებას გულისხმობს.

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის დაფუძნება პროცესულ მიდგომაზე გამოიხატება იმაში, რომ სკოლას შემუშავებული აქვს **ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი,** რომელიც განსაზღვრავს ხარისხის მაჩვენებლებს ისეთი შედეგების გათვალისწინებით, რომლებიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ მოსწავლეთა განვითარებაზე.

მტკიცებულება - დირექტორის ბრძანება "ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმეტის დამტკიცების შესახებ".

სკოლის თვითშეფასების ანგარიშის შემდეგ სკოლამ შეიმუშავა **ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024 ს/წ,** რომელშიც ასახულია თვითშეფასების შედეგად გამოვლენილი პრიორიტეტები. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება და ადამიანური რესურსების განვითარება, რისთვისაც გაწერილია კონკრეტული ამოცანები და აქტივობები. მაგ. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების მიზნით სკოლას დასახული აქვს ამოცანა - სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/ განხორციელება. ასევე გაწერილი აქვს ამ ამოცანის შესასრულებლად საჭირო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კონკრეტული აქტივობები. სკოლის შინაგანაწესში მე-4 მუხლი ითვალისწინებს სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმებს და ფარგლებს. **ინდიკატორი 3.3.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

სკოლას გააზრებული აქვს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები, როგორც მმართველობითი, ისე ძირითადი და დამხმარე, რაც მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: მუშაობას სასკოლო საზოგადოებასთან - მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან (შეხვედრები). მუშაობას სასკოლო დოკუმენტაციასა და საქმის წარმოებაზე. მაგ. სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და სხვ. სკოლა დამხმარე პროცესებში მოიაზრებს დისციპლინური კომიტეტის მუშაობას, საჭიროებიდან გამომდინარე სიტუაციური გადაწყვეტილებების მიღებას, მშობლებთან ინდივიდუალურ შეხვედრებს და სხვა.

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები და ამ პროცესებში ჩართული სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა რგოლის ფუნქციები აღწერილია სკოლის სამართლებრივ დოკუმენტებში: სასკოლო სასწავლო გეგმაში, სამოქმედო გეგმაში, კურიკულუმებსა და სკოლის შინაგანაწესში. მაგ. სკოლის 2023-2024 ს/წ სამოქმედო გეგმა დეკლარირებული მიზნების მისაღწევად მიზნად ისახავს: 1. სასწავლო ხარისხის ამაღლება, 2. ადამიანური რესურსების განვითარება, 3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, 4. უსაფრთხო, ორგანიზებული გარემოს უზრუნველყოფა, 5. სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა.

მმართველობითი პროცესები (სკოლის ადმინისტრაციული მართვა, დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში, გაწერილია პასუხისმგებლობები) ასახულია შრომით ხელეკრულებებში მოცემულ თანამდებობრივ ინსტრუქციებში.

შინაგანაწესის მე-19 და მე-20 მუხლები არეგულირებს დისციპლინურ დევნას. განსაზღვრულია დასაქმებულის მიერ დისციპლინური გადაცდომისა და პასუხისგებლობის სახეები. **შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი.**

დამხმარე პროცესები (საკადრო პოლიტიკა, საქმისწარმოების პროცესები და სხვა) აღწერილი და განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით და საქმისწარმოების ერთიანი წესების მარეგულირებელი დოკუმენტით. საქმისწარმოების მარეგულირებელ დოკუმენტად სკოლამ წარმოადგინა **დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სკოლაში მოქმედი საქმისწარმოების წესი #58 20.09.2023წ..**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები გათვალისწინებულია ხარისხის მართვის მექანიზმებით - დირექტორის ბრძანება #59 20.09.2023წ.

შინაგანაწესით მოწესრიგებულია დამხმარე პროცესები - საკადრო საკითხები: შრომით ურთიერთობის წარმოშობის და შეწყვეტის წესი და პირობები, სამსახურში გამოუცხადებლობის წესი, წახალისების სახეები და მათი გამოყენების წესი, პერსონალის მატერიალური პასუხისმგებლობა, მასწავლებლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები.

ინდიკატორი 3.3.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

სკოლის თანამშრომლებს, მოსწავლეებს/მშობლებს/კანონიერი წარმომადგენლებს აქვთ უფლება საჩივრის დაფიქსირების. მიღებასა და განხილვას უზრუნველყოფს დაწესებულა გაწერილი შიდა რეგულაციით (შინაგანაწესი, დისციპლინური კომიტეტი). სკოლა ცდილობს ეს პროცესი წარიმართოს ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით. სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას როგორც მის უფლებებსა და მოვალეობებზე, ასევე გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე და სკოლის გარეთ არსებულ მექანიზმებზე. **სკოლის შინაგანაწესის** მე-20 მუხლი ითვალისწინებს განცხადების/საჩივრის განხილვის წესს. სკოლას ნიმუშის სახით წარმოდგენილი აქვს მშობელთა კრების ოქმი, საიდანაც ჩანს რომ მშობლები ეცნობიან სკოლის შინაგანაწესს და სასკოლო რეგულაციებს. სკოლის ცენტრალურ ფოიეში **გამოკრულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი** და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

ინდიკატორი 3.3.1.3. დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში არსებობს მშობლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვთ უფლებები. სკოლა ყურადღებას ამახვილებს სასკოლო თემის წევრების ინფორმირებულობაზე საკუთარი უფლებების შესახებ. სხვადასხვა აქტივობების წარმათვისას სკოლა მხედველობაში იღებს ამ უფლებებს და საჭიროების შემთხვევაში სასკოლო საზოგადოების წევრებს უხსნის, თუ რა განაპირობს სხვადასხვა ვითარებაში მათ ნაწილობრივ შეზღუდვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში მოქმედი პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის გამოხატულებაა სკოლის **შინაგანაწესში გაწერილი პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.** სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი დისციპლინური გადაცდომები და სახდელის ზომები.

სკოლას წარმოდგენილი აქვს **სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება,** რომლითაც რეგულირებულია სკოლისა და მშობლის ურთიერთვალდებულებები, მშობლის გაფრთხილების წესი და სხვა, რაც უზრუნველყოფს მშობლის უფლებების დაცვას. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს მშობელთან კომუნიკაციის დებულება, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით # 45 13.09. 2023წ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- ხარისხის მართვის მექანიზმები - დირექტორის ბრძანება #59 20.09.2023წ.
- დირექტორის ბრძანებით #58 20.09.2023**წ.** დამტკიცებული სკოლაში მოქმედი საქმისწარმოების წესი
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024 ს/წ
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი
- სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება
- მშობელთან კომუნიკაციის დებულება - დირექტორის ბრძანება # 45 13.09. 2023წ.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

სკოლა ახდენს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას, უკუკავშირის მიღებას მართვის პროცესებთან დაკავშირებით. სკოლის განმარტებით, საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურობას სასკოლო საზოგადოების ჩართულობა განაპირობებს, საგანმანათლებლო პროცესი როგორც წესი კომპლექსურია, თუ სასკოლო საზოგადოების წევრები რეგულარულად არ მონაწილეობენ მმართველობით პროცესში მათ შეკითხვები უჩნდებათ მიმდინარე აქტივობების გრძელვადიან მიზნებთან. **სკოლაში უკუკავშირის მიღების მექანიზმის მოქმედება ჩანს** მშობლების გამოკითხვაში, რომელიც ჩაატარა სამუშაო ჯგუფმა 2023-2024 ს/წლის დასაწყისში სტრატეგიულ გეგმაზე მუშობის პროცესში.

მშობლები ინფორმაციას შვილების აკადემიური მოსწრებისა და გაკვეთილებზე დასწრების შესახებ იღებენ **ელექტრონული ჟურნალის** მეშვეობით. ამასთანავე დამრიგებლები აწვდიან მშობლებს ინფორმაციას კლასებში არსებულ სიტუაციაზე. აღნიშნული დასტურდება ადგილზე ვიზიტის დროს ელექტრონული ჟურნალის დათვალიერებით, საიდანაც ჩანს მოსწავლის დასწრებისა და მოსწრების შესახებ ინფორმაციების ასახვა. **ასევე სკოლამ წარმოადგინა მშობელთა კრებების ოქმის ნიმუში,** რომლის დღის წესრიგიც მოიცავს სასწავლო წლის დასაწყისში სასკოლო სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის, სადამრიგებლო პროგრამის და სხვა ინფორმაციების გაცნობას მშობლებისათვის. ასევე მშობელთა საკონტაქტო მონაცემების დაზუსტებას. ასევე **სკოლას შემუშვებული აქვს "მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან კომუნიკაციის შესახებ"** დებულება, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით #45 13.09. 2023წ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

სკოლა ავტორიზაციის განაცხადში აღნიშნავს, რომ დემოკრატიული კულტურის ჩამოყალიბებისათვის საჭიროა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობა ისე, რომ მათ ჰქონდეთ მიკუთვნებულობის განცდა და თავს გრძნობდნენ სასკოლო საზოგადოების სრულფასოვან წევრად. ამისათვის კი საჭიროდ მიიჩნევს მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს ჰქონდეთ საკუთარი აზრის გამოთქმისა და პოზიციის დაფიქსირების, გადაწყვეტილების პროცესში მონაწილეობის საშუალება. აღნიშნული დასტურდება სამეურვეო საბჭოს სხდომებში მშობელთა მონაწილეობით, სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს რამდენიმე სხდომის ოქმი.

დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში შედის თანაბარი პროპორციით მშობელი და მასწავლებელი. **დისციპლინური კომიტეტის ოქმი** ეხება კომიტეტის თავმჯდომარისა და მდივნის არჩევას. სკოლაში შექმნილია **ისგ ჯგუფები,** რომელთა საქმიანობაში მონაწილეობას იღებს მშობელი. მტკიცებულება დირექტორის ბრძანება ისგ ჯგუფის შექმნის შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობელთა კრების ოქმი
- "მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან კომუნიკაციის შესახებ" - დირექტორის ბრძანება #45 13.09. 2023წ.
- სამეურვეო საბჭოს ხდომების ოქმები
- დისციპლინური კომიტეტის ოქმი - თავმჯდომარისა და მდივნის არჩევის შესახებ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;

სკოლის ტერიტორიაზე უზრუნველყოფილია ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა და პირველადი დახმარების აღმოჩენა. სკოლის პირველი შენობა აშენებულია 1939 წელს, ახალი შენობა აშენებულია 2020 წელს მუნიციპალური განვითარების ფონდისა და ინფრასტრუქტურის სააგენტოს მიერ. შენობა 1 სართულიანია და შედგება ერთი ფლიგელისაგან. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უსაფრთხო გარემოს შექმნით, ამისათვის სკოლაში არსებობს **უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი (სკოლის მასწავლებელი)** - სკოლის დირექტორის ბრძანება #90 01.10.2021წ. სკოლას არ ჰყავს მანდატური. **ფიზიკურ უსაფრთხოებას იცავს სკოლის დარაჯი.** სკოლის ეზოში შესვლა-გამოსვლა და გადაადგილება უსაფრთხოა, სკოლის მთელი პერიმეტრი შემოღობილია კაპიტალური ღობით.

სკოლაში დამონტაჟებულია **სათვალთვალო ვიდეოკამერები**, რათა გააკონტროლოს როგორც სკოლის გარე, ასევე შიდა პერიმეტრი. განაცხადში სკოლა აღნიშნავს, რომ უსაფრთხოებას აკონტროლებს კამერებით, თუმცა დირექტორის განცხადებით **მოცემულ ეტაპზე კამერები არ ფუნქციონირებს, რადგან დაზიანებულია და სკოლამ ამ ეტაპზე ვერ უზრუნველყო მათი შეკეთება და გამართულობა.**

სკოლაში მოსწავლეთა და პერსონალის უსაფრთხოების დაცვას ემსახურება თვალსაჩინო ადგილზე, სკოლის დერეფნებში გამოკრული ევაკუაციის გეგმები, სახანძრო სტენდი. სკოლას აქვს **ევაკუაციის გეგმა,** რომელიც სრულად შეესაბამება შენობის შესაბამისი ფლიგელის რეალურ მდგომარეობას. შენობაში მოქმედებს რამდენიმე **საევაკუაციო გასასვლელები,** მათ შორის კორპუსის წინა და უკანა ეზოში. შენობაში განთავსებულია სახანძრო კუთხე და სახანძრო დაფა ცენტრალურ შემოსასვლელში. სართულებზე დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები დამუხტულ მდგომარეობაში. ჭერზე დამონტაჟებულია **სახანძრო სიგნალიზაციის სისტემა.** თუმცა **სკოლას არა აქვს დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ და არ დაუწყია შესაბამისი პროცედურები.**

შენობაში კონტროლდება შენობაში შემომსვლელი უცხო პირები, რომელიც ტარდება **ვიზიტორთა აღრიცხვის ჟურნალში.** თუმცა სკოლას არ ჰყავს გამოკვეთილი კონკრეტული პირი, რომელიც ჟურნალში აღრიცხავს შემომსვლელ და გამსვლელ გარეშე პირებს. სკოლაში არ ყოფილა დარღვევა, რაც გახდებოდა დისციპლინურ კომიტეტის განხილვის საგანი. სკოლის დირექტორი ახდენს ნებისმიერი სახის გადაცდომის იდენტიფიცირებასა და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას.

სკოლას არა აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული და შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთნ შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა მიწერილობა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.

რაც შეეხება პირველად სამედიცინო დახმარებას, სკოლაში ფუნქციონირებს **სამედიცინო კაბინეტი,** რომელიც აღჭურვილია პირველადი სამედიცინო საშუალებებით, მათ შორის ცალკეული მედიკამენტებით. **სკოლას ჰყავს კვალიფიციური ექთანი,** რომელიც მუდმივად იმყოფება ადგილზე და საჭიროების შემთხვევაში დახმარებას აღმოუჩენს სასკოლო საზოგადოების წევრებს. აღნიშნული **დასტურდება ექთნის მიერ წარმოებული ჩანაწერებით,** სადაც დაფიქსირებულია რა საჩივრით მიმართა მოსწავლემ ექთანს, როდის და რა რეაგირება მოახდინა ამაზე ექიმმა, რა მედიკამენტი გასცა. სასწრაფოს გამოძახების შემთხვევები არ ფიქსირდება. სკოლის ლაბორატორიებში არსებული ხელსაწყოები და მავნე რეაქტივები ასევე დაცულია და ინახება უსაფრთხო ადგილზე.

სკოლას არა აქვს შენობის მდგრადობის დამადასტურებელი დასკვნა და ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა შესაბამისი განაცხადი დასკვნის მოპოვების მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში დაწესებულია ასევე მასწავლებელთა **მორიგეობა, შედგენილია მორიგეობის განრიგი,** რომლის მეშვეობითაც დამატებით ხდება მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა. მორიგეობის განრიგი გამოკრულია დერეფანში თვალსაჩინო ადგილზე. სკოლას არ ჰყავს მანდატური.

სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა დასკვნები შენობის მდგრადობის და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ, ასევე არ ჰქონდა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. შესაბამისად ინდიკატორი შეფასებული იყო, როგორც შეუსაბამო.

არგუმენტირებული პოზიციის წარმოადგენის დროს სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც გაწერა აქტივობები შესაბამისი დასკვნების მოპოვების შესახებ. ამასთან, სკოლამ წარმოადგინა მიწერილობა #1325935 09.10.2023წ. ლ. სამხარუალის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასებისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების დადგენის შესახებ.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული და შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთნ შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადებში 09.10.023წ-09.10.2024წ.. ასევე მოიპოვოს შენობის მდგრადობის დამადასტურებელი დასკვნა შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადებში 09.10.2023წ-09.10.2024წ. ასევე მოიპოვოს დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადებში 09.10.2023წ-09.10.2024წ.

ინდიკატორი 3.4.1.1. მეტწილ შესაბამისობაშია.

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე ზრუნავს **მორიგე მასწავლებლები და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.** სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში პირთა მშვიდობიანი თანაარსებობა. ჩართულ სუბიექტებს შორის არ ფიქსირდება ქმედება, რომელსაც შეუძლია დაარღვიოს ყოველდიური ჩვეული სასკოლო ცხოვრება. სკოლის განცხადებით, სკოლის მხრიდან მინიმუმამდე არის დაყვანილი უცხო პირების სკოლის ტერიტორიაზე გადაადგილება, აკრძალული ნივთებით სკოლის ტერიტორიაზე გადაადგილება. სკოლა ადეკვატურად ახდენს გამოვლენის დარღვევებზე სათანადო რეაგირებას, სკოლაში დანერგილია პოზიტიური დისციპლინარული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პოლიტიკა, რაც განაპირობებს დარღვევების შემცირებას. სკოლაში არ ყოფილა დისციპლინური კომიტეტის მოწვევის საჭიროება, რადგან მცირეკონტიგენტიანია და დირექტორი თავად აწესრიგებს დარღვევებს. **ინდიკატორი 3.4.1.2. დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

მოსწავლეებთან აქტიურად მუშაობენ შესაბამისი კლასის დამრიგებლები და აწვდიან საჭირო სახით ინფორმაციას, გარდა ამისა **სკოლის ექთანი მართავს მოსწავლეებთან შეხვედრებს და აწვდის მათ საჭირო ინფორმაციას ფსიქო-ემოციური უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით.** სკოლის განცხადებით, მოსწავლეებს შეუძლიათ გაკვეთილებზე ღიად პრობლემებსა და გამოწვევებზე საუბარი, ასევე მიღწევების გაზიარება, რაც მხარდაჭერილია მასწავლებლების მიერ, არ ქმნის დისკრიმინაციის საფუძველს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა თვითგამოხატვას. მოსწავლეთა მხარდაჭერა ვლინდება სკოლაში იმით, რომ სკოლის დერეფნაში და საკლასო ოთახებში გამოკრულია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსაზრებები. სკოლაში ყველა თანამშრომელს აქვს საჭირო ინფორმაცია ძალადობის ნიშნების ამოსაცნობად, ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევების გამოვლენისა და სათანადო რეაგირებისთვის. 1 ივნისს ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით სკოლაში გაიმართა ღონისძიება, რომელიც ემსახურებოდა ბავშვთა უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლებას. ინფორმაცია ასახულია სკოლის ფეისბუკ-გვერდზე (საღრაშენის საჯარო სკოლა). სკოლას არ ჰქონია მოსწავლის რეფერირების საჭიროება და შესაბამისად არ აწარმოებს შესაბამის ჟურნალს.

არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც აიღო ვალდებულება შეიმუშავეოს რეფერირების წესი და გამოყოს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი "ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016წ. 12.09.#437 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად. სკოლას მიეცა რეკომენდაცია აღნიშნული უზრუნველყოს შესაბამიოსბის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 01.11.2023წ-22.12.2023წ.

ინდიკატორი 3.4.1.3. მეტწილად შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები როგორც შიდა ასევე გარე პერიმეტრზე, რომელიც აუცილებელია მოსწავლეთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხო სასწავლო პროცესისათვის. სკოლა მომარაგებულია სამინისტროს მიერ სადეზინფექციო ხსნარებით. მათი კონტროლი ხდება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, რისთვისაც გამოყოფილია სპეციალური ოთახი. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას ხელს უწყობს სკოლის ახალი შენობაც. სკოლა თავისი ფინანსური ხარჯებით იძენს საჭიროებიდან გამომდინარე სხვადასხვა ჰიგიენურ საშუალებებს, რომლებიც განთავსებულია სპეციალურ საცავში ბავშვებისაგან იზოლირებულ ადგილას. დეზინფექციას სკოლაში პერიოდულად ატარებს სკოლის დამლაგებელი (სკოლას ჰყავს ერთი დამლაგებელი). სკოლას გააჩნია ინფრასტრუქტურაზე მორგებული დასუფთავებისა და გამართული შემოწმების პრაქტიკა, რომელსაც ახორციელებს სკოლის დირექტორი და ექთანი. **ინდიკატორი 3.4.1.4. დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის უფლება დაცულია პერსონალური მონაცემების დაცვის სისტემით. ყველა ის პირი, რომლის შესახებაც მუშავდება ინფორმაცია წარმოადგენს მონაცემთა სუბიექტს. მასწავლებელთა პერსონლურ მონაცემთა დამუშავება იწყება ვაკანტურ ადგილზე განცხადების შეტანის მომენტიდან და გრძელდება სკოლაში დასაქმების მთელი პერიოდის განმავლობაში. ყველა თანამშრომელთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია საგანგებო მუხლი, რომლითაც განსაზღვრულია პერსონალური მონაცემების დამუშავების, გამოყენებისა და გავრცელების. მუხლის მოიცავს თანამშრომლის თანხმობას მისი პერსონალური მონაცემები სკოლის მიერ დამუშავდეს და გამოყენებულ იქნას საჭიროებისამებრ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში სკოლა ვალდებულებას იღებს მონიტორინგი გაუწიოს უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების პროცესს.
ინდიკატორი 3.4.1.5. დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში პირადი/პერსონალური ინფორმაციის დაცვა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად. მოსწავლეთა მონაცემების დამუშავება იწყება მათი სკოლაში რეგისტრაციის მომენტიდან და გრძელდება მთელი სასწავლო ცხოვრების მანძილზე და მის შემდეგაც, ვინაიდან გარკვეული ინფორმაცია სკოლაში ინახება სასწავლო პროცესის დასრულების შემდგომაც, ხოლო მასწავლებელთა და სხვა დასაქმებულ პირთა პერსონალურ მონაცემთა დამუშავება იწყება ვაკანტურ ადგილზე განცხადების შეტანის მომენტიდან და გრძელდება შრომითი ურთიერთობის მანძილზე და შემდეგაც, ვინაიდან გარკვეული პერიოდის განმავლობაში სკოლაში ინახება ყოფილი თანამშრომლების პერსონალური მონაცემები. მოსწავლეთა/მასწავლებელთა/სკოლის პერსონალთა მონაცემები მუშავდება მხოლოდ მიზნობრივობიდან გამომდინარე. **რჩევა: მიზანშეწონილია სკოლამ წერილობით განსაზღვროს იმ პირთა უფლება-მოვალეობები, რომლებიც მონაწილეობენ პერსონალური მონაცემების დამუშავებაში (მაგ. საქმისმწარმოებელი, კლასის დამრიგებელი და სხვა). ინდიკატორი 3.4.1.6. დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

სკოლის მიერ ხორციელდება პერიოდულად უსაფრთხოების უზრუნველყოფის მონიტორინგი, მათი გაუმჯობესების მიზნით. სკოლის განმარტებით, აღნიშნულპროცესს აქვს სისტემური ხასიათი და შედეგების საფუძველზე ხდება მყისიერი რეაგირება საჭირო ცვლილებების განხორციელების მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება #90 01.10.2021წ.
- მასწავლებელთა მორიგოების განრიგი
- საევაკუაციო გეგმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შრომითი ხელშეკრულება - პერსონალური მონაცემების დაცვა
- შრომითი ხელშეკრულება ექთანთან
- ვიზიტორთა აღრიცხვის ჟურნალი
- სკოლის ფეისბუკ-გვერდი - საღრაშენის საჯარო სკოლა

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ **მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

სკოლაში მოწესრიგებულია ინფრასტრუქტურული და მატერიალური გარემო მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლაში უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო საქმიანობისათვის შესაბამისი და მოწესრიგებული ფიზიკური გარემოთი, რაც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფილად წარმართვას. მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად მოწყობილია საკლასო ოთახები,

სკოლის ახალი შენობა აშენებულია 2020 წელს და სრულად კეთილმოწყობილია მუნიციპალური განვითარების ფონდისა და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის სააგენტოს მიერ. **ამჟამად სკოლაში სწავლობს 28 მოსწავლე. საავტორიზაციო განაცხადი შემოტანილია - 120 მოსწავლეზე. სკოლამ ვერ წარმოადგინა აზომვითი ნახაზის მატერიალური ვერსია** (აქვს ელექტრონული ვერსია, რომელიც არ იხსნება). აქვს რეკრეაციული ზონა (კეთილმოწყობილი სკოლის ეზო და მწვანე ნარგავები), ღია ტიპის სპორტული მოედანი, არა აქვს დახურული ტიპის სპორტ-დარბაზი. შენობა აღჭურვილია ყველა საჭირო ინფრასტრუქტურით, მათ შორის სსსმ მოსწავლეებისათვის შიდა ადაპტირებული ტუალეტებით. სკოლას აქვს ცენტრალური გათბობის სისტემა - ცალკე მდგომი საქვაბე, რომელსაც ემსახურება ცეცხლფარეში. სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა ერთ სივრცეში. საკლასო ოთახები აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, ინდივიდუალური მერხებით, მასწავლებლის მაგიდით.

შენობა ერთსართულიანია (ერთი ფლიგელი) და სულ 9 საკლასო ოთახის სივრცეა. საკლასო ოთახად მოცემულ მომენტში გამოყენებულია 6 ოთახი. სკოლას აქვს I, V, VI, VII და VIII კლასები. III-IV კლასები - კლას-კომპლექტია. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლას არ ჰყავს II და IX კლასები. სკოლამ წარმოადგინა **დიირექტორის ბრძანება #41 08.09.2023წ. "სკოლაში მე-3 და მე-4 კლასების ბაზაზე კლას-კომპლექტის შექმნის**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესახებ". გამოთავისუფლებულია მე-9 და მე-2 კლასების საკლასო ოთახის სივრცეები. იმავე ფლიგელში განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი, რესურს-ოთახი, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია ერთ სივრცეში. დირექტორის კაბინეტი განთავსებულია ერთ ოთახში, რომელსაც აქვს პატარა სათავსო. თუ სკოლას ეყოლება 9 ფინანსური კლასი და დაკავდება ყველა საკლასო ოთახი, შენობაში არ დარჩება არც ერთი თავისუფალი სივრცე დირექტორის კაბინეტისა და რესურს-ოთახის მოსაწყობად, არც საბუნებისმეტყველო ლაბორატორისაათვის. სკოლას არა აქვს სააქტო დარბაზი და სპორტული დარბაზი.

სკოლას აქვს დიდი დერეფანი და ფოიე, რომელიც ასრულებს სოციალიზაციისაათვის და დასვენებისათვის ხელშემწყობი სივრცის ფუნქციას შენობაში. **სკოლაში მოწყობილია კომპიუტერული ლაბორატორია,** რომელიც აღჭურვილია ინტერნეტ-ქსელში ჩართული 5 კომპიუტერით, ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ლაბორატორია და შემოწმდა კომპიუტერების ინტერნეტ ქსელში ჩართულობა.

სველი წერტილები განლაგებულია შენობის ბოლოში და გამიჯნულია გოგონებისა და ვაჟებისათვის ცალ-ცალკე. ცალკე სველი წერტილია გამოყოფილი მასწავლებლებისათვის. ტუალეტებში მოწყობილია ინდივიდულური კაბინები ჩამკეტი კარით. კაბინის კარებები, ხელსაბანები/ონკანები გამართულ მდგომარეობაშია.

სკოლას აქვს კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა, სადაც დამონტაჟებულია წიგნების კარადები. წიგნადი ფონდი მცირეა და ძირითადად მოიცავს სასკოლო სახელმძღვანელოებს, მხატვრულ და მეთოდურ ლიტერატურას. **ბიბლიოთეკაში არ იწარმოება ელექტრონული კატალოგი, წიგნები არ არის დალაგებული ანბანური პრინციპით. ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო წიგნების დამუშავების წესს, რომელიც არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს** (ყველა წიგნი არ არის დანომრილი და დაშტამპული სკოლის შტამპით). ბიბლიოთეკას აქვს სამკითხველო სივრცე და სათანადო საოფისე ინვენტარი. მასწავლებლები და მოსწავლეები საჭიროების შემთხვევაში სარგებლობენ წიგნადი ფონდით როგორც წესი ადგილზე მომსახურებით. გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები განაწილებულია მოსწავლეებზე და მათი გარკვეული ეგზემპლარები ინახება ბიბლიოთეკაში მასწავლებლებისათვის.

რჩევა: მიზანშეწონილია სკოლამ ბიბლიოთეკით მომსახურება შეუთავსოს ისეთ თანამშრომელს, რომელიც უზრუნველყოფს წიგნადი ფონდის აღრიცხვასა და საბიბლიოთეკო ცხოვრების ეფექტურად წარმართვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირველ სართულზეა სამედიცინო კაბინეტი 15 კვ.მ. რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით, ტექნიკით, მედიკამენტებით, სადაც ხორციელდება სამედიცინო მომსახურების გაწევა. კაბინეტი აღჭურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთლობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების #41/ნ/01-23/ნ 21.03.2022წ. მე-4 მუხლით გათვალისწინებული იმ ინვენტარით, რომლითაც სკოლა მოამარაგა ინფრასტრუქტურის სააგენტომ.

1. **სკოლას არა აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სააქტო და სპორტული დარბაზები. შესაბამისად შეუძლებელია რაიმე სახის ცდების ჩატარება მოსწავლეებისათვის. ამ ეტაპზე შენობაში არ არის თავისუფალი სივრცე ლაბორატორიისათვის, რადგან ყველა ოთახი დაკავებულია.** ლაბორატორიის მოწყობა შესაძლებელია იმ სივრცეში, სადაც განთავსებულია დირექტორის კაბინეტი.
   რჩევა: მიზანშეწონილია სკოლამ შეიძინოს ვირტუალური ლაბორატორია და სათანადო ელექრონული რესურსები, რათა უზრუნველყოს სასწავლო გეგმის მოთხოვნების სათანადოდ შესრულება.

სკოლის ეზოში არის მავთულბადის ღობით გამოყოფილი ღია სპორტული მოედანი. მოედანი იზოლირებულია დასახლებული პუნქტისაგან და მოსწავლეების მიერ მისი სარგებლობა უსაფრთხოა.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლის მისიით და მიზნებით განსაზღვრული და დაგეგმილი შედეგების მისაღწევად **სკოლას აქვს საჭირო რაოდენობის სასწავლო ინვენტარი - მერხები, სკამები, რაც შეესაბამება მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას.**

სკოლის მატერიალური რესურსის ჩამონათვალი: კლასების უმეტესობაში მოსწავლეთა რიცხოვნება 5 მოსწავლეს არ აღემატება. შესაბამისად კლასების უმეტესობაში დგას 4-5 მერხი და სკამი. ყველა კლასში დამონტაჟებულია დაფა, დგას მასწავლებლის მაგიდა.

მტკიცებულება: სკოლამ წარმოადგინა მერხებისა და სკამების მიღება-ჩაბარების აქტები, რომელთა მიხედვითაც სკოლას აქვს 100-მდე მერხი/სკამი. საკლასო ინვენტარი კარგადაა მოვლილი. სკოლა ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით განსაზღვრავს მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას. მატერიალური რესურსების მართვა კი ხორციელდება სასკოლო სასწავლო გაგმის განსაზღვრული მიზნების შესაბამისად. აღნიშნული ინვენტარი (დამატებითი შევსების პირობებში) საკმარისია 120 მოსწავლისათვის ერთ ცვლაში სწავლის პირობებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში ბოლო ინვენტარიზაცია ჩატარებულია 2022 წლის დეკემბერში - სკოლის დირექტორის ბრძანება #55 30.11.2022წ. საფუძველზე. სკოლას წარმოდგენილი აქვს საინვენტარიზაციო კომისიის სხდომის ოქმი #1.

ინდიკატორი 3.5.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;**

სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის ხელმისაწვდომია საერთო სარგებლობის სივრცეები. სკოლის ბიბლიოთეკა, რომელიც განთავსებულია კომპიუტერული ლაბორატორიის ოთახში, ღია სპორტული მოედანი, რესურს-ოთახი, სკოლის ეზო. მატერიალური რესურსები ხელმისაწვდომია ყველასთვის, რათა მოხდეს მათი ჩართვა სხვადასხვა ინდივიდუალურ და ჯგუფურ აქტივობებში: პრეზენტაცია, პროექტი, სასკოლო ღონისძიებები და სხვა. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის სწავლისა და განვითარებისთვის კომფორტულ, უსაფრთხო გარემოს. **ინდიკატორი 3.5.1.2. დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ და ადაპტირებულ გარემოს. სკოლაში საპირფარეშო არის კთილმოწყობილი სპეციალური შესაძლებლობების მქონე პირთათვის, შენობის შესავლელში მოწყობილია პანდუსი, შენობაში მოწყობილია რესურს-ოთახი (შესაბამისი ინვენტარით). ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის პროცესში მნიშვნელოვანი როლს თამაშობს თანამშრომლობა მასწავლებლებს, მშობლებსა და მოსწავლეებს შორის. **სკოლას ამ ეტაპზე ჰყავს ერთი სსსმ მოსწავლე,** სპეციალურ მასწავლებელთან გასაუბრებით გამოჩნდა თანამშრომლობის მისაღები ხარისხი. **ინდიკატორი 3.5.1.3. დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის ინფრასტრუქტურა აძლევს მოსწავლეებს შესაძლებლობას, რათა ისინი ჩამოყალიბდნენ საზოგადოების აქტიურ წევრებად. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები ერთმანეთთან, სასკოლო საზოგადოებისა და თემის სხვა თანატოლ თუ ზრდასრულ წარმომადგენლებთან. სკოლაში ამ მიზნით არსებობს სივრცეები (ბიბლიოთეკა, ფოიე, სკოლის ეზო), აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით, სადაც მოსწავლეებს გაკვეთილების შემდეგ აქვთ შესაძლებლობა დარჩენის, შეკრებისა და კომუნიკაციის. **ინდიკატორი 3.5.1.4. დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

სკოლას გააჩნია გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები, დამატებითი საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები; სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები და სხვ.). გარდა სასკოლო სახელმძღვანელოსი, სსსმ მოსწავლისათვის გამოიყენება ინდივიდუალურ საჭიროებაზე მორგებული სხვა საგანმანათლებლო რესურსები. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს ბიბლიოთეკის მომსახურებით. მასწავლებლები ითვალისწინებენ სკოლაში არსებულ რესურსებს და შესაბამისად შეიმუშავებენ საგნობრივ კურიკულუმებს. **ინდიკატორი 3.5.1.5. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადგილზე დათვალიერება და ფოტო-მასალები
- სკოლის დირექტორის ბრძანება #55 30.11.2022წ. ინვენტარიზაციის შესახებ.
- სკოლას წარმოდგენილი აქვს საინვენტარიზაციო კომისიის სხდომის ოქმი #1.
- მერხებისა და სკამების მიღება-ჩაბარების აქტები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

მიუხედავად შესაბამისი ადამიანური რესურსების სიმწირისა (სკოლას არ ჰყავს საინფორმაციო მენეჯერი), სკოლა ახერხებს ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. **სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია,** რომელიც სრულად გამართულია ინფრასტრუქტურულად და მასწავლებლებს შეუძლიათ გამოყენონ კომპიუტერები და ასევე პროექტორი სწავლის პროცესში სწავლის პროცესის სრულფასოვნად წარმართვისთვის. სკოლას აქვს 2019-2021 წლებში მიღებული 9 პორტატული კომპიუტერი, 2 ლეპტოპი, 5

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროექტორი, 2 პრინტერი. 2023-24 სასწავლო წლისათვის სკოლა გეგმავს თვითშეფასების/გამოკითხვის ჩატარებას კითხვარის საშუალებით სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობით და გამოვლენილი საჭიროებების უზრუნველსაყოფად შეიმუშაოს ერთწლიანი ციფრული განვითარების გეგმა, რომელსაც ასახავს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმასში. **ინდიკატორი 3.6.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

სკოლას ინფრასტრუქტურის სააგენტომ სხვადასხვა წლებში გადასცა 6 ლეპტოპი, 3 პროექტორი და ორი პრინტერი. შესაბამისად სკოლამ შეიმუშავა მათი გამოყენების გეგმა. 4 ლეპტოპი, 2 პროექტორი და ერთი პრინტერი მოთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში, რომელიც ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის საჭიროების შემთხვევაში. 2 ლეპტოპი მოთავსებულია სამასწავლებლოში და ხელმისაწვდომია მასწავლებლებისათვის. ერთი ლეპტოპი და ფერადი პრინტერი მოთავსებულია რესურს ოთახში. გამოიყენება მიზნობრივად და ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომია. **ინდიკატორი 3.6.1.2. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საინვენტარო აღწერილობა 01.01.2023 წლის მდგომარეობით.
- ადგილზე დათვალიერება და ფოტო-მასალა

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

სკოლა საქმისწარმოების განხორციელების დროს ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 01 ივლისის N 414 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქმისწარმოების ერთიანი წესის დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ დოკუმენტის და ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად.

საქმისწარმოება სკოლაში ელექტრონული სისტემით „ Eflow” -სა და mail“mes.gov.ge” –ის საშუალებით ხორციელდება. ასევე მიმდინარეობს მატერიალური სახით შემოსული კორესპოდენციის კანონით განსაზღვრულ ვადებში დახარისხება, სკოლის თანამშრომლებისათვის მიწოდება, შემოსული კორესპოდენციების გადაგზავნა, შემდგომში მოთხოვნილი ინფორმაციის შეგროვება-დამუშავება, დოკუმენტების კანონით განსაზღვრულ ვადებში შესრულების პროცესის კონტროლის გაწევა და დირექტორისათვის გადაგზავნა.

სკოლამ წარმოადგინა 2023 წელს შემუშავებული საქმისწარმოების წესის დოკუმენტი, რომელიც სავალდებულოა დაწესებულების ყველა თანამშრომლისთვის. აღნიშნული წესი აზუსტებს შემდეგ საკითხებს: დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურები, დოკუმენტების ფორმები და ტიპები, გასული და შემოსული კორესპონდენციების რეგისტირირება, პერსონალისა და მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოების წესი, დოკუმენტების შედგენა, გაფორმება, დავალებების შესრულების კონტროლი და გაგზავნა, ინფორმაციის გაცემის წესი, ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების აღრიცხვის წესი, დოკუმენტების გადაცემა არქივისთვის ან საარქივო დოკუმენტების გამოყენებას.

სკოლის განმარტებით, უზრუნველყოფილია შინაგანაწესით გათვალისწინებულ ვადებში მოქალაქეთა მიღება. კომპეტენციის ფარგლებში გაიცემა საჯარო ინფორმაცია. საქმის მწარმოებელი ახდენს პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლეების საბუთების მიღებას, დახარისხებას და ელ-რეგისტრაციას განსაზღვრულ ვადებში.

სკოლას ჰყავს საქმის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი საქმისმწარმოებლის სახით, რომლის ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრულია შესაბამისი **შრომითი ხელშეკრულებით #1 15.09.2023წ.** საქმისმწარმოებელი თვალყურს ადევნებს განათლების სფეროში მოქმედი კანონების და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აგრეთვე სამინისტროს მიერ გამოცემული სხვა აქტებისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ დაკისრებული სხვა სამსახურებრივი დავალებების შესრულებას. საქმის მწარმოებელი განიხილავს კორესპოდენციებს და ამზადებს პასუხებს მასზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სკოლის Eflow-ს და Eschool-ის სისტემები და მისი წარმოების პროცედურები, რომელსაც ახორციელებს საქმისმწარმოებელი, რითაც დადასტურდა მათი წარმოება სკოლაში მოქმედი საქმისწარმოების წესების შესაბამისად. სკოლაში საქმისწარმოება ხდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის Eflow-ს მეშვეობთ, სადაც აღირიცხება შემოსული და გასული დოკუმენტაცია, რეგისტრაციაში ტარდება თითოეული განცხადება და ენიჭება ინდივიდუალური ნომერი და თარიღი. Eflow-ს სისტემაში იტვირთება განცხადებები, სამსახურებრივი ბარათები, დირექტორის ბრძანებები (თუმცა ყველა ბრძანება არ არის ატვირთული ეფლოუს სისტემაში). ბრძანებები ინახება მატერიალური ფორმითაც სპეციალურ საქაღალდეში. თუმცა სკოლაში ცალ-ცალკე არ არის გაყოფილი საკადრო და საერთო ბრძანებები, ბრძანებებს რიგითობის მიხედვით ენიჭება ინდივიდულური ნომერი, თუმცა ნუმერაციაში არ არის გამიჯნული რომელი მიეკუთვნება საკადრო და რომელი - საერთო ბრძანებას.

რჩევა: მიზანშეწონილია ნუმერაციით გაიმიჯნოს საკადრო და საერთო ბრძანებები. საკადრო ბრძანებების დანომვრა მოხდეს ინდექსი "1"-ით და საერთო ბრძანებების დანომვრა ინდექსი "2"--ით.

ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში გათვალისწინებული სპეციალური მოდულის მეშვეობით სკოლა ელექტრონულად ახორციელებს მოსწავლეთა მობილობის და სტატუსის შეჩერების პროცედურებს. სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს მშობლის განცხადებები პირველ კლასში მოსწავლეთა მიღებაზე. ასევე მოსწავლის კლასში ჩარიცხვისა და კლასიდან ამორიცხვის ბრძანების ნიმუშები. ბრძანების საფუძველში არ არის მითითებული მშობლის განცხადება.

რჩევა: მიზანშეწონილია ბრძანების საფუძველში მითითებული იყოს მშობლის განცხადება, რათა უფრო მარტივად მოხდეს განცხადების, როგორც ბრძანების საფუძვლის იდენტიფიცირება.

თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები რეგისტრირებულია შესაბამის სარეგისტარციო ჟურნალში. ხელშეკრულებები მატერიალური სახით ინახება სპეციალურ საქაღალდეში. მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #113/ნ 2013 წლის 22.08. საფუძველზე. დირექტორის ბრძანებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი საქმისმწარმოებლის სახით.

ინდიკატორი 3.6.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

სკოლა იყენებს საქმისწარმოების/დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას (e-flow, eschool, სკოლის ელ. ფოსტას და სხვა ალტერნატივები), როგორც შიდა, ისე გარე კომუნიკაციის მიზნებისთვის. ასევე, დაწესებულება იყენებს მართვის თანამედროვე ტექნოლოგიებს, როგორებიცაა: Google, office 365 და სხვა პლატფორმები.

კერძოდ, **საქმისწარმოება მიმდინარეობს ელექტრონული ფორმით.** საქმისმწარმოებელი სარგებლობს სამასწავლებლოში დამონტაჟებული კომპიუტერით. სკოლაში მოქმედებს Eflow-ს სისტემა, სადაც ხდება ყოველი შემოსული და გასული დოკუმენტაციის გატარება. ასევე, მოქმედებს eschool-ის ელექტრონული სისტემა, სადაც ხდება სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა შესახებ მონაცემების ასახვა, მოსწავლეთა მობილობის პროცესის განხორციელება, მაძიებელ მასწავლებელთათვის ინფორმაციის აღწერა და ა.შ. eschool-ის სისტემაში ასახულია სკოლაში დასაქმებული ყველა თანამშრომელი. ადგილზე ვიზიტის დროს eschool-იდან ამოვიღეთ თანამშრომელთა და მასწავლებელთა მონაცემები. ამასთანავე, სკოლაში მოქმედებს სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტა, რომლის საშუალებითაც ხდება ინფორმაციების გაცვლა. ამასთან, **Eflow-ს სისტემაში არ იტვირთება სკოლის დირექტორის ყველა ბრძანება. ატვირთულია მხოლოდ ცალკეული ბრძანებები. დირექტორის ბრძანება, როგორც გარკვეული სფეროს მომწესრიგებელი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი, ატვირთული უნდა იყოს ელექტრონული დოკუმენბრუნვის სისტემაში.**

ხარვეზი: სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

ინდიკატორი შეფასებული იყო, როგორც შეუსაბამო. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და აიღო ვალდებულება უზრუნველყოს სკოლის მართვაში თანამედროვე ტექნოლოგიების, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის გამოყენება. სკოლამ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და აღნიშნულის მტკიცებულებად წარმოადგინა სქრინი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის (ეფლოუს) სისტემიდან, სადაც ჩანს სისტემაში ატვირთული სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტები მ/წლის ოქტომბერ-ნოემბერში, რაც გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა. შესაბამისად ინდიკატორი 3.6.2.2. სრულად დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლა სრულყოფილად ასახავს ინფორმაციას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში. მასში სრულადა ასახული მონაცემები სკოლის პერსონალისა და მოსწავლეების, ასევე მათი კანონიერი წარმომადგენლების შესახებ. ასევე ასახულია საგაკვეთილო ცხრილები, არჩეული სახელმძღვანელოები, საგნების განაწილება მასწავლებლებზე და კლასებზე. პროფილის განახლება ხდება საჭიროებების შესაბამისად უწყვეტ რეჟიმში.

ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

სკოლას აქვს საგანმანათლებლო საქმიანობის კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან ანგარიშგებისა და თანამშრომლობის ეფექტიანი გზა. კერძოდ, სკოლის დირექტორი კანონმდებლობის შესაბამისად, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წინაშე წარუდგენს ანგარიშს ფინანსური საქმიანობისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. გარდა აღნიშნულისა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად, სკოლა, როგორც საჯარო დაწესებულება ყოველი წლის 10 დეკემბერს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს, აგრეთვე „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გამოაქვეყნებს ანგარიშს საჯარო ინფორმაციის შესახებ. ამასთანავე. სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს წერილი 10 დეკემბრის ანგარიშის შესახებ. **ინდიკატორი 3.6.2.4. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს ოქმი სკოლის დირექტორის ანგარიში საწავლო პროცესისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ
- საქმისწარმოების წესის დოკუმენტი
- ადგილზე დათვალიერება და ფოტო-სურათები
- მშობელთა განცხადებები I კლასში მოსწავლის მიღებაზე
- კლასისა და საფეხურის დაძლევის ბრძანებები.
- 10 დეკემბრის ანგარიში საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

სკოლა სოციალური ქსელის საშუალებით ასაჯაროვებს ინფორმაციას სასკოლო ცხოვრების შესახებ, ჩატარებული სხვადასხვა აქტივობების ამსახველ ფოტო და ვიდეო მასალის განთავსების მეშვეობით. სოციალური ქსელი არის ინფორმაციის მიღებისა და კომუნიკაციის სწრაფი წყარო, სადაც განთავსებულია სასკოლო ცხოვრების მიმდინარე სიახლეები და აქტივობები. სკოლას აქვს შემუშავებული საზოგადოებასთან/მშობლებთან ურთიერთობის წესი, რომელიც არეგულირებს ისეთ საკითხებს როგორიცაა, ვებგვერდისა და სოციალური ქსელის მართვა, დროული და სწორი ინფორმაციის განთავსება. **თუმცა სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა ვებ-გვერდი. ინდიკატორი შეფასებული იყო, როგორც შეუსაბამო.**

არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც გაწერა აქტივობები: შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვა, ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა, ვებ-გვერდზე სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმაციის ასახვა. სკოლას მიეცა რეკომენდაცია აღნიშნული განახორციელოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 07.10.2023წ-22.12.2023წ. ინდიკატორი 3.6.3.1. მეტწილად შესაბამისობაშია.

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

სკოლის განცახდებით, სკოლის სოციალური ქსელის საშუალებით გასაჯაროებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი. სკოლა ავრცელებს სოციალურ ქსელში ინფორმაციას სკოლის აქტივობების, ჯილდოების, მიღწევების შესახებ და სხვა სახის ინფორმაციას, რომელიც არის გადამოწმებული და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მისი დადასტურება. სკოლა თანამშრომლობს მედეაპროექტ etaloni.ge-სთან. გასათვალისწინებელია, რომ სკოლას არა ჰყავს საინფორმაციო მენეჯერი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

სკოლის განმარტებით, სკოლას აქვს აქტიური კომუნიკაცია სასკოლო თემთან, ნებისმიერი განხორციელებული პროექტის შემდეგ პირადი კონტაქტის თუ სოციალურ ქსელში განთავსებული უკუკავშირის ანალიზის შედეგად კეთდება დასკვნები. რასაც სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად სკოლა იყენებს Teams-სა და messenger ჯგუფებს, ასევე მშობლებთან შეხვედრებს. მაგალითად, მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან ინფორმაციების მიწოდება და მიღებული უკუკავშირის საფუძველზე სათანადო რეაგირება. სკოლა სოციალურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქსელში განთავსებულ ასახულ აქტივობებზე იღებს სხვადასხვა სახის კომენტარს და ითვალისწინებს საკუთარი საქმიანობის გასაუმჯობესებლად. სკოლა გეგმავს გაუმჯობესოს საქმიანობის შეფასებისა და განვითარების მექანიზმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

სკოლას სამომავლოდ გეგმავს ვებ გვერდის შექმნას, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია იქნება ქართულ ენაზე. ამჟამად სკოლა იყენებს სოციალურ ქსელს (Facebook). ის არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. **სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა ვებ-გვერდი. ინდიკატორტი შეფასებული იყო, როგორც შუსაბამო.**

არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც გაწერა აქტივობები: შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვა, ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა, ვებ-გვერდზე სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმაციის ასახვა. სკოლას მიეცა რეკომენდაცია აღნიშნული განახორციელოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 07.10.2023წ-22.12.2023წ. ინდიკატორი 3.6.3.4. მეტწილად შესაბამისობაშია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.**

ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა ვებ-გვერდი. ინდიკატორი შეფასებული იყო, როგორც შუსაბამო.

არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც გაწერა აქტივობები: შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვა, ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა, ვებ-გვერდზე სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმაციის ასახვა. სკოლას მიეცა რეკომენდაცია აღნიშნული განახორციელოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 07.10.2023წ-22.12.2023წ. ინდიკატორი 3.6.3.5. მეტწილად შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სოციალური ქსელის მისამართი - საღრაშენის საჯარო სკოლა**

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ **მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება.

სკოლის ფინანსური რესურსი ქმნის საგანმანათლებლო საქმიანობის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების საფუძველს (ბიუჯეტი, შესყიდვების გეგმა). სკოლის მიმდინარე ხარჯების დაფინანსება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფოს მიერ ვაუჩერის გაცემით და ბანკიდან მიღებული სარგებლით. სკოლის ადმინისტრაცია განკარგავს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტს. ბიუჯეტი გათვლილია მასწავლებლის, ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის ხელფასებზე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომუნალურ გადასახადებზე, საკანცელარიო ხარჯებზე, ჰიგიენურ პროდუქციაზე. სკოლას არა აქვს თავისუფალი ფართის იჯარით გაცემის პრაქტიკა, ვაუჩერული დაფინანსებით მიღებული შემოსავლები მიემართება მიზნობრივად, სამოქმედო გეგმის შესაბამისად. სკოლა აწარმოებს დაფინანსების დინამიკას ბოლო რამდენიმე წლისათვის, რაც საშუალებას იძლევა აქცენტების გაკეთების დივერსიფიცირებული დაფინანსების მექანიზმებზე და სწორი ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებაზე. სკოლა მცირეკონტიგენტიანია, თუმცა არ არის დეფიციტური და თავად უზრუნველყოფს კომუნალური ხარჯებისა და აუცილებელი სამეურნეო საქონლით სკოლის უზრუნველყოფას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ბიუჯეტის მომზადებისთვის სკოლა განსაზღვრავს სავარაუდო შემოსავლებს, მომდევნო წლის პრიორიტეტებს, სავარაუდო ხარჯებს. სკოლაში ბიუჯეტი იგეგმება შემდეგი პრინციპების დაცვით: დაგეგმვის პროცესი გამომდინარეობს სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო განვითარების გეგმებიდან. სკოლის განცხადებით, დაგეგმვის პროცესში ჩართულები არიან სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები, რაც უზრუნველყოფს ყველა ინტერესის შეძლებისდაგვარად გათვალისწინებას, საჭიროებიდან გამომდინარე ყველა ცვლილების შეტანას და დამტკიცებას. თუმცა აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები წერილობითი დოკუმენტების სახით სკოლას არ წარმოუდგენია.

სკოლას წარმოდგენილი აქვს 2023 წლის ბიუჯეტი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოზე. **სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი #6 07.02.2023წ.** დღის წესრიგი - ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები სახელფასო ფონდის გაზრდასთან დაკავშირებით.

სკოლას აქვს 2023 წლის შესყიდვების წლიური გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით #54 17.11.2022წ. საჭიროების შემთხვევაში სკოლას შეაქვს ცვლილება შესყიდვების გეგმაში. **სკოლის დირექტორის ბრძანება #40 07.09.2023წ. "2023 წლის შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ #54 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ.** შესყიდვების გეგმა შედგენილია და მასში ცვლილებები შეტანილია მოქმედი კანონმდებლობის ძირითადი მოთხოვნების დაცვით. შესყიდვების გეგმის შედგენისას სკოლა ძირითადად ხელმძღვანელობს წინა წლის გამოცდილებით, საჭირობებეით და ფასებით. მიზანშეწონილია სკოლამ აწარმოოს ბაზრის კვლევა შესყიდვების გეგმის შედგენის ეტაპზე და არა მხოლოდ კონკრეტული შესყიდვის განხორციელების დროს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლა განაცხადში აღნიშნავს, რომ ყოველწლიურად ადგენს საკუთარ ფინანსურ ანგარიშს. ფინანსური დაგეგმვის პროცესი ძირითადად ეყრდნობა პროგნოზებს და შუძლებელია ყველა გარემოების გათვალისწინება, რომელიც ზემოქმედებას ახდენს დაგეგმილ ბიუჯეტზე. ამდენად ცვლილებების განხორციელება თანმდევი პროცესია. დგინდება ბიუჯეტში ცვლილებების განმახორციელებელი უფლებამოსილი პირების ვინაობა, ცვლილებების განხორციელების ვადები და სხვა. ასევე მნიშვნელოვანია მონიტორინგის სისტემა, რომელიც სკოლაში ხდება დროულად და ასევე დროული რეაგირება მოსალოდნელ ცვლილებებზე. საბიუჯეტო კალენდარში წინასწარაა გაწერილი მონიტორინგის განხორციელების ვადები და ამავდორულად ინტენსიურად მიმდინარეობს მიმდინარე შემოსავლებისა და გასავლების კონტროლი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: მიზანშეწონილია ბიუჯეტის და შესყიდვების დაგეგმვის დროს სკოლამ აწარმოოს ელექტრონული დოკუმენტბრუნვა დაინტერესებული მხარეების ინტერესების გასათვალისწინელბად. მაგ. კათედრის გამგის ან საქმისმწარმოებლის სამსახურებრივი ბარათები დირექტორის სახელზე, რითაც დადასტურდება შესასყიდი საქონლის ან მომსახურების საჭიროება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2023 წლის ბიუჯეტი
- სამეურვეო საბჭოს ხდომის ოქმი ##6 07.02.2023წ. დღის წესრიგი - ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები სახელფასო ფონდის გაზრდასთან დაკავშირებით.
- შესყიდვების წლიური გეგმა 2023 - დირექტორის ბრძანება #54 17.11.2022წ. შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ
- დირექტორის ბრძანება შესყიდვების გეგმაში ცვლილების შეტანის შესახებ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა სასკოლო დოკუმენტი, რომლითაც რეგულირდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა არის სკოლის შინაგანაწესი.** შინაგანწესი ეფუძნება კანონს „ზოგადი განათლების შესახებ“ და ბავშვთა უფლებების დეკლარაციას. შინაგანაწესი უზრუნველყოფს სკოლაში ყველა მოსწავლისათვის ხარისხიანი განათლების თანაბარ ხელმისწავდომობას. ასევე სკოლაში ფუნქციონირებს **დისციპლინური კომიტეტი,** რომლის საქმიანობა უზრუნველყოფს უფლებების დაცვას. ასევე განსაზღვრულია **უსაფრთხოებაზე პასუხისმგებილი პირი.** სკოლაში დაცულია სსსმ მოსწავლეთა ინტერესები, მათთვის შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც მუშაობენ საგნის მასწავლებლები და სპეციალური მასწავლებელი. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები არის გათვალისწინებული და ამის შესაბამისად არის დაგეგმილი აქტივობები, გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას სკოლა ახდენს უსაფრთხო ფიზიკური გარემოს შექმნით, სკოლას მუდმივად სწავლობს სიტუაციას და ახდენს ძალადობის პრევენციას, სკოლაში კონტროლდება უცხო პირების შესვლა, **შესვენებისას დერეფანში მორიგე მასწავლებელია,** რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეებისთვის უსაფრთხო გარემოს. სკოლაში ფუნქციონირებს **სამედიცინო კაბინეტი** და ხელშეკრულებით აყვანილი ექთანი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას, როგორც თანამშრომლებისთვის და მოსწავლეებისთვის, ასევე სკოლის ტერიტორიაზე მყოფი პირებისთვის, სკოლას აქვს პირველადი დახმარების მედიკამენტები. სკოლას სამედიცინო დახმარების მიზნით უკავშირდება საგანგებო სიტვაციების მართვის სამსახურს 112-ს და იძახებს სასწრაფო დახმარებას საჭიროების შემთხვევაში. კლასებში ტარდება **სადამრიგებლო საათი,** რომლის მთავარი დანიშნულებაა მოსწავლეთა უსაფრთხოებისთვის პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა განხორციელება.

სკოლა ასევე იცავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, გასაჩივრების უფლებას, გამოხატვის, შეკრების, გაერთიანებების უფლებას. სასწავლო პროცესის მართვის რეგულაციები (მოსწავლის სტატუსის შეჩერება, სტატუსის აღდგენის წესები და პირობები, კონფლიქტის რეგულირების, გასაჩივრების, მოსწავლის უკუკავშირის, თავისუფალი სიტყვის რეალიზების მიმდინარე პროცესების რეგულაციები) განსაზღვრავს მათი რეგულირების წესებსა და პირობებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **მოსწავლის უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;**
რეგულაციების სასკოლო საზოგადოებასთან გაცნობა ხდება შემდეგი გზით: შინაგანაწესი გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე სკოლის ფოიეში, სადაც ხელი მიუწვდება სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებულ პირს. კლასის დამრიგებლები აცნობენ შინაგანაწესს სადამრიგებლო საათის ფარგლებში ბავშვებს და მშობლებს მშობელთა კრებაზე, რაც მათი უფლებების დაცვის გარანტიებს უზრუნველყოფს. სკოლამ სანიმუშოდ მოიტანა **სპეც. მასწავლებლის მიერ ჩატარებული შეხვედრა ბავშვებთან მათ უფლებებთან დაკავშირებით** 2023წ. სექტემბერში. ასევე სკოლამ წარმოადგინა **მშობელთა კრების ოქმის ნიმუში,** სადაც ჩანს სასკოლო წესების გაცმობა მშობლებისათვის.

სკოლის დირექტორის განცხადებით, მოსწავლეებს საშუალება აქვთ თავიანთ პრობლემებზე ისაუბრონ მასწავლებელთან. მოსწავლეთა პიროვნული განვითარების ხელშეწყობის მიზნით ხორციელდება შემეცნებითი გასართობი აქტივობა უფლებების დაცვის მიმართულებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასევე ტარდება თვეში ერთხელ სამოქალაქო მასწავლებლის მიერ მოსწავლეებთან დიალოგი თემაზე ,,ჩემი და ჩემი მეგობრის უფლებები", რომელიც მიმართულია მოსწავლეების პიროვნული განვითარების, ცნობიერების ამაღლებისა და პოზიტიური გარემოს შექმნისკენ.

2023-2024 ს/წლისათვის სკოლა გეგმავს მოსწავლეთა თვითმართველობის არჩევას საბაზო საფეხურზე და მის გააქტიურებას სასკოლო ცხოვრებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია,**

3. **სკოლას მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება.** ხელშეკრულებით განსაზღვრულია მხარეთა უფლება მოვალეობები. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტები-სასკოლო სახელმძღვანელოების უსასყიდლოდ დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ. ხელშეკრულებები და მიღება ჩაბარებები ფორმდება სასწავლო წლის დასაწყისში პირველივე სამუშაო შეხვედრაზე.

სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა და მობილობა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით, რომელსაც არეგულირებს მოსწავლთა ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების წესი. მოსწავლისათვის კვალიფიკაციის მინიჭება, ასევე მისი გადაფასება ხდება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. ისგ ჯგუფი მუშაობს თითოეულ მოსწავლესთან და მათ მშობლებთან ინდივიდუალურად შემუშავებული გეგმით.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი,
- წიგნების და ბუკების მიღება-ჩაბარების აქტი,
- სამედიცინო კაბინეტის ფოტო - მასალა
- ხელშეკრულება სკოლასა და მშობელს შორის

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი წერილობითი რეგულაციის სახით,** რომელიც შეესაბამება კანონმდებლობლობით დადგენილ წესებს. სასკოლო რეგულაცია ითვალისწინებს პირველ კლასში მოსწავლეთა რეგისტრაციის პროცედურებს, პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვისათვის წარსადგენ დოკუმენტაციას, დაწყებით და სავაზო საფეხურზე მოსწავლეთა ჩარიცხვის წესს, მოსწავლის სტატუსის შეჩერების პროცედურას, მოსწავლის სტატუსის აღდგენის პირობებს, მოსწავლეთა მობილობის პროცედურას, კლასისა და საფეხურის დაძლევის წესს.

სტატუსის შეჩერების შემთხვევაში კანონით გათვალისწინებული საფუძვლის მიხედვით (მშობლის განცხადებით) ხდება სტატუსის შეჩერება. სტატუსის შეჩერების შემთხვევაში მშობელს ეგზავნება შეტყობინება, რომ მის შვილს შეუჩერდა სტატუსი. სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სემესტრული, საშემოდგომო და ექსტერნატის გამოცდის დანიშვნის შესახებ ინფორმაცია მშობლებს მიეწოდებათ წინასწარ სასწავლო წლის დასაწყისში. სკოლაში სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები, რომელიც ეყრდნობა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 04/ნ ბრძანებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში დაცულია მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნულის მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება #32 28.06.2023წ. "სასწავლო პროგრამის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდის ჩატარების მიზნით საგამოცდო კომისიის შექმნის შესახებ". (საქმე ეხებოდა მე-5 კლასის მოსწავლეს, რომელმაც ექსტერნატის ფპრმით დაძლია კლასი და სკოლის გადაწყვეტილებით ჩაირიცხა მე-6 კლასში). ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ექსტრენის საგამოცდო საქაღალდე. ასევე სკოლამ ნიმუშის სახით წარმოადგინა საბაზო საფეხურის დაძლევის ბრძანება #24 16.06.2023წ. მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანის ბრძანება #25 16.06.2023წ. რაც განხორციელდა პედსაბჭოს გადაწყვეტილებით (პედსაბჭოს სხდომის ოქმი #4 16.06.2023წ.). სკოლას არ ჰქონია სტატუსის შეჩერების შემთხვევა უკანასკნელი წლების განმავლობაში. სკოლას ასევე არ ჰქონია მობილობის შემთხვევა ბოლო 2 წლის განმავლობაში. მასალების შესწავლით შგვიძლია დავასკვნათ რომ სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლა მოსწავლეს სთავაზობს ორი უცხო ენის სწავლის შესაძლებლობას. პირველი უცხო ენა ისწავლება პირველი კლასიდან, მეორე უცხო ენა მეხუთე კლასიდან. თუ იქნება მოთხოვნა მშობლების მხრიდან სკოლას შეუძლია შესთავაზოს დამატებითი (მესამე) უცხო ენა. ძირითადი საგნების შესწავლასთან ერთად სკოლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოსწავლეების განვითარებას არაფორმალური განათლების მიღების გზით, კულტურული, შემოქმედებითი, სპორტული და სხვა მიმართულებებით. სკოლის სურვილია მოსწავლეებმა შეძლონ მათთვის საინტერესო მომსახურების ადგილზე მიღება, რაც ამ ეტაპზე ვერ ხერხდება შესაბამისი დაინტერებისა და ტრადიციის არარსებობის გამო. აღნიშნულ ინფორმაციებს სკოლა მოსწავლეებსა და მშობლებს აწვდის შეხვედრების დროს, მომავალი წლიდან გეგმავს ვებ-გვერდის გამოყენებას ამ მიმართულებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლის პერსონალი ინფორმაციას ასაჯაროებს კანონმდებლობის შესაბამისად, პერსონალური მონაცემები, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ, მოსწავლის ჯანმრთელობის შესახებ, მოსწავლის სპეციალური საჭიროების შესახებ, ფოტო-ვიდეო მასალას მოსწავლის გამოსახულების მიხედვით დაცულია სკოლის მიერ და მასზე პასუხიმგებლობა ეკისრება დირექციას, საქმის მწარმოებელს, მასწავლებელს და დამრიგებელს. მშობლის თანხმობის გარეშე არ ხდება ფოტო/ვიდეო მასალის განთავსება სკოლის სოციალური ქსელის გვერდზე. სკოლა აქტიურად არის ჩართული ახალი ინფორმაციებისა და პროგრამების მიღებასა და განხორციელებაში. მაგ. სკოლის სოციალურ სივრცეში - ფეისბუკ-გვერდზე ვრცელდება ინფორმაციები საგანმანათლებლო შემოთავაზებების შესახებ, სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის ნახატების კონკურსში ბიბლიოგრაფიულ თემაზე, სადაც გარკვეულ წარმატება მიაღწიეს კიდეც.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ფეისბუკ-გვერდი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშვებული აქვს სასკოლო გარემოსთან მოსწავლის ადაპტაციის წესი.** რომელიც დამტკიცებულის **დირექტორის ბრძანებით #54 19.09.2023წ.** წესი ითვალისწინებს სასკოლო ცხოვრებას მოსწავლის ადაპტაციის პრინციპებს და მნიშვნელოვან ფაქტორებს, აღწერს პირველკლასელთა ადაპტაციას, სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციას, მობილობით გადმოსული მოსწავლის ადპტაციას, ცალკეა გამოყოფილი საბაზო საფეხურის მოსწავლეთა ადპტაციის წესი, აღწერილია დეზადაპტაციის ნიშნები და ამ დროს განსახორციელებელი ღონისძიებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა ახდენს მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციას.** სკოლა წინასწარ გეგმავს მოსწავლეების ვიზიტს სკოლაში, მოსწავლე ეცნობა სასკოლო სივრცეს, დამრიგებელს, მასწავლებელებს, სკოლის მოსწავლეებს. დამრიგებელი/დირექცია მშობელს აწვდის ინფორმაციას სასწავლო პროცესთან და სკოლაში არსებულ მომსახურებასთან დაკავშირებით. დამრიგებლები წინასწარ წლის ბოლოს და სასწავლო წლის დასაწყისში აცნობენ თავის მოსწავლეებს საგნის დამატების შესახებ, საკლასო ოთახის შეცვლის შესახებ ინფორმაციას. სსსმ მოსწავლესთან ადაპტაციის ხელშეწყობის მიზნით დამატებით მუშაობს სპეც მასწავლებელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლასთან პირველკლასელის ადაპტაცია სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია, რადგან სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბებული დამოკიდებულებები და ღირებულებები განსაზღვრავს ბავშვის მთელი სასკოლო ცხოვრების ხასიათს, იმას, თუ რამდენად საინტერესო და მიმზიდველი იქნება მისთვის სკოლა და სწავლა. 2023-24 სასწავლო წლისთვის– სკოლა გეგმავს საბავშვო ბაღთან თანამშრომლობას, ტრანზიციის გეგმის შემუშავებას. სკოლა ხელ უწყობ მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, სკოლაში არის მოწესრიგებული თანამედროვე ინფრასტრუქტურა, საკლასო ოთახები აღჭურვილია ასაკის შესაბამისი ავეჯით. აქვს თანამედროვე სტანდარტის შესაბამისი რესურს ოთახი. სკოლას აქვს პანდუსი, ადაბტირებული საპირფარეშო, სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა. სკოლას აქვს ასევე ღია სპორტული მოედანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელ უკუკავშირს, მოსწავლეებს აქვთ პირად შედეგებზე წვდომის შესაძლებლობა ელექტრონულ ჟურნალში, არსებობს საგაკვეთილო პროცესში თვითშეფასების რუბრიკები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში მოსწავლესთან მასწავლებლის გარდა მუშაობს სპეციალური მასწავლებელი კოგნიტური და აკადემიური უნარების მიმართულებით. აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად სკოლა აწვდის სათანადო კონსულტაციას მოსწავლეს. სკოლის განცხადებით, მასწავლებელი მუდმივად აძლევს მითითებას, რომ თითოეულმა მოსწავლემ გადასინჯოს თავისი ელექტრონული ჟურნალი, რათა აკონტროლონ საკუთარი აკადემიური მოსწრება და დასახონ მისი გაუმჯობესების გზები. ასევე სკოლა და კონკრეტული მასწავლებლები დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეს უტარებენ დამატებით მეცადინეობებს მშობელთან შეთანხმებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

მოსწავლეთა უფლებების რეალიზებას სკოლა მხარს უჭერს კანონმდებლობის გათვალისწინებით. საილუსტრაციოდ სკოლამ მოიყვანა გამოცდების მაგალითი, კერძოდ, სკოლას აქვს ასაკობრივი, ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდის ჩატარების გამოცდილება. სკოლამ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოადგინა ექსტერნის საგამოცდო მასალები, რომელიც ჩატარდა 2022წელს, რაზეც მასწავლებლებმა შეთანხმებულად იმუშავეს საგნობრივ კათედრებზე ექსტერნების გამოცდების საკითხების მოსამზადებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

მცირეკონტიგენტიანობის ფაქტორიდან გამომდინარე სკოლაში ნაკლებია არაფორმალური აქტივობები და მოსწავლეთა ინიციატივები (საბაზო საფეხურზე სულ რამდენიმე მოსწავლეა). თუმცა მოსწავლეთა წახალისების მიზნით სკოლამ ჩაატარა მხიარული სტარტები, მოხდა მოსწავლეთა წახალისება და დაჯილდოვება სიგელებით. ინფორმაცია ასახული სკოლის ფეისბუკ-გვერდზე. სკოლაში იგეგმება და ხორციელდება პროექტები მოსწავლეთა ჩართულობით. მაგ. დამამთავრებელი კლასების მოსწავლეთა გამოსამშვიდობებელი საღამო, ისტორიული თარიღების აღნიშვნა (მაგ. სოხუმის დაცემის დღე), სკოლის ეზოს გამწვანების აქციები და სხვა. 2023-2024 სასწავლო წელს სკოლა გეგმავს მოსწავლეთა თვიმმართველობის როლის გააქტიურებას სასკოლო ცხოვრებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

სკოლის განცხადებით, სკოლას აქვს მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა გასაუბრების შედეგად მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესების პრაქტიკა. უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. მიღებული უკუკავშირით მოსწავლის ყურადღება მიემართება მისი ძლიერი მხარეებისკენ და სთავაზობს ხარვეზების გამოსწორებას და ახალი ინოვაციების განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ-გვერდი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დირექტორთან გასაუბრება.

1.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
სკოლას ჰქონდა პროფორიენტაციის გაკვეთილების პრაქტიკა წლების წინ, მაგრამ შემდეგ ფინანსების სიმწირის გამო შეწყდა.

პროფორიენტაციის ხელშეწყობის მიმართულებით სკოლა იწვევს სხვადასხვა სპეციალობის ადამიანებს, რომლებიც ესაუბრებიან საკუთარი წარმატებული პრაქტიკული გამოცდილების შესახებ მოსწავლეებს, აძლევენ მათ რჩევებს და მითითებებს, თუ დაინტერესდებიან აღნიშნული პროფესიით, რა არის ამისათვის საჭირო რომ თვითონაც გახდნენ წარმატებული ადამიანები აღნიშნულ პროფესიაში.

2023 წლის მაისში სკოლამ ჩაატარ კამპანია - ,,ჩემი მომავალი პროფესია". სასურველი პროფესის სწორად შერჩევისა და პროფესიის გაცნობასთან დაკავშირებით სკოლამ მოიწვია მოსწავლის მშობელი - პროფესიით პროგრამისტი, რომელიც მოსწავლეებს ესაუბრა საკუთარი პროფესიის შესახებ. გასათვალისწინებელია რომ სკოლა მცირეკონტიგენტიაინა, საბაზო საფეხურზე სწავლობს სულ 10-იოდე მოსწავლე. სკოლას ყოველთვის არა ჰყავს მე-9 კლასი, შესაბამისად მოსწავლეთა ასაკი ნაკლებად იძლევა პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით მრავლაფეროვანი აქტივობების დაგეგმვის შესაძლებლობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. დამრიგებლები, მასწალებლები პროფესიული ორიენტაციისა და დასაქმების ხელშეწყობის გათვალისწინებით ესაუბრებიან მოსწავლეებს პროფესიის არჩევასთან დაკავშირებულ საკითხებზე (პროფესიაზე, წარმატებულ ადამიანებზე), სკოლის სოციალურ გვერდზე ვდებთ სხვადასხვა პროფესიულ სასწავლებლების შესახებ ინფორმაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა გეგმავს სტატისტიკის წარმოებას, სკოლის კურსდამთავრებულების გამოკითხვას, რა ცოდნა და გამოცდილება წაიღეს სკოლიდან, რაში გამოადგათ სასკოლო გამოცდილება, რას შეცვლიდა პროფერიენტაციის კუთხით. სკოლა მომავალში, როდესაც დაგეგმავს პროფესიული ორიენტაციის მიმართულებებს, მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად გაითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. **ინდიკატორი ვერ ფასდება პირველადი ავტორიზაციის ეტაპზე.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ფეისბუკ-გვერდი.
- პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სწავლების კურსის სერტიფიკატი

1.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სასკოლო კურიკულუმში გაწერილია სსსმ მოსწავლესთან მუშაობის პროცესი. სკოლას ჰყავს ერთი სსსმ მოსწავლე, შემუშვებული აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, სსსმ მოსწავლისთვის შექმნილია ისგ, რომლის შემუშავება მოხდა მულტიდისციპლინარული გუნდის დასკვნის საფუძველზე ისგ ჯგუფის შეხვედრის დროს. დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფი, რომელიც მუდმივად ახორციელებს მოსწავლის შეფასებას და ახდენეს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობის მონიტორინგს. წლის განმავლობაში კონტროლდება სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესი და პერიოდულად განიხილება წარმოქმნილი სირთულეები და მისი დაძლევის გზები. სკოლას ჰყავს ერთი სპეც. მასწავლებელი, რომელიც აქტიურადაა ჩართული მოსწავლის განვითარებასა და საგნის მასწავლებლებთან კომუნიკაციაში. მასწავლებლები ადგენენ, რომელი აქტივობა უჭირს მოსწავლეს, რომელს ასრულებს მასწავლებლის დახმარებით და რომელს დამოუკიდებლად.

სკოლაში არსებობს შიდა მონიტორინგის ჯგუფი, მონიტორინგის განხორციელების პროცესში ტარდება გასაუბრება საგნის მასწავლებლებთან, სპეციალურ მასწავლებელთან, ადმინისტრაციასთან და მშობლებთან. მონიტორინგის ჯგუფი ახდენს ისგ ჯგუფის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასებას, სკოლის ინკლუზიური განათლების კულტურის შეფასებას, მშობელთან თანამშრომლობის ხარისხის შეფასებას, მასწავლებლების, სპეციალური მასწავლებლის საქმიანობის შეფასებას სწავლა-სწავლების პროცესში, ადმინისტრაციის ჩართულობის შეფასებას, სკოლის ფიზიკური გარემოს შეფასებას, რესურს ოთახში სსსმ მოსწავლეებისთვის განკუთვნილი საგანმანათლებლო რესურსების შეფასებას და ა.შ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლაში შექმნილია ისგ-ის ჯგუფი,** ისგ-ის ჯგუფის შეხვედრები ხორციელდება წელიწადში ოთხჯერ, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის წევრები არიან: კლასის დამრიგებელი, საგნის მასწავლებლები, რომლებიც ასწავლიან მოსწავლეს, სპეციალური მასწავლებელი და მშობელი. შეხვედრების ფარგლებში ხორციელდება: მოსწავლის საჭიროებების გამოკვეთა, საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანა. სსსმ მოსწავლის მშობელთან ინდივიდუალური შეხვედრები, კონსულტირება და განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლივად დაგეგმვა/კონსულტირება შესასრულებელ სავარჯიშოებთან დაკავშირებით, მუდმივად ინფორმაციის მიწოდება მოსწავლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიური და კოგნიტური მიღწევების შესახებ. **სპეციალურ მასწავლებელს აქვს ინტერვენციის გეგმა**, რომელშიც გაწერილია მშობლის მასწავლებლის და სპეციალური მასწავლებლის შესასრულებელი აქტივობები და რეკომენდაციები. კვირაში ერთხელ ზოგჯერ პირისპირ ზოგჯერ ტელეფონის საშუალებით ხდება მშობლის ინფორმირება მისი შვილის აკადემიური მიღწევების და სახლში დაგეგმილი აქტივობების შესახებ. ინტერვენციის გეგმის ფარგლებში დაწერილია, დაგეგმილია საგნის მასწავლებლის, მშობლის სპეციალური მასწავლებლის თანამშრომლობა. ასევე სპეციალური მასწავლებელი თანამშრომლობს საგნის მასწავლებლებთან: ესწრება საგაკვეთილო პროცესს, ეხმარება აქტივობების შემუშავებაში, კონკრეტული აქტივობის ადაპტირებაში. შეიძლება ითქვას, რომ სსსმ მოსწავლესთან მუშაობა წარმატებით ხორციელდება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა
- ინტერვენციის გეგმა
- 2021 წლის შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა და 2023 წლის შიდა მონიტორინგის მასალები
- ისგ ჯგუფის სხდომის ოქმი #1 2022წ.
- მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა
- სპეც. მასწავლებლის სამოქმედო გეგმა
-

1.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

სკოლას ამ ეტაპზე არ გააჩნია დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა). აქვს მხოლოდ ტრანსპორტირების სერვისი, სკოლას ემსახურება ტრანსპორტი, რომელსაც დაჰყავს მიმებარე სოფლის მოსწავლეები სოფ. ფარცხისიდან და სოფ. ტბისიდან. სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის მაისის თვის ტაბელის ფორმა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას; **ინდიკატორი ვერ ფასდება შესაბამისი სერვისების არარსებობის გამო.**

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. **ინდიკატორი ვერ ფასდება შესაბამისი სერვისების არარსებობის გამო.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

. მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების ტაბელი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სსიპ ვლადიმერ დავითაშვილის სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ საღრაშენის საჯარო სკოლის კათედრებმა (სულ არის ოთხი კათედრა: 1) სახელმწიფო ენის და უცხო ენების; 2) ისტ-ი, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების; 3) საზოგადოებრივი მეცნიერებების, ესთეტიკისა და სპორტის; 4) დაწყებითი საფეხურის) 2022-2023 სასწავლო წელს, ავტორიზაციის მიმდინარეობის პერიოდში, ქოუჩებთან გავლილი კონსულტაციების შედეგად შეიმუშავეს საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები დაწყებითი საფეხურისათვის, რომლებშიც გაიწერა მიმდინარე თუ სამომავლო სასწავლო პროგრამები, რესურსები და აქტივობები. დაწყებითი საფეხურის კათედრაზე პედაგოგებმა განიხილეს გასულ სასწავლო წელს მოსწავლეების მიღწევები, სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი და შუალედური მიზნები, სტანდარტები და მასში შესული ცვლილებები. კურიკულუმების შემუშავებისას ნაწილობრივ არის გათვალისწინებული სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები; კათედრების წევრები, ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, სასწავლო წლის ბოლოს აანალიზებენ მოსწავლეთა შედეგებს (შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებები, სასკოლო პროექტები, მშობელთა ჩართულობები), განიხილავენ მოსწავლეთა ტიპურ საჭიროებებს, შესაძლებლობებს და გეგმავენ მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმას, რომელიც ემსახურება სკოლის მისიის შესრულებას. კათედრებს აქვს ხედვა, თუ როგორაა შესაძლებელი ამ კომპონენტის გაძლიერება. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოვლინდა, რომ ისინი სამომავლოდ გეგმავენ უფრო მეტად დააკვირდნენ სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეთა, მშობელთა...) ინტერესებს, გამოკითხვებითა და კვლევით დაადგინონ ეს საჭიროებები და შემდეგ ასახონ კურიკულუმებში. შესაბამისად, შეიძლება აღინიშნოს, რომ სკოლაში არსებობს კურიკულუმის მეთოდოლოგიის შემუშავების გარკვეული პრაქტიკული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოცდილება, რითაც იხელმძღვანელეს საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისას მასწავლებლებმა, მაგრამ ამ **ეტაპზე, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი სკოლას არ გააჩნია. ინდიკატორი შეფასებული იყო, როგორც შეუსაბამო.**

არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც აიღო ვალდებულება შეემუშავებინა კურიკულუმის შემუშვების მეთოდოლოგია. სკოლამ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და მტკიცებულებად წარმოადგინა სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანება #64 04.10.2023წ. კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ და თავად მეთოდოლოგიის დოკუმენტი. ინდიკატორი სრულად დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

სასკოლო კურიკულუმში ნაწილობრივ ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, ამ შემთხვევაში იგულისხმება მოსწავლისა და მასწავლებლის გარდა, საზოგადოების სხვა წევრების ინტერესები. კურიკულუმის შემუშავებასა და დანერგვაში უმთავრესად გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შეხედულებები, საჭიროებები და მოლოდინები. მასწავლებლები, გამოცდილებაზე დაყრდნობით, მუშაობენ კურიკულუმში შესატან ცვლილებებზე, რათა მოხდეს წინა წლის შედეგების გაუმჯობესება. გასაუბრების შემდეგ გამოვლინდა, რომ სკოლაში დამკვიდრებულია მშობელთა ბარათების გამოყენების პრაქტიკა კომპლექსური დავალებების შესრულების პროცესში. მშობლები გარკვეულ უკუკავშირს იძლევიან სკოლისათვის. სკოლა გეგმავს 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის განხორციელების პროცესში სასკოლო საზოგადოების სრულად ჩართვას, კერძოდ, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებას კომპლექსური დავალებების შერჩევისას, იგეგმება ინტეგრირებული გაკვეთილები. საგნობრივი კურიკულუმის შექმნისას ითვალისწინებენ დიფერენცირებულ მიდგომებს მათ შორის ისგ-ს სახით, თემატური კონტექსტები კი ითვალისწინებს ასაკობრივ თავისებურებებსა და მათთვის აქტუალურ საკითხებს. დიფერენცირების მაგალითია კომპლექსური დავალების პირობა, რომელიც მოსწავლეებს პროდუქტის სხვადასხვა ფორმით წარმოდგენის საშუალებას აძლევს. ის-გეგმაში კარგად ჩანს მოსწავლისა და მშობლის ინტერესები (სკოლაში ირიცხება ერთი სსსმ მოსწავლე მე-3 კლასში). **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიმდინარე სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ კათედრებზე. კურიკულუმების შედგენაში მონაწილეობა მიიღო კათედრის ყველა წევრმა. მათ შეადგინეს კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტი თითოეული კლასისათვის ცალ-ცალკე, შეათანხმეს განსახორციელებელი კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებები, შეარჩიეს დიაგნოსტირების ინსტრუმენტები, შეთანხმდნენ განმავითარებელი შეფასების ფორმებზე და სხვა. კურიკულუმის შემუშავებაში საზოგადოების სხვა წევრებს (მოსწავლეებს, მშობლებს) უშუალოდ არ მიუღიათ მონაწილეობა, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შედგენისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესებიც. კურიკულუმში გათვალისწინებულია ისგ-ები, რომელიც ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იქმნება ისგ-ს ჯგუფის მიერ. კურიკულუმის მიზნებიდან გამომდინარე, ვინაიდან ორიენტირი გაკეთებულია საბოლოო შედეგებზე, რომლებიც მიიღწევა საფეხურის ბოლოს, მასწავლებელს შესაძლებლობას მისცემს მიმდინარე წელს არსებული ხარვეზები ან/და გამოწვევები აღმოფხვრას შემდეგ სასწავლო წელს. შესრულებული კომპლექსური დავალებების შედეგად გამოკვეთილი ინტერესები, საჭიროებები და მიღებული ცოდნა კი გათვალისწინებული იქნება სამომავლოდ კურიკულუმების საბოლოო ვერსიების შესადგენად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სკოლაში ახალი დაწყებულია პროცესები, რომებლიც მიმართულია სასკოლო საზოგადოებისათვის კურიკულუმის გაზიარებისაკენ. მშობლებთან კურიკულუმის გაზიარებისთვის სკოლა გამოიყენებს პირისპირ შეხვედრებსა და სოციალურ ქსელებს, სკოლის ვებგვერდს, თეამს-ის პლატფორმას. დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან გააქტიუროს მოსწავლეებთან და მშობლებთან სათანადო კომუნიკაცია და ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა. კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების შესახებ ინფორმირებული არიან მოსწავლეები და მათი მშობლები. ვინაიდან კურიკულუმების სისტემა ახალია და სასკოლო საზოგადოებისათვის გაზიარებისა და გააზრების პროცესს, სწორი მიდგომების განსაზღვრას დრო სჭირდება, კათედრა გეგმავს, რომ ტრენინგებზე დასწრებითა და სხვა სკოლის წარმატებული გამოცდილების გაზიარებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კონსულტაციების გავლის შედეგად, მაქსიმალურად უზრუნველყოს აღნიშნული პროცესის გამართულობა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
2. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2022-2023;
3. ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა (დანართი 4).

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მაგ. ეს გამოჩნდა სახელმწიფო ენის კურიკულუმში ჩაშენებულ კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც კათედრამ შეარჩია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. სავალდებულო თემის ფარგლებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, შერჩეული ტექსტები ეფუძნება სახელმძღვანელოებით შემოთავაზებულ მასალას. საგნობრივ კურიკულუმებში ფორმულირებულია საფეხურებრივი საგნის სტანდარტები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია კომპლექსური დავალებების სახით. სწავლის შედეგები თითოეულ საგანში მოცემულია სამიზნე ცნებების სახით. შემაჯამებელ და კომპლექსურ დავალებებში გამოკვეთილია კონსტრუქტივიზმის პრინციპები. ვინაიდან კურიკულუმი დახვეწის პროცესშია, სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

წარმოდგენილ კურიკულუმებში სამიზნე ცნებები (ქვეცნებები), თემები, საკითხები, რესურსები იძლევა შესაძლებლობას პროცესი იყოს ორიენტირებული ფუნქციურ კომპონენტურ უნარებზე, კერძოდ მე-6 კლასის მათემატიკის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეა „მსოფლიოს უდიდესი ათი ქვეყანა და ინტერნეტიზაცია“ მიემართება შემდეგ ფუნქციურ უნარებს: შემოქმედობითობა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ნებელობა. ასევეა სხვა კომპლექსური ბუნების დავალებებში სხვადასხვა კლასებისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის შეფასებას, საჭიროების შემთხვევაში სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასა და მშობელთან კუნსულტირებას, რაც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის საჭიროებების, შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებას სასწავლო პროცესში. კომპლექსური დავალებების პირობის, შეფასების რუბრიკებისა და ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გეგმის გაცნობით, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა შეეცდება, უფრო მეტი ხარისხით დანერგოს დიფერენცირებული მიდგომები სასწავლო პროცესში, ხელი შეუწყოს მასწავლებელთა კომპეტენციის ამაღლებას და მოტივირებას ამ მიმართულებით. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ იყენებენ მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულ ადაპტირებულ დავალებებს, დიფერენცირებულ მიდგომებს ამა თუ იმ საკითხების შესწავლისას. სკოლა სწავლისა და განვითარების თანაბარ საშუალებას აძლევს მოსწავლეს. მასწავლებლები აკვირდებიან თითოეულ მათგანს, სწავლობენ მათ თავისებურებებს, ინტერესებს, შესაძლებლობებს და ამ პირობების გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცესს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

შეფასება სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ მოსწავლის აკადემიური წინსვლის პროგრესს. დაწყებით საფეხურზე სკოლა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასება გამოიყენება მიმდინარე სასწავლო პროცესში, ძირითადად ამ ეტაპზე იყენებენ განმავითარებელ ზეპირ სიტყვიერ კომენტარს, თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკებს. სამომავლოდ კათედრები გეგმავენ, რომ გამოიყენონ განმავითარებელი შეფასების ახალი სტრატეგიები და ფორმები: კერძოდ, დიაგნოსტიკური შეფასების კითხვარი, პედაგოგიური პრაქტიკის რეფლექსიის ინსტრუმენტი. სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით მუშავდება შეფასების ინდიკატორები. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით ყალიბდება კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის. სკოლისა და მასწავლებლებისთვის გამოწვევად რჩება შეფასების მეთოდის სიღრმისეულად გაგება, რისთვისაც სკოლა მაქსიმალურად ჩაერთვება შესაბამის ტრენინგ-სემინარებში, რათა მოხდეს გააზრება და დახვეწა. მაგ. სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის მიერ **სკოლას მიეცა რჩევა, რათა შექმნან და გაამრავალფეროვნონ შეფასების რუბრიკები, რომლებშიც გააქტიურებული იქნება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნები. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინტერვიუს მსვლელობისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო წლის ბოლოს კათედრები ზეპირი გამოკითხვით აანალიზებენ მათ მიერ ფორმალური თუ არაფორმალური კუთხით ჩატარებულ აქტივობებს. ასევე პროფესიული განვითარების კუთხით განხორციელებულ აქტივობებს, გავლილ ტრენინგებს, ვებინარებს და სხვა. მასწავლებელთა ანგარიშების საფუძველზე ფასდება არსებული მდგომარეობა, ხდება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, რის შემდეგაც მუშავდება მომავალი წლის კათედრების სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები. ურთიერთდასწრების გაკვეთილებზე მიღებული ზეპირი უკუკავშირის საფუძველზე თითოეული მასწავლებელი ინდივიდუალურად ადგენს გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესების გზებს. ითვალისწინებს რა წინარე გამოცდილებას, ადგენს მომდევნო წლის სამუშაო გეგმას. არჩევს საჭიროებების შესაბამის პროფესიული განვითარების აქტივობებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
2. ინკლუზიური სწავლების დოკუმენტები (დანართი 4)
3. სასკოლო სასწავლო გეგმა

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2. კომპონენტი - კურიკულუმის განხორციელება - შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო და შეფასდა მეტწილ შესაბამისად.

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

წარმოდგენილ კურიკულუმებში ნაწილობრივ გამოკვეთილია საკვანძო სტრუქტურული ერთეულები: თემა, საკითხი, ცნება, რესურსი. კათედრები დაწყებით საფეხურზე გეგმავენ კომპლექსური დავალებებით წარმართონ სწავლა -სწავლების პროცესი, რაც განაპირობებს მოსწავლეების ჩართულობას შემოქმედებით პროცესში. კურიკულუმში ასახული განხორციელებული და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეს აძლევს საშუალებას შეიძინოს ცოდნა, ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. მომდევნო სასწავლო წლიდან კათედრები გეგმავენ შეარჩიონ, გადაამუშაონ და კურიკულუმში ჩააშენონ მამოტივირებელი შინაარსის კომპლექსური დავალებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა კიდევ უფრო გააქტიურებას, ჩართულობის კიდევ უფრო გაზრდას, მაღალი შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების გამომუშავებას. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ საგნებში „მე და საზოგადოება“ და „ჩვენი საქართველო“, სკოლას არ წარმოუდგენია განსახორციელებლად განსაზღვრული კომპლექსური ტიპის დავალების არცერთი ნიმუში, რომელიც დაადასტურებდა, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დავალებები, რომელთა დანერგვასაც გეგმავენ, მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას იძლევა; სასურველი იქნება, რომ მასწავლებლებმა უფრო მკაფიოდ წარმოაჩინონ ის რესურსები, დავალებები და აქტივობები, რომლებიც სწორედ მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობის გაზრდას შეუწყობს ხელს.

სკოლას არა აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სააქტო დარბაზი და დახურული სპორტული დარბაზი, რაც ვერ აკმაყოფილებს ავტორიზაციის 2010 წლის 1 ოქტომბრის #99/ნ დებულების მე-4 მუხლის მოთხოვნებს. აღნიშნული ხარვეზი სასწავლო პროცესში არ იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; ინდიკატორი შეფასებული იყო, როგორც შეუსაბამო.

არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც აიღო საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობის ვალდებულება და განახორციელა გარკვეული აქტივობები. მტკიცებულებად **სკოლამ წარმოადგინა წერილი** #1568925 17.11.2023წ. **სსიპ საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის სააგენტოსადმი, რომლითაც ითხოვს დახმარებას ლაბორატორიისათვის საჭირო რესურსებით აღჭურვასთან დაკავშირებით.**

სკოლაც მიეცა რეკომენდაცია მოაწყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სააქტო დარბაზი და დახურული სპორტული დარბაზი შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადებში 17.11.2023წ.-06.11.2024წ. სააქტო დარბაზის ფუნქციით, ასევე სპორტული აქტივობების განსახორციელებლად სკოლამ გარკვეულ შემთხვევებში შესაძლოა გამოიყენოს შენობის ცენტრალური ფოიე. ინდიკატორი მეტწილად შესაბამისობაშია.

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები ითვალისწინებს თემატურ დაგეგმვას, მოწავლისთვის ნაცნობ კონტექსტსა და შედარების მაგალითებს, რომლებიც დაეხმარება მას ახალი მასალის ძველთან დაკავშირებაში. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები ისეა ფორმულირებული, რომ მასზე მუშაობისას მოსწავლეს უწევს ნაცნობი პრობლემების გადაჭრა და საინტერესო პროდუქტის შექმნა, რაც მას ცოდნის კონსტრუირებაში ეხმარება. ამასთან, გასაუბრებიდან გამომდინარე, მასწავლებლები იაზრებენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის კონსტრუირების მნიშვნელობას სასწავლო პროცესში. საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოს, კომპლექსური დავალებების პირობებისა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ საგნებში „მე და საზოგადოება“ და „ჩვენი საქართველო“, სკოლას არ წარმოუდგენია განსახორციელებლად განსაზღვრული კომპლექსური ტიპის დავალების არცერთი ნიმუში, რომელიც დაადასტურებდა, რომ დავალებები, რომელთა დანერგვასაც გეგმავენ, ცოდნის კონსტრუირების შესაძლებლობას იძლევა წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.**

საგნობრივ კურიკულუმებში მცირედ მაგრამ, მაინც მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები/პირობები, ასევე რესურსები, რომლებზე მუშაობაც მოითხოვს სწავლის სტრატეგიების ცოდნას და დაუფლებას, მაგალითად, კოგნიტური სქემების გამოყენება, რეფლექსია და სხვა. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს ხშირად სთხოვენ ახალი მასალის შეჯამებას, ასევე სასწავლო პროცესში იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას. შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლები იაზრებენ სწავლის სტრატეგიების გამოყენების აუცილებლობას სასწავლო პროცეში. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოს, კომპლექსური დავალებების პირობების, შეფასების რუბრიკების გაცნობითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)**

კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა თავის თავში გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებულობას. ასევე, ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება საგნობრივ პროგრამებში, კომპლექსური დავალებების პირობებში. ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესში არ შემოიფარგლებიან მოსწავლეებისათვის მხოლოდ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დეკლარატიული ცოდნის მიწოდებით, ისინი მოსწავლეებს რჩევებით, უკუკავშირით, გამოყენებული სტრატეგიებით ეხმარებიან ამ ცოდნის პროცედურულ ცოდნად გარდაქმნაში, ხოლო მოსწავლეებში პირობისეულ ცოდნად ჩამოყალიბებას მასწავლებლები სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით - კომპლექსური ტიპის დავალებებითა და განმავითარებელი კომენტარებით განახორციელებენ. მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის კომპლექსური დავალებები, რომლებზე მუშაობაც მოითხოვს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებასა და საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას, სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

კომპლექსური დავალებები, რომებლიც ასახულია კურიკულუმებში, ისეა აგებული, რომ მოსწავლემ გააერთიანოს ყველა ის უნარი და ცოდნა, რომლებიც მას გამოადგება პრობლემის გადაჭრისას, გამოწვევებთან გამკლავებასა და პროდუქტის შექმნისას. ყოველივე ეს ხელს უწყობს ცოდნის ინსტრუმენტად გარდაქმნას. კურიკულუმის ჩარჩოში ასახული კომპლექსური დავალებები და ინტერვიუს დროს მიღებული პასუხები ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. პედაგოგების გამოცდილების გათვალისწინებით დაიგეგმა, რომ მომდევნო სასწავლო წლისთვის შედგენილ კურიკულუმში შემავალ კომპლექსურ დავალებებში შეიტანონ საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები, აგრეთვე, ამ თვალსაზრისით გადაიხედოს ახალი კომპლექსური დავალებები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**

სასწავლო პროცესი, კურიკულუმის შესაბამისად, უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სკოლის საგნობრივ კურიკულუმებში ნაწილობრივ გაწერილია რა მეთოდებით, აქტივობებით და რესურსებით შეძლებს მოსწავლე გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. სავალდებულო თემის ფარგლებში მასწავლებლები ისე არჩევენ საგნობრივ საკითხებს, რომ ხელი შეუწყოს სამიზნე ცნებების გააზრებას. კურიკულუმი ეყრდნობა ესგ-ით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს, რომლებსაც აზუსტებს მკვიდრი წარმოდგენები, ქვეცნებები, საფეხურის საკვანძო კითხვები. არსებული სასწავლო პროგრამები აკმაყოფილებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოების უმრავლესობა სტანდარტის პრინციპებზე დაფუძნებით არის დამუშავებული** - თითოეულ სავალდებულო თემაში ყველა სამიზნე ცნება მუშავდება. თუმცა „ჩვენი საქართველოს“ საგნის ფარგლებში კურიკულუმის ჩარჩოები არ არის შექმნილი სტანდარტით განსაზღვრულ პრინციპებზე დაფუძნებით, კერძოდ, არც მე-5 და არც მე-6 კლასების ფარგლებში ყველა სავალდებულო თემაში ყველა სამიზნე ცნების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამუშავება არ არის განსაზღვრული. ჩარჩოებში არ არის წარმოდგენილი ყველა სავალდებულო თემა, ასევე, თითოულ თემაში ექვსი სამიზნე ცნების ნაცვლად მხოლოდ ორ-ორი ცნების დამუშავებაა მოაზრებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**

საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ახორციელებენ ისეთ აქტივობებს, სასწავლო და სოციალურ პროექტებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური განვითარება. განხორციელებული სასწავლო აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებში პოზიტიური ურთიერთობების დამყარებას, გუნდურ მუშაობას, სტრესული და კონფლიქტური სიტუაციების, საკუთარი ემოციებისა და ქცევების მართვას. მასწავლებლებთან გასუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში აქტივობებს ისე გეგმავენ, რომ მოსწავლემ გამოხატოს თავისი ინტერესი, ისწავლოს აზრის კორექტულად გამოთქმა, ემპათია სხვისი მოსაზრების მიმართ, ეფექტური კომუნიკაცია, პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებებზე. მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა გაზარდონ კურიკულუმებში სასწავლო და სოციალური პროქტების ხვედრითი წილი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**

სკოლას განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. იყენებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. საკუთარი რესურსითა და გამოცდილებით ქმნის შეფასების რუბრიკებს მოსწავლეების აკადემიური უნარების შესაფასებლად. დაწყებით საფეხურზე შემუშავებული უცხოური ენების საგნობრივ პროგრამები მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით ისეთ თვითშეფასების სქემებს იყენებს, რომელიც ხაზს უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას, პასუხისმგებლობას, ჩართულობას, საკუთარი ნააზრევის გადმოცემის შესაძლებლობას და წარმოადგენს რეფლექსიას მათი სწავლის პროცესზე. სამომავლოდ კათედრებზე დამატებით შექმნიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს კონკრეტული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თემისა და დავალებისათვის. მომდევნო სასწავლო წლისთვის სკოლა განსაზღვრავს დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტსაც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

მოწოდებული დოკუმენტებით ნაწილობრივ ჩანს, თუ რა ტიპის შეფასების რუბრიკებს ეყრდნობა კათედრა. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა თავისთავად მოიაზრებს, რომ მოსწავლემ საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად რა კრიტერიუმები უნდა გაითვალისწინოს, აქედან გამომდინარე მას გააზრებული აქვს დადებითად რომ შეფასდეს, რა და როგორ უნდა გააკეთოს. კომპლექსური დავალებების შემაჯამებელ დავალებად წარდგენის პროცესში იმავე მითითება-კრიტერიუმების გადაყვანა ხდება განმსაზღვრელ შეფასებად. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ ეცნობიან კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკებს, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ხშირად შეფასების რუბრიკები თვალსაჩინოდაა კედელზე გაკრული, რაც გამჭირვალობის, სანდოობისა დასტურია. რადგან სასკოლო შეფასება მუდმივად განვითარებადია, მომავალ სასწავლო წელს არსებული გამოცდილების გამოყენებით კათედრა კიდევ უფრო დახვეწილ, გამჭვირვალესა და სანდოს გახდის მათ მიერ შემუშავებულ რუბრიკებს და განიხილავს კათედრის სხდომებზე. სკოლაში არსებული შეფასების სისტემის სრულყოფა კიდევ ერთი გამოწვევაა და გარკვეული ცვლილებების განხორციელებაა საჭირო. სამომავლოდ სკოლა გეგმავს, რომ შეფასების სისტემა გახდეს უფრო მეტად ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

ინტერვიუს პროცესისას გამოვლინდა, რომ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნით სკოლაში ხორციელდება მოსწავლეთა შედეგების ანალიზი შემაჯამებელი და სემესტრული შეფასებების მიხედვით. საგნების მასწავლებლები ყოველი შემაჯამებელი დავალების შესრულების შემდეგ აკეთებენ შედეგების ანალიზს კლასის დონეზე. პერიოდულად ხდება შედეგების ანალიზის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაზიარება კათედრაზე. 2023-2024 სასწ.წლის სასკოლო გეგმაში ჩაშენებულია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის ზოგადი მექანიზმი, რომელიც საჭიროებს დახვეწას. კათედრებზე მუშაობის გამოცდილება და მასწავლებელთა მზაობა იმის წინაპირობაა, რომ ვერიფიკაციის მექანიზმი იქნება რელევანტური. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები სათანადოდ აღრიცხულია და შენახულია კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში ინახება მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალებები, ხოლო გამოცდების არსებობის შემთხვევაში - შესაბამისი საგამოცდო ნიმუშები. სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების შენახვა, კერძოდ: კურიკულუმი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები სათანადო ანალიზით, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, შეფასების მასალები - მოცემული დოკუმენტაცია სკოლაში ინახება მატერიალური სახის ერთი წლის ვადით, ხოლო ელექტრონული სახით სამი წლის ვადით. მტკიცებულებების სახით სკოლაში ინახება მატერიალური ჟურნალები, ხოლო 2021-2022 სასწავლო წლიდან ელექტრონული ჟურნალები. მომავალი წლიდან ეს ნამუშევრები შეინახება არანაკლებ 3 წლის ვადით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სკოლის მიერ შევსებულ თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო, რომელიც ხელს უწყობს ღიაობას სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრის მიმართ. მხარდაჭერილია მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების იდეები. სკოლაში ვიზიტის დროს ნათლად გამოიკვეთა, რომ თანამშრომლობითი ურთიერთობები, პრობლემებზე ორიენტირებული კომუნიკაცია და გაზიარებული პასუხისმგებლობა სასკოლო გარემოს პოზიტიურ მართვას უწყობს ხელს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, პროექტები და აქტივობები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად. საგნობრივი პოგრამები შემუშავებულია ინდივიდუალურად მასწავლებლის მიერ და შესაბამისობაშია კონკრეტულ კლასზე. კომპლექსური დავალებები კარგად უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. პედაგოგები არჩევენ სასწავლო მეთოდებს, სწავლების ფორმებს, სტრატეგიებს, რომლებიც ერთი კონკრეტული ასაკის და შესაძლებლობების ბავშვებთან ურთიერთობისას სწავლების პროცესში ძალიან ეფექტიანია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპლექსური დავალებებით სწავლება, დაგეგმილი პროექტები და აქტივობები გულისხმობს თანამშრომლობითი კულტურის და კომუნიკაციის განვითარებას. მასწავლებლებს შორის ხდება გამოცდილების ურთიერთგაზიარება თანამშრომლურ, გუნდურ და კეთილგანწყობილ გარემოში. კათედრების მუშაობის ფარგლებში ისინი ერთობლივად შეიმუშავებნენ საგნობრივ კურიკულუმებს. რაც შეეხება კომუნიკაციას მშობლებთან, ამისათვის შუამავალ რგოლს წარმოადგენს კლასის ხელმძღვანელი, რომელიც მშობელთა კრებებზე ან სოციალურ ქსელში შექმნილი კლასის ჯგუფებში, ასევე ელ. ჟურნალის გამოყენებით ამყარებს კომუნიკაციას მშობლებთან. ხოლო სხვა დაინტერესებული პირების შემთხვევაში ინფორმირება ძირითადად ხდება ოფიციალურად, წერილობითი ფორმით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**

ფიზიკური უსაფრთხოების გარდა სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ უსაფრთხოებაზე. ამ საქმეში კლასის დამრიგებლებთან და საგნების პედაგოგებთან ერთად ჩართულია სკოლის დირექცია. ამას ემსახურება არაფორმალური განათლების სხვადასხვა აქტივობები: ექსკურსიები მუზეუმებში, ისტორიისა და კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლების გაცნობა, სახელოვნებო და სპორტული ღონისძიებები, ინტელექტუალური ჩემპიონატები და კონკურსები, ფილმების ჩვენება, სხვადასხვა პროექტებში ჩართვა და ა.შ. სასკოლო კულტურაში დამკვიდრებულია მრავალფეროვნებისადმი პატივისცემა, მოსწავლეებისა და მასწავლებლების სოციალური მხარდაჭერა, ნდობასა და პატივისცემაზე დაფუძნებული მჭიდრო თანამშრომლობითი კავშირები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, მაღალი მორალური ღირებულებები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
2. სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ **მეტწილად შეესაბამება**
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**

საგნობრივ კათედრებზე ამჟამად ფუნქციონირებს სწავლის პროცესის/ხარისხის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. თუმცა მომავალი სასწავლო წლიდან კურიკულუმების შემუშავების პარალელურად ჩამოყალიბდება კურიკულუმის მხარდამჭერი ჯგუფი, რომელიც განახორციელებს კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების ფუნქციას. აღნიშნულ ჯგუფში გაერთიანდებიან კათედრის ხელმძღვანელები, კათედრაზე არჩეული საგნის მასწავლებლები და დირექციის წარმომადგენელი. ეს ჯგუფი კურიკულუმის მონიტორინგს და შეფასებას განახორციელებს თითოეული მასწავლებლის მიერ შესრულებული პროფესიული საქმიანობის რეფლექსიის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საფუძველზე. **ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს განსაზღვრული მეთოდოლოგიური ჩარჩო კურიკულუმების შესაფასებლად.** სკოლას გააზრებული აქვს, რომ საჭიროა ისეთი მეთოდოლოგიური ჩარჩოს შემუშავება, რომელითაც მოხდება კურიკულუმების მონიტორინგი და შეფასება. მეთოდოლოგიური ჩარჩოს შექმნაში მონაწილეობას მიიღებენ საგნობრივი კათედრები, რათა მომავალი სასწავლო წლისთვის მოხდეს მიღებული შედეგების გათვალისწინება სასწავლო კურიკულუმების დახვეწის მიზნით. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი ვერ ფასდება პირველადი ავტორიზაციის გამო.**

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სკოლას სტატუსის მაძიებლის ფორმაში აღნიშნული აქვს, რომ „სკოლაში განსაზღვრული საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი და პროექტების შეფასება ხდება შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით“. ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები თანამშრომლობენ მშობელთან, კლასის დამრიგებელთან. მათი დახმარებით ადგენენ მოსწავლის ინტერესების სფეროს, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რის საშუალებითაც ექმნებათ სრული წარმოდგენა მოსწავლის მიღწევების შესახებ. **2023-24 სასწავლო წლისათვის სკოლა შეიმუშავებს მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზის დაზუსტებულ მექანიზმებს,** სადაც ასახული იქნება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები. გამოიკვეთება ხელისშემშლელი ფაქტორები და დაიგეგმება კურიკულუმის წარმატებით განხორციელების შესაძლებლობები. შეფასების პროცესში სკოლა გამოიყენებს მონაცემების მიზნობრივ შეგროვებას და მისი ანალიზის საფუძველზე დაგეგმავს შესაბამის აქტივობებს, რომლებიც ორიენტირებული იქნება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერაზე. **ინდიკატორი ვერ ფასდება პირველადი ავტორიზაციის გამო.**

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კათედრებმა სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასებისათვის საწყის ეტაპზე აირჩიეს ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებული ინსტრუმენტი, რომლის მიზანია მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე სკოლის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასება. განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში აისახება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განისაზღვრება ხელისშემშლელი ფაქტორები და დაიგეგმება ცვლილებები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. კათედრა აპირებს, რომ მომავალი სასწავლო წლიდან სადიაგნოსტიკო ტესტები და შეფასების ინსტრუმენტები აქტიურად გამოიყენოს პრობლემების საკვლევად და აღმოსაფხვრელად. ასევე შეიმუშაოს კომპლექსური დავალებების შეფასებისა და მოსწავლეთა სხვადასხვა უნარის შესამოწმებელი რუბრიკები. სამომავლოდ უფრო მასშტაბურად, სტრუქტურიზებულად და სისტემურად იგეგმება დიაგნოსტიკური კვლევების მეთოდების გამოყენების გზით კურიკულუმის დანერგვის/ მიმდინარეობის პროცესის მონიტორინგი. მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს კათედრა აუცილებლად გაითვალისწინებს და შესაბამის ცვლილებებს შეიტანს მომავალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილ კურიკულუმებში. **ინდიკატორი ვერ ფასდება პირველადი ავტორიზაციის გამო.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და გასაუბრებიდან ირკვევა, რომ კათედრების უმეტესობაზე შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ. მასწავლებლები სწავლა-სწავლების პროცესში იყენებენ მოსწავლის თვითშეფასების ფორმებსაც, რაც ერთგვარი უკუკავშირია სწავლის პროცესის. შემაჯამებელი დავალების დასრულების ბოლოს მასწავლებელი აკეთებს რეფლექსიას და ახდენს დავალების შეფასებას, გამოაქვს დასკვნები რომელ საკითხს/აქტივობას კარგად გაართვეს თავი მოსწავლეებმა და რომელ საკითხში/აქტივობაში არის ჩავარდნა. **თუმცა, აღსანიშნავია, რომ საგნების „ისტორია“, „გეოგრაფია“ და „მოქალაქეობა“ ფარგლებში სკოლას არ წარმოუდგენია რაიმე ტიპის შეფასების რუბრიკები/ინსტრუმენტები ან რაიმე სხვა ტიპის მასალა, რომელიც დაადასტურებს, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს.** სამომავლოდ დაგეგმილი რემედიაციის საშუალებით კათედრები განახორციელებენ იმ საკითხებზე მუშაობას, რომლებიც ნაკლებად დაძლია მოსწავლეთა უმეტესობამ. დახვეწავენ შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**

მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს რომ მოსწავლეების შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალ კონტექსტს. აფასებენ არამარტო მოსწავლის ფაქტობრივ ცოდნას, არამედ ამ ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას და ტრანსფერს რეალურ ცხოვრებაში, ასევე მასთან დაკავშირებულ სააზროვნო უნარებს. ითვალისწინებენ იმ სოციალურ გარემოს რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს შედეგზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**

სკოლაში ვიზიტის დროს, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასებისას იყენებენ მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდებს: ზეპირი გამოკითხვები, დაკვირვება, მონაცემთა ანალიზი - რაც ეხმარებათ გაიგონ მოსწავლეთა, მშობელთა, მასწავლებელთა აზრი სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. 2023 - 2024 სასწავლო წელს კი გეგმავენ გამოკითხვას, ინტერვიუს, დაკვირვებას, ფოკუს ჯგუფს და სხვა აქტივობებს. კათედრებზე ჯერ კიდევ ბევრია ამ კუთხით სამუშაო და შეფასება ისევ რჩება პრობლემურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საკითხად, რომელზეც მუშაობა ინტენსიურად უნდა დაიგეგმოს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ამ მხრივ სკოლის შეფასების სისტემა დასახვეწია. მკაფიოდ უნდა გამოჩნდეს, თუ რა შიდა ან გარე ფაქტორებს ითვალისწინებენ მასწავლებლები შეფასების დროს ან რა ფაქტორებს გაითვალისწინებენ მომავალში. სამომავლოდ კათედრები გეგმავენ კომპეტენციის ამაღლებას მულტიფაქტორული მიდგომების შესახებ სასწავლო პროცესის შეფასების გაუმჯობესების მიზნით. მოიპოვებენ და დაამუშავებენ ლიტერატურას, გაიზიარებენ სხვა პედაგოგების გამოცდილებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
2. სკოლის თვითშეფასების ფორმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

მოცემულ ეტაპზე კათედრებს არ გააჩნია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი, ვინაიდან მიმდინარეობის პროცესშია საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება, ხდება დაკვირვება კურიკულუმის განხორციელების პროცესზე, გამოკვეთილი ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლა და მონაცემების შეგროვება. მიმდინარე ს/წლის ბოლოსათვის, როდესაც კათედრა შეაჯერებს მათ ხელთ არსებულ მონაცემებს - გაკვეთილებზე დაკვირვებისა თუ მასწავლებლების რეფლექსიებს, განხორციელებულ შემაჯამებელი/კომპლექსური დავალებების შედეგებს (მოსწავლეთა მიღწევებს) - შეიმუშავებენ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტს. ინდიკატორი შეფასებული იყო, როგორც შეუსაბამო.

არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, დამტკიცებული სკოლის დირექტორის ბრძანებით. დოკუმენტის შინაარსი (შემუშავებისა და დანერგვის პროცესში მხარეთა უფლება-მოვალეობები, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები და სხვა) იძლევა შესაძლებლობას, საგნობრივმა კათედრებმა მასზე დაყრდნობით შეიმუშვონ სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში დგება ახალი კურიკულუმები. მასწავლებლები ინდივიდუალურად და შემდგომ უკვე საგნობრივ კათედრებზე შეხვედრისას ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, რაც აისახება ახალ კურიკულუმებში: თემების განაწილება, დროის დათმობა, კომპლექსური დავალებების შესაბამისობა და სხვა. ამ მიმართულებით სკოლა გეგმავს კურიკულუმების განხორციელების პროცესში დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნას, სადაც გათვალისწინებული იქნება რევიზიის პროცესში გამოვლენილი ხარვეზები და საჭიროებები. კათედრები გეგმავენ, რომ მომდევნო ს/წლის კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიები ეფუძნებოდეს წინარე გამოცდილებას, მასწავლებლებმა უნდა გაითვალისწინონ ყველა ხარვეზი და მიგნება, რომლებიც სწავლების პროცესში გამოვლინდა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
2. 2023-2024 სასწ.წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)

2.1. კურიკულუმის შემუშავება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

2022-2023 სასწავლო წელს კათედრებმა ავტორიზაციის მიმდინარეობის პერიოდში ქოუჩებთან გავლილი კონსულტაციების შედეგად შეიმუშავეს კურიკულუმების ჩარჩოები, რომლებშიც გაიწერა მიმდინარე თუ სამომავლო სასწავლო პროგრამა, რესურსები და აქტივობები. საბაზო საფეხურის კათედრაზე პედაგოგებმა განიხილეს გასულ სასწავლო წელს მოსწავლეების მიღწევები, სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი და შუალედური მიზნები, სტანდარტები და მასში შესული ცვლილებები. კურიკულუმის შემუშავებისას ნაწილობრივ არის გათვალისწინებული სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები; კათედრების წევრები ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე სასწავლო წლის ბოლოს აანალიზებენ მოსწავლეთა შედეგებს (შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებები, სასკოლო პროექტები, მშობელთა ჩართულობები), განიხილავენ მოსწავლეთა ტიპურ საჭიროებებს, შესაძლებლობებს და გეგმავენ მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმებს, რომელიც ემსახურება სკოლის მისიის შესრულებას. კათედრებს აქვს ხედვა, თუ როგორაა შესაძლებელი ამ კომპონენტის გაძლიერება. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოვლინდა, რომ ისინი სამომავლოდ გეგმავენ უფრო მეტად დააკვირდნენ სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეთა, მშობელთა...) ინტერესებს, გამოკითხვებითა და კვლევით დაადგინონ ეს საჭიროებები და შემდეგ ასახონ კურიკულუმში. **თუმცა სკოლას ამ ეტაპზე არ გააჩნია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. ინდიკატორი შეფასებული იყო, როგორც შეუსაბამო.**

არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც აიღო ვალდებულება შეემუშავებინა კურიკულუმის შემუშვების მეთოდოლოგია. სკოლამ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და მტკიცებულებად წარმოადგინა სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანება #64 04.10.2023წ. კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ და თავად მეთოდოლოგიის დოკუმენტი. ინდიკატორი სრულად დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმში ნაწილობრივ ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, ამ შემთხვევაში იგულისხმება მოსწავლისა და მასწავლებლის გარდა, საზოგადოების სხვა წევრების ინტერესები. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებასა და დანერგვაში უმთავრესად გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შეხედულებები, საჭიროებები და მოლოდინები. მასწავლებლები გამოცდილებაზე დაყრდნობით მუშაობენ კურიკულუმში შესატან ცვლილებებზე, რათა მოხდეს წინა წლის შედეგების გაუმჯობესება. კურიკულუმების გაცნობა მშობლებისათვის განხორციელდა სასწ. წლის დასაწყისში მშობელთა კრებებზე. მასწავლებლებთან გასაუბრების შემდეგ გამოვლინდა, რომ სკოლაში დამკვიდრებულია მშობელთა ბარათების გამოყენების პრაქტიკა კომპლექსური დავალებების შესრულების პროცესში. მშობლები გარკვეულ უკუკავშირს იძლევიან სკოლისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია კათედრებზე. 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმების შედგენაში მონაწილეობა მიიღო კათედრის ყველა წევრმა. მათ შეადგინეს კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტი თითოეული კლასისათვის ცალ-ცალკე, შეათანხმეს განსახორციელებელი კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებები, შეარჩიეს დიაგნოსტირების ინსტრუმენტები, შეთანხმდნენ განმავითარებელი შეფასების ფორმებზე და სხვა. კურიკულუმის შემუშავებაში საზოგადოების სხვა წევრებს (მოსწავლეებს, მშობლებს) უშუალოდ არ მიუღიათ მონაწილეობა, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შედგენისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესებიც. კურიკულუმში გათვალისწინებულია ისგ-ები, რომელიც ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იქმნება ისგ-ს ჯგუფის მიერ. კურიკულუმის მიზნებიდან გამომდინარე, ვინაიდან ორიენტირი გაკეთებულია საბოლოო შედეგებზე, რომლებიც მიიღწევა საფეხურის ბოლოს, მასწავლებელს შესაძლებლობას მისცემს მიმდინარე წელს არსებული ხარვეზები ან/და გამოწვევები აღმოფხვრას შემდეგ სასწავლო წელს. შესრულებული კომპლექსური დავალებების შედეგად გამოკვეთილი ინტერესები, საჭიროებები და მიღებული ცოდნა კი გათვალისწინებული იქნება სამომავლოდ კურიკულუმის საბოლოო ვერსიების შესადგენად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

კათედრის წევრებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მიმდინარე სასწ.წლის საბაზო საფეხურის კურიკულუმები შემუშავდა მასწავლებლების მიერ მოსწავლეებსა და მშობლებთან ზეპირი კმუნიკაციის საფუძველზე. სკოლაში ახალი დაწყებულია პროცესები, რომელიც მიმართულია სასკოლო საზოგადოებისათვის კურიკულუმის გაზიარებისაკენ. მშობლებთან კურიკულუმის გაზიარებისთვის სკოლა გამოიყენებს მშობლებთან პირისპირ შეხვედრებს და სოციალურ ქსელებს, სკოლის ვებგვერდს, Teams-ის პლატფორმას. დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან გააქტიუროს მოსწავლეებთან და მშობლებთან სათანადო კომუნიკაცია და ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა. კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების შესახებ ინფორმირებული არიან მოსწავლეები და მათი მშობლები. ვინაიდან, კურიკულუმების სისტემა ახალია და სასკოლო საზოგადოებისათვის გაზიარებისა და გააზრების პროცესს, სწორი მიდგომების განსაზღვრას დრო სჭირდება, კათედრები გეგმავენ, რომ ტრენინგებზე დასწრებითა და კონსულტაციების გავლის შედეგად მაქსიმალურად უზრუნველყონ აღნიშნული პროცესის გამართულობა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმები
2. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2022-2023

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

კათედრების მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, ეს გამოჩნდა კურიკულუმებში ჩაშენებულ კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც კათედრამ შეარჩია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, შერჩეული ტექსტები ეფუძნება სახელმძღვანელოებით შემოთავაზებულ მასალას. საგნობრივ კურიკულუმებში ფორმულირებულია საფეხურებრივი საგნის სტანდარტები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია კომპლექსური დავალებების სახით. სწავლის შედეგები თითოეულ საგანში მოცემულია სამიზნე ცნებების სახით. შემაჯამებელ და კომპლექსურ დავალებებში გამოკვეთილია კონსტრუქტივიზმის პრინციპები. ვინაიდან კურიკულუმი დახვეწის პროცესშია, სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე სასწ.წელს სკოლაში არ არის მე-9 კლასი. შესაბამისად, საგნობრივი კურიკულუმები მე-9 კლასისთვის წარმოდგენილია ძირითადი ჩარჩოს სახით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბაზო საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან მასში არის გათვალისწინებული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილებები. კომპლექსურ დავალებებში, პირობის შინაარსთან ერთად, მითითებულია მოსწავლის მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე. კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებში გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, კერძოდ, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, სოციალური უნარების განვითარებას და ა.შ. კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებებში გაწერილია სამიზნე ცნებები და შედეგები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

კათედრებზე წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ისეა აგებული, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ცოდნის დონეები და შესაძლებლობები, მორგებულია სწავლის დიფერენცირებულ მიდგომებს, რაც გულისხმობს განსხვავებული შესაძლებლობებისა და საჭიროების მოსწავლეებთან მუშაობას. ამ ეტაპზე, საბაზო საფეხურზე სსსმ მოსწავლე სკოლას არ ჰყავს, თუმცა სკოლა მზადაა სსსმ მოსწავლის მიღების შემთხვევაში შესაბამისი მომსახურების გასაწევად. სკოლა სწავლისა და განვითარების თანაბარ საშუალებას აძლევს მოსწავლეს, მასწავლებლები აკვირდებიან თითოეულ მათგანს, სწავლობენ მათ თავისებურებებს, ინტერესებს, შესაძლებლობებს და ამ პირობების გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცესს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

შეფასება სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ მოსწავლის აკადემიური წინსვლის პროგრესს. საბაზო საფეხურზე სკოლა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასება გამოიყენება მიმდინარე სასწავლო პროცესში, ძირითადად ამ ეტაპზე იყენებენ განმავითარებელ ზეპირ სიტყვიერ კომენტარს, თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკებს. სამომავლოდ კათედრა გეგმავს, რომ გამოიყენოს განმავითარებელი შეფასების ახალი სტრატეგიები და ფორმები: კერძოდ, დიაგნოსტიკური შეფასების კითხვარი, პედაგოგიური პრაქტიკის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეფლექსიის ინსტრუმენტი. სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით მუშავდება შეფასების ინდიკატორები. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით ყალიბდება კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის. სკოლისა და მასწავლებლებისთვის გამოწვევად რჩება შეფასების მეთოდის სიღრმისეულად გაგება, რისთვისაც სკოლა მაქსიმალურად ჩაერთვება შესაბამის ტრენინგ-სემინარებში, რათა მოხდეს გააზრება და დახვეწა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სასწავლო წლის ბოლოს კათედრები აანალიზებენ მათ მიერ ფორმალური თუ არაფორმალური კუთხით ჩატარებულ აქტივობებს. ასევე პროფესიული განვითარების კუთხით განხორციელებული აქტივობებს, გავლილ ტრენინგებს/ვებინარებს და სხვა. მასწავლებელთა ანგარიშების საფუძველზე ფასდება არსებული მდგომარეობა, ხდება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, რის შემდეგაც მუშავდება მომავალი წლის კათედრის სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები. ურთიერთდასწრების გაკვეთილებზე მიღებული უკუკავშირის საფუძველზე თითოეული მასწავლებელი ინდივიდუალურად ადგენს გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესების გზებს. ითვალისწინებს რა წინარე გამოცდილებას, ადგენს მომდევნო წლის სამუშაო გეგმას. არჩევს საჭიროებების შესაბამის პროფესიული განვითარების აქტივობებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმები
2. ინკლუზიური სწავლების დოკუმენტები (დანართი 4)
3. ინტერვიუ სკოლის პედაგოგებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2. კომპონენტი - კურიკულუმის განხორციელება - შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო და შეფასდა მეტწილ შესაბამისად.

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილ კურიკულუმებში ნაწილობრივ გამოკვეთილია საკვანძო სტრუქტურული ერთეულები: თემა, საკითხი, ცნება, რესურსი. კათედრებ საბაზო საფეხურზე გეგმავენ კომპლექსური დავალებებით წარმართონ სწავლა სწავლების პროცესი, რაც განაპირობებს მოსწავლეების ჩართულობას შემოქმედებით პროცესში. კურიკულუმებში ასახული დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეს მისცემს საშუალებას შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. მომდევნო სასწავლო წლიდან კათედრა გეგმავს, შეარჩიოს, გადაამუშაოს და კურიკულუმში ჩააშენოს მამოტივირებელი შინაარსის კომპლექსური დავალებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა კიდევ უფრო გააქტიურებას, ჩართულობის კიდევ უფრო გაზრდას, მაღალი შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების გამომუშავებას.

სკოლას არა აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სააქტო დარბაზი და დახურული სპორტული დარბაზი, რაც ვერ აკმაყოფილებს ავტორიზაციის 2010 წლის 1 ოქტომბრის #99/ნ დებულების მე-4 მუხლის მოთხოვნებს. აღნიშნული ხარვეზი სასწავლო პროცესში არ იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; **ინდიკატორი შეფასებული იყო, როგორც შეუსაბამო.**

არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც აიღო საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობის ვალდებულება და განახორციელა გარკვეული აქტივობები. მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა წერილი #1568925 17.11.2023წ. **სსიპ საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის სააგენტოსადმი, რომლითაც ითხოვს დახმარებას ლაბორატორიისათვის საჭირო რესურსებით აღჭურვასთან დაკავშირებით.**

სკოლაც მიეცა რეკომენდაცია მოაწყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სააქტო დარბაზი და დახურული სპორტული დარბაზი შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადებში 17.11.2023წ.-06.11.2024წ. სააქტო დარბაზის ფუნქციით, ასევე სპორტული აქტივობების განსახორციელებლად სკოლამ გარკვეულ შემთხვევებში შესაძლოა გამოიყენოს შენობის ცენტრალური ფოიე. ინდიკატორი მეტწილად შესაბამისობაშია.

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბზო საფეხურის კურიკულუმი ითვალისწინებს თემატურ დაგეგმვას, მოწავლისთვის ნაცნობ კონტექსტსა და შედარების მაგალითებს, რომლებიც დაეხმარება მას ახალი მასალის ძველთან დაკავშირებაში. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების პირობები ისეა ფორმულირებული, რომ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეს უწევს ნაცნობი პრობლემების გადაჭრა და საინტერესო პროდუქტის შექმნა, რაც მას ცოდნის კონსტრუირებაში ეხმარება. ამასთან, გასაუბრებიდან გამომდინარე, მასწავლებლები იაზრებენ წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის კონსტრუირების მნიშვნელობას სასწავლო პროცესში. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოს, კომპლექსური დავალებების პირობებისა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

საგნობრივ კურიკულუმებში მცირედ მაგრამ, მაინც მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები/პირობები, ასევე რესურსები, რომლებზე მუშაობაც მოითხოვს სწავლის სტრატეგიების ცოდნას და დაუფლებას, მაგალითად, კოგნიტური სქემების გამოყენება, რეფლექსია და სხვა. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს ხშირად სთხოვენ ახალი მასალის შეჯამებას, ასევე სასწავლო პროცესში იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას. შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლები იაზრებენ სწავლის სტრატეგიების გამოყენების აუცილებლობას სასწავლო პროცეში. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოს, კომპლექსური დავალებების პირობების, შეფასების რუბრიკების გაცნობითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა თავის თავში გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებულობას. ასევე, ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება საგნობრივ პროგრამებში, კომპლექსური დავალებების პირობებში. ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესში არ შემოიფარგლებიან მოსწავლეებისათვის მხოლოდ დეკლარატიული ცოდნის მიწოდებით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ისინი მოსწავლეებს რჩევებით, უკუკავშირით, გამოყენებული სტრატეგიებით ეხმარებიან ამ ცოდნის პროცედურულ ცოდნად გარდაქმნაში, ხოლო მოსწავლეებში პირობისეულ ცოდნად ჩამოყალიბებას მასწავლებლები სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით - კომპლექსური ტიპის დავალებებითა და განმავითარებელი კომენტარებით ახორციელებენ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

კომპლექსური დავალებები, რომელიც ასახულია კურიკულუმში, ისეა აგებული, რომ მოსწავლემ გააერთიანოს ყველა ის უნარი და ცოდნა, რომლებიც მას გამოადგება პრობლემის გადაჭრისას, გამოწვევებთან გამკლავებისა და პროდუქტის შექმნისას. ყოველივე ეს ხელს უწყობს ცოდნის ინსტრუმენტად გარდაქმნას. კურიკულუმის ჩარჩოში ასახული კომპლექსური დავალებები და ინტერვიუს დროს მიღებული პასუხები ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. პედაგოგების გამოცდილების გათვალისწინებით დაიგეგმა, რომ მომდევნო სასწავლო წლისთვის შედგენილ კურიკულუმში შემავალ კომპლექსურ დავალებებში შეიტანონ საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები, აგრეთვე, ამ თვალსაზრისით გადაიხედოს ახალი კომპლექსური დავალებები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სასწავლო პროცესი, კურიკულუმის შესაბამისად, უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სკოლის საგნობრივ კურიკულუმებში ნაწილობრივ გაწერილია რა მეთოდებით, აქტივობებით და რესურსებით შეძლებს მოსწავლე გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. სავალდებულო თემის ფარგლებში მასწავლებლები ისე არჩევენ საგნობრივ საკითხებს, რომ ხელი შეუწყოს სამიზნე ცნებების გააზრებას. კურიკულუმი ეყრდნობა ესგ-ით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს, რომლებსაც აზუსტებს მკვიდრი წარმოდგენები, ქვეცნებები, საფეხურის საკვანძო კითხვები. არსებული სასწავლო პროგრამები აკმაყოფილებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

წარმოდგენილ დოკუმენტებში მკაფიოდ არ ჩანს რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და სოციო-ემოციურ განვითარებას, თუმცა მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს რომ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის შემდეგ სვამენ ისეთ კითხვას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომელიც მოსწავლეს დააფიქრებს სწავლის პროცესზე. მაგ: რას შეცვლიდი? რაში გამოიყენებ მიღებულ ცოდნას? რა გამოვიდა კარგად, რა არის ამის მიზეზი?... გასაუბრებაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სწავლის პროცესში ზრუნავენ მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარებაზე, წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. მოსწავლეებისათვის შეთავაზებული კომპლექსური ბუნების დავალებები და აქტივობები ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა, რაც ააქტიურებს სწავლის პროცესს. შეფასების მექანიზმებში ჩართულია თანატოლთა შეფასების და თვითშეფასების ფორმები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

სკოლას განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. მასალებში წარმოდგენილია მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. კათედრები საკუთარი რესურსითა და გამოცდილებით ქმნიან შეფასების რუბრიკებს მოსწავლეების აკადემიური უნარების შესაფასებლად. მასალებში ასევე წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიის მიხედვით შედგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარატიული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. გასაუბრებაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეხმარება მასწავლებლებს მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებაში და მოსწავლის მიღწევის დონის განსაზღვრაში რის საფუძველზეც გეგმავენ მოსწავლის პროგრესის გზას. სამომავლოდ კათედრაზე დამატებით შექმნიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს კონკრეტული თემისა და დავალებისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

მოწოდებული დოკუმენტებით ნაწილობრივ ჩანს, თუ რა ტიპის შეფასების რუბრიკებს ეყრდნობა კათედრა. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა თავისთავად მოიაზრებს, რომ მოსწავლემ საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად რა კრიტერიუმები უნდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაითვალისწინოს, აქედან გამომდინარე მას გააზრებული აქვს დადებითად რომ შეფასდეს, რა და როგორ უნდა გააკეთოს. კომპლექსური დავალებების შემაჯამებელ დავალებად წარდგენის პროცესში იმავე მითითება-კრიტერიუმების გადაყვანა ხდება განმსაზღვრელ შეფასებად. რადგან სასკოლო შეფასება მუდმივად განვითარებადია, მომავალ სასწავლო წელს არსებული გამოცდილების გამოყენებით კათედრა კიდევ უფრო დახვეწილს, გამჭვირვალეს და სანდოს გახდის მათ მიერ შემუშავებულ რუბრიკებს და განიხილავს კათედრის სხდომებზე. სკოლაში არსებული შეფასების სისტემის სრულყოფა კიდევ ერთი გამოწვევაა და გარკვეული ცვლილებების განხორციელებაა საჭირო. სამომავლოდ კათედრა გეგმავს, რომ შეფასების სისტემა გახდეს უფრო მეტად ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**.

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

ინტერვიუს პროცესისას გამოვლინდა, რომ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნით სკოლაში ხორციელდება მოსწავლეთა შედეგების ანალიზი შემაჯამებელი და სემესტრული შეფასებების მიხედვით. საგნების მასწავლებლები ყოველი შემაჯამებელი დავალების შესრულების შემდეგ აკეთებენ შედეგების ანალიზს კლასის დონეზე. პერიოდულად ხდება შედეგების ანალიზის გაზიარება კათედრაზე. 2023-2024 სასწ. წლის სასკოლო გეგმაში ჩაშენებულია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის ზოგადი მექანიზმი, რომელიც საჭიროებს დახვეწას. კათედრებზე მუშაობის გამოცდილება და მასწავლებელთა მზაობა იმის წინაპირობაა, რომ ვერიფიკაციის მექანიზმი იქნება რელევანტური. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები სათანადოდ აღრიცხულია და შენახულია კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში ინახება მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალებები, ხოლო გამოცდების არსებობის შემთხვევაში - შესაბამისი საგამოცდო ნიმუშები. სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების შენახვა,
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კერძოდ: კურიკულუმი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები სათანადო ანალიზით, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, შეფასების მასალები - მოცემული დოკუმენტაცია სკოლაში ინახება მატერიალური სახის ერთი წლის ვადით, ხოლო ელექტრონული სახით სამი წლის ვადით. მტკიცებულებების სახით სკოლაში ინახება მატერიალური ჟურნალები, ხოლო 2021-2022 სასწავლო წლიდან ელექტრონული ჟურნალები. მომავალი წლიდან ეს ნამუშევრები შეინახება არანაკლებ 3 წლის ვადით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სკოლის მიერ შევსებულ თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო, რომელიც ხელს უწყობს ღიაობას სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრის მიმართ. მხარდაჭერილია მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების იდეები. სკოლაში ვიზიტის დროს ნათლად გამოიკვეთა, რომ თანამშრომლობითი ურთიერთობები, პრობლემებზე ორიენტირებული კომუნიკაცია და გაზიარებული პასუხისმგებლობა სასკოლო გარემოს პოზიტიურ მართვას უწყობს ხელს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, პროექტები და აქტივობები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად. საგნობრივი პოგრამები შემუშავებულია ინდივიდუალურად მასწავლებლის მიერ და შესაბამისობაშია კონკრეტულ კლასზე. კომპლექსური დავალებები კარგად უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. პედაგოგები არჩევენ სასწავლო მეთოდებს, სწავლების ფორმებს, სტრატეგიებს, რომლებიც ერთი კონკრეტული ასაკის და შესაძლებლობების ბავშვებთან ურთიერთობისას სწავლების პროცესში ძალიან ეფექტიანია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

კომპლექსური დავალებებით სწავლება, დაგეგმილი პროექტები და აქტივობები გულისხმობს თანამშრომლობითი კულტურის და კომუნიკაციის განვითარებას. მასწავლებლებს შორის ხდება გამოცდილების ურთიერთგაზიარება თანამშრომლურ, გუნდურ და კეთილგანწყობილ გარემოში. კათედრების მუშაობის ფარგლებში ისინი ერთობლივად შეიმუშავებნენ საგნობრივ კურიკულუმებს. რაც შეეხება კომუნიკაციას მშობლებთან, ამისათვის შუამავალ რგოლს წარმოადგენს კლასის ხელმძღვანელი, რომელიც მშობელთა კრებებზე ან სოციალურ ქსელში შექმნილი კლასის ჯგუფებში, ასევე ელ. ჟურნალის გამოყენებით ამყარებს კომუნიკაციას მშობლებთან. ხოლო სხვა დაინტერესებული პირების შემთხვევაში ინფორმირება ძირითადად ხდება ოფიციალურად, წერილობითი ფორმით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ფიზიკური უსაფრთხოების გარდა სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ უსაფრთხოებაზე. ამ საქმეში კლასის დამრიგებლებთან და საგნების პედაგოგებთან ერთად ჩართულია სკოლის დირექცია. ამას ემსახურება არაფორმალური განათლების სხვადასხვა აქტივობები: ექსკურსიები მუზეუმებში, ისტორიისა და კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლების გაცნობა, სახელოვნებო და სპორტული ღონისძიებები, ინტელექტუალური ჩემპიონატები და კონკურსები, ფილმების ჩვენება, სხვადასხვა პროექტებში ჩართვა და ა.შ. სასკოლო კულტურაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამკვიდრებულია მრავალფეროვნებისადმი პატივისცემა, მოსწავლეებისა და მასწავლებლების სოციალური მხარდაჭერა, ნდობასა და პატივისცემაზე დაფუძნებული მჭიდრო თანამშრომლობითი კავშირები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, მაღალი მორალური ღირებულებები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმები

2. სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ **მეტწილად შეესაბამება**
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ **არ შეესაბამება**

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

საგნობრივ კათედრებზე ამჟამად ფუნქციონირებს სწავლის პროცესის/ხარისხის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, თუმცა მომავალი სასწავლო წლიდან კურიკულუმების შემუშავების პარალელურად ჩამოყალიბდება კურიკულუმის მხარდამჭერი ჯგუფი, რომელიც განახორციელებს კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების ფუნქციას. აღნიშნულ ჯგუფში გაერთიანდებიან კათედრის ხელმძღვანელები, კათედრაზე არჩეული საგნის მასწავლებლები და დირექციის წარმომადგენელი. ეს ჯგუფი კურიკულუმის მონიტორინგს და შეფასებას განახორციელებს თითოეული მასწავლებლის მიერ შესრულებული პროფესიული საქმიანობის რეფლექსიის საფუძველზე. ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს განსაზღვრული მეთოდოლოგიური ჩარჩო კურიკულუმების შესაფასებლად. სკოლას გააზრებული აქვს, რომ საჭიროა ისეთი მეთოდოლოგიური ჩარჩოს შემუშავება, რომელითაც მოხდება კურიკულუმების მონიტორინგი და შეფასება. მეთოდოლოგიური ჩარჩოს შექმნაში მონაწილეობას მიიღებენ საგნობრივი კათედრები, რათა მომავალი სასწავლო წლისთვის მოხდეს მიღებული შედეგების გათვალისწინება სასწავლო კურიკულუმების დახვეწის მიზნით. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სკოლას სტატუსის მაძიებლის ფორმაში აღნიშნული აქვს, რომ „სკოლაში განსაზღვრული საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი და პროექტების შეფასება ხდება შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით“. ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები თანამშრომლობენ მშობელთან, კლასის დამრიგებელთან. მათი დახმარებით ადგენენ მოსწავლის ინტერესების სფეროს, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რის საშუალებითაც ექმნებათ სრული წარმოდგენა მოსწავლის მიღწევების შესახებ. 2023-24 სასწავლო წლისათვის სკოლა შეიმუშავებს მონიტორინგის და შეფასების პროცესის ანალიზს, სადაც ასახული იქნება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები. გამოიკვეთება ხელისშემშლელი ფაქტორები და დაიგეგმება კურიკულუმის წარმატებით განხორციელების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაძლებლობები. შეფასების პროცესში სკოლა გამოიყენებს მონაცემების მიზნობრივ შეგროვებას და მისი ანალიზის საფუძველზე დაგეგმავს შესაბამის აქტივობებს, რომლებიც ორიენტირებული იქნება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭრაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

კათედრებმა სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასებისათვის საწყის ეტაპზე აირჩიეს ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებული ინსტრუმენტი, რომლის მიზანია მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე სკოლის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასება. განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში აისახება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განისაზღვრება ხელისშემშლელი ფაქტორები და დაიგეგმება ცვლილებები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. კათედრა აპირებს, რომ მომავალი სასწავლო წლიდან სადიაგნოსტიკო ტესტები და შეფასების ინსტრუმენტები აქტიურად გამოიყენოს პრობლემების საკვლევად და აღმოსაფხვრელად. ასევე შეიმუშაოს კომპლექსური დავალებების შეფასებისა და მოსწავლეთა სხვადასხვა უნარის შესამოწმებელი რუბრიკები. სამომავლოდ უფრო მასშტაბურად, სტრუქტურიზებულად და სისტემურად იგეგმება დიაგნოსტიკური კვლევების მეთოდების გამოყენების გზით კურიკულუმის დანერგვის/ მიმდინარეობის პროცესის მონიტორინგი. მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს კათედრა აუცილებლად გაითვალისწინებს და შესაბამის ცვლილებებს შეიტანს მომავალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილ კურიკულუმებში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და გასაუბრებიდან ირკვევა, რომ კათედრების უმეტესობაზე შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ. მასწავლებლები სწავლა-სწავლების პროცესში იყენებენ მოსწავლის თვითშეფასების ფორმებსაც, რაც ერთგვარი უკუკავშირია სწავლის პროცესის. შემაჯამებელი დავალების დასრულების ბოლოს მასწავლებელი აკეთებს რეფლექსიას და ახდენს დავალების შეფასებას, გამოაქვს დასკვნები რომელ საკითხს/აქტივობას კარგად გაართვეს თავი მოსწავლეებმა და რომელ საკითხში/აქტივობაში არის ჩავარდნა. სამომავლოდ დაგეგმილი რემედიაციის საშუალებით კათედრები განახორციელებენ იმ საკითხებზე მუშაობას, რომლებიც ნაკლებად დაძლია მოსწავლეთა უმეტესობამ. დახვეწავენ შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს რომ მოსწავლეების შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალ კონტექსტს. აფასებენ არამარტო მოსწავლის ფაქტობრივ ცოდნას, არამედ ამ ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას და ტრანსფერს რეალურ ცხოვრებაში, ასევე მასთან დაკავშირებულ სააზროვნო უნარებს. ითვალისწინებენ იმ სოციალურ გარემოს რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს შედეგზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

სკოლაში ვიზიტის დროს, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასებისას იყენებენ მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდებს: ზეპირი გამოკითხვები, დაკვირვება, მონაცემთა ანალიზი - რაც ეხმარებათ გაიგონ მოსწავლეთა, მშობელთა, მასწავლებელთა აზრი სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. 2023 - 2024 სასწავლო წელს კი გეგმავენ გამოკითხვას, ინტერვიუს, დაკვირვებას, ფოკუს ჯგუფს და სხვა აქტივობებს. კათედრებზე ჯერ კიდევ ბევრია ამ კუთხით სამუშაო და შეფასება ისევ რჩება პრობლემურ საკითხად, რომელზეც მუშაობა ინტენსიურად უნდა დაიგეგმოს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ამ მხრივ სკოლის შეფასების სისტემა დასახვეწია. მკაფიოდ უნდა გამოჩნდეს, თუ რა შიდა ან გარე ფაქტორებს ითვალისწინებენ მასწავლებლები შეფასების დროს ან რა ფაქტორებს გაითვალისწინებენ მომავალში. სამომავლოდ კათედრები გეგმავენ კომპეტენციის ამაღლებას მულტიფაქტორული მიდგომების შესახებ სასწავლო პროცესის შეფასების გაუმჯობესების მიზნით. მოიპოვებენ და დაამუშავებენ ლიტერატურას, გაიზიარებენ სხვა პედაგოგების გამოცდილებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სააზო საფეხურის კურიკულუმები;
2. სკოლის თვითშეფასების ფორმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

მოცემულ ეტაპზე კათედრებს არ გააჩნია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი, ვინაიდან მიმდინარეობის პროცესშია საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება, ხდება დაკვირვება კურიკულუმის განხორციელების პროცესზე, გამოკვეთილი ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლა და მონაცემების შეგროვება. მიმდინარე ს/წლის ბოლოსათვის, როდესაც კათედრა შეაჯერებს მათ ხელთ არსებულ მონაცემებს - გაკვეთილებზე დაკვირვებისა თუ მასწავლებლების რეფლექსიებს, განხორციელებულ შემაჯამებელი/კომპლექსური დავალებების შედეგებს (მოსწავლეთა მიღწევებს) - შეიმუშავებენ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტს. **ინდიკატორი შეფასებული იყო, როგორც შეუსაბამო.**

არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, დამტკიცებული სკოლის დირექტორის ბრძანებით. დოკუმენტის სტრუქტურა და შინაარსი (კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში მხარეთა უფლება-მოვალეობები, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები და სხვა) იძლევა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაძლებლობას, საგნობრივმა კათედრებმა მასზე დაყრდნობით შეიმუშავონ კურიკულუმის განვითარების სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში დგება ახალი კურიკულუმები. მასწავლებლები ინდივიდუალურად და შემდგომ უკვე საგნობრივ კათედრებზე შეხვედრისას ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, რაც აისახება ახალ კურიკულუმებში: თემების განაწილება, დროის დათმობა, კომპლექსური დავალებების შესაბამისობა და სხვა. ამ მიმართულებით სკოლა გეგმავს კურიკულუმების განხორციელების პროცესში დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნას, სადაც გათვალისწინებული იქნება რევიზიის პროცესში გამოვლენილი ხარვეზები და საჭიროებები. კათედრები გეგმავენ, რომ მომდევნო ს/წლის კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიები ეფუძნებოდეს წინარე გამოცდილებას, მასწავლებლებმა უნდა გაითვალისწინონ ყველა ხარვეზი და მიგნება, რომლებიც სწავლების პროცესში გამოვლინდა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
2. 2023-2024 სასწ.წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება






ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: